

# გელა



№9 დეკემბერი 2015 წ.



# აგნი

№ 9 2015 წ.

კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრი  
ასტროლოგიის ინსტიტუტი, ცეცხლოვან ცენტრთა  
ცეცხლოვანი მოვლენების შემსწავლელი ინსტიტუტი  
“ გ უ ლ ი ”

ლამაზად შეიძინ გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა!

გაუა-ც შაველა

## სარჩევი

|   |    |  |    |
|---|----|--|----|
| 1. რას ვემსახურებით... ....                   | 3  | 10. სიმონ ათონელის ბრძნული პასუხები ..     | 31 |
| 2. მე ვარ შხარა .....                         | 4  | 11. საკუთარი თავის შეცნობის პრინ-ციპები .. | 32 |
| 3. ღმერთი და სული.....                        | 7  | 12. ამპარტავნების 54 გამოვლინება ....      | 35 |
| 4. ინტერვიუ ღმერთთან .....                    | 9  | 13. წვრილი სამყარო .....                   | 37 |
| 5. სიყვარულის სიდიადე .....                   | 10 | 14. ათასწლეულების სენსაცია .....           | 39 |
| 6. ორია ახალგაზრდა და ორი მზეთუნახავი .....   | 12 | 15. ისევ სიყვარულზე .....                  | 44 |
| 7. სიყვარულზე .....                           | 14 | 16. პოლიტიკა და მისი რეალობა .....         | 47 |
| 8. მეფეთათვის .....                           | 26 | 17. სულის ძახილი .....                     | 55 |
| 9. დალაი ლამას მიმართვა კაცობრიობისადმი ..... | 30 | 18. სიყვარულის საკრალური შრეები ....       | 57 |

მთავარი რედაქტორი: თამაზ თავაძე  
დიზაინი ზაქარია ტატინაშვილისა

მის: თბილისი, ანა კალანდაძის  
(ყოფილი ბულაჩაურის) 7

მობ: 599-96-99-11  
[www.agniyoga-ge.com](http://www.agniyoga-ge.com)  
Email: [tpt3839@mail.ru](mailto:tpt3839@mail.ru)

## იყო და არა იყო რა

მუდმივობაში ყოფნა სიმართლით,  
საკუთარ თავთან ფიქრთა ჭიდილი,  
სინამდვილეში თვითდაჯერება,  
არარაობად ხშირად ვიცანით.  
მაგრამ არსებობს მე შინაგანი  
საიდან მოდის ან სად იქმნება,  
თვით გონებაში ჩაიდო ალბათ  
და სჯერა, რომ აქ ასე იქნება.  
გრძნობაში, ფიქრში, სხეულში მყოფი,  
შინაგან ძალით ახდენს მზადყოფნას,  
აზრის მოტანა მისი მისია,  
რა არის ნეტავ და ან ვისია?!  
თუ ეს ყოფა და მისი ფაქტი,  
მაშინ დავლეწოთ, არა აქვს აზრი,  
მაგრამ იქნება არსებობს კიდევ,  
სულ სხვა რაღაცა გრძნობათა ხაზი.  
და თუ მიგხვდებით, თუ სად გავჩერდეთ  
ან სად ვიპოვოთ გამოსავალი,  
ოქროს შუალედს როგორ მივაგნოთ  
შუაში გზად სვლა ხდება მთავარი.

## და იბადება ადამიანი

არსებობისთვის კაცობრიობას  
სინათლედ აწვდის დროსა და სიბრძნეს.  
სინამდვილის დრო, დრო უტყუარი  
შეცვლის ეპოქას აზრებით სივრცეს.  
და იბადება ადამიანი  
დროის მოთხოვნით ხდება ზიარი  
დიდი ძალაა უფლის შეცნობა.  
ზუსტი გაგება წმინდა წერილის  
დღეს ყველაფერი ხდება ერთგული,  
კოდი ისსნება აზრთან შერწყმული  
დრო მოსულია მოთხოვნილების,  
რომ შეიცვალოს ადამიანი.  
უნდა შევავსოთ და შევითვისოთ  
ჩვენით აღვზარდოთ დიდი გონება  
დიდი მოძღვრების თანაზიარნი  
კვლავ ამაღლდება და გაბრწყინდება  
კვლავაც აღდგომა გახსნილი მადლი  
ჩვენივე სულის გასხივოსნებით  
და დაიდგმება ცად ოქროს თასი  
და მომავალში ხდება ხორცშესხმაც.  
ეს საოცარი სული პაწია  
არსებობისთვის დრომ რომ არწია  
დაკარგულ დროსთან უწევს ჭიდილი  
მაგრამ ღმერთმა ის გამოარჩია.  
დრო უსასრულო სასრულში გადის  
და ჩვენ გვაქცია ახალ შობილად,  
ადამიანებს შეგვწევს უნარი  
რომ დავიზარდოთ კვლავ ბრძენკაცებად.  
გენეტიკური კოდის ღონეზე  
საკუთარ აზრში ფიქრების მტვრევა  
ანგრევს, აშენებს და აამაღლებს  
ეს ზეციური დროის შეგრძნება.

ხათუნა ელიაშვილი

## რას ვემსახურებით მედეას უურნალის გამოცემებით

დედამიწაზე დაბადებით, ადამიანს ეძლევა სიკეთის ქმნისა და მასში დახელოვნების შესანიშნავი შესაძლებლობა, – ასე გვასწავლის უხსოვარი დროის სიბრძნე და საძმოს კარიბჭის თავზედ მუდამ გასხივოსნებული ბრწყინვა ეს ნაანდერძევი. ეს წინააღმდეგობაში როდი მოდის იმათთან, რომლებსაც ესმით არასრულყოფილების უსასრულო ბოროტების არსებობა ჩვენს დედამიწაზე. რას იზამ, არასრულყოფილება გარდაუვალია, მაგრამ მაინც ხომ არსებობენ სრული სისავსით სიკეთის მომტანი შრომის დარგები. განა მიწათმოქმედის შრომა სიკეთე არაა? განა უბრწყინვალესი შემოქმედება სიკეთე არაა? განა მაღალი ხარისხის ოსტატობა სიკეთე არაა? განა ცოდნა სიკეთე არაა? განა მსახურება კაცობრიობისადმი სიკეთე არაა? შეიძლება დამტიკეცება იმისა, რომ სიცოცხლის არსი – სიკეთეა და დასანანია მხოლოდ ის, რომ ადამიანს არ სურს სრულყოფილება და ამჯობინებს უმეცრებაში, სხვანაირად რომ ვთქვათ, – ბოროტებაში ყოფნას.

\* \* \*

### ურუსვატის სახელობის კავკასიის მსოფლიო კულტურის ცენტრი

ეს ზედმიწევნით საპატიო სახელიცა და აღიარებაც ერთდროულად, მიანიჭა საქართველოს რეინის საზოგადოებას დედამიწის უზენაესმა იერარქიამ და მართვის ცენტრმა, – შამბალამ და საფუძვლად ამ სახელის მინიჭებისა შეახსენა კაცობრიობას ის, რომ კავკასია და კერძოდ საქართველო, მუდამ იყო

დედამიწაზე ჰეშმარიტი მმობის კერა და სიმბოლო ერებისა და ცალკეულ ადამიანთა ულამაზესი მმობის ისტორიული კუთხე.

ვინ ჩამოთვლის ამ თვისების აღმნიშვნელ უამრავ ისტორიულ ფაქტებს თუ ცალკეულ პიროვნებათა სახელებს, რომელთა დირსეული მაგალითებითაც სავსეა ჩვენი კავკასია: ...დავით აღმაშენებელი... მეფე ერეკლე... ხაჯი მურატი... შამილი... იოანე ბატონიშვილი... ილია... ვაჟა... ალუდა ქედელაური... და დაუგიწყარი კლდის ვეფხვი, – მიხეილ ხერგიანი...

...კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანნი!!!

სხვანაირად ვერ გავიგებდი გელა დუმბაძეს, მწერალს, პოეტს, მხატვარს, დრამატურგს, პოლიტიკოსსა და შემოქმედს, ლრმად და ფილოსოფიურად მოაზროვნეს დროისა და ერისა, რომლის სულსა გულშიც აღნიშნულ დირსეულ ადამიანთა გმირული სული ანთია, რამეთუ მან საქვეყნოდ უშიშრად განაცხადა მისთვის მიუღებელი მონური პოლიტიკის მიმართ პროტესტი...

მმობა და თანამშრომლობა, და მონობა კი არასოდეს... არამც და არა...

მე (თ.თავაძე) ასე გავშიფრე ის უშიშარი და სიმართლით სავსე ერთი მარტოხელა კაცის საქვეყნოდ გაცხადებული წინააღმდეგობა ლალატის მიმართ.

გთავაზობთ თავად დარწმუნდეთ ყოველივეში ქვემოთ შემოთავაზებული ნაწარმოებიდან.

## მე ვარ შხარა

გელა დუმბაძე  
მიხეილ ხერგიანის ხსოვნას

მე ვარ შხარა, – მწვერვალი, ამაყი და  
აღმატებული! მიწისა და ზეცის შუამავალი,  
მრავლის მომსწრე და ბევრის მნახველი,  
სახე-ნაიარევი და სხეულდასერილი, მრა-  
ვალ ნაძალაყინარი... მხოლოდ ნისლია ჩემი  
მეგობარი და გულის მესაიდუმლე, – მზე  
და მთვარე მთავარი განსმჯელები, ცას  
გაბნეული ვარსკვლავები - მონუგეშენი,  
ადამიანი მუდამ მოუსვენარი და  
შემწუხებელი...

ისიც იმიტომ, რომ მაშინ კარგ ხასიათზე  
ვიყავი და ასე მინდოდა, ასე მნებავდა,  
ასე მსურდა!.. ბევრიც შევიწირე, დავდუპე!  
აკი ვაფრთხილებდი, ვთხოვდი მათ, არ  
მომქარებოდნენ! ხან ქარბუქს ვუგზავნიდი,  
ხანაც გაუსაძლის ყინვას, ჟანგბადსაც  
ვუსპობდი, მაინც მოდიოდნენ... ზოგის  
სიკვდილს ვნანობ, ზოგისას არა... მაგრამ  
ყველა მათგანი მახსოვს! გარეგნობით და  
სახელებითაც. ყველა მათგანმა დამიტოვა



შხარა – ცხრა თავიანი მწვერვალი 5201 მ.

თავზე არავინ დამისვამს და არასდროს  
გამითამამებია!.. და მეღიმება – მათ ასე რომ  
ჰგონიათ. ვინც ამოვიდა, მე ამოვუშვი, ისიც  
ყველა ჩვეული გზით, - ჩემი ზურგის გავლით.

სამახსოვროდ: ჩაჭედილი ფოლადის სოლი  
ან გადამტვრეული ძალაყინი, ზოგმაც კი  
ჩემს გაყინულ უბეში – საკუთარი თავი.  
მაგრამ არავინ და არასდროს მიმიშვია

ჩემს ჩრდილოვან ბეჭზე, ხალხი დამრეც პედელს ომ ეძახის, ბევრი ეცადა და ცუდად, ძალიან ცუდად დაამთავრა.

მრავალი დღე იყო ერთმანეთის მსგავსი და მცირედ განსხვავებული. მერე, ეს მცირე განსხვავებაც გაიწოვებოდა ხოლმე და მოგონება ბუნდოვან ნისლად მრჩებოდა...

ერთი ოამ მახსოვს მუდამ, დღემდე არ მაგიწყდება... ეს მცირე ნაჭდევია ჩემს ბეჭზე... არა ძალაყინის, არა კბილანა ჩექმის და არა ძლიერი ხელის... ნაჭდევი, საიდანაც სისხლი გამუდმებით მსდის და მუდამ მახსენებს იმ დღეს...

...შეუჩნდნენ! არ მოასვენეს: — მიდი, გაბედე! სად არ ყოფილსარ, სად არ ასულსარ კლდის ვეფხვო! — მას კი ელიმებოდა... მიდი გაბედე, ყველა შენთან ვართ! ისმოდა ოამდენიმე დღე უწყვეტად გაუთავებლად. მას კი ელიმებოდა... მიდი, გაბედე!

შხარას ამაყ ბეჭზე შენს გარდა ვერავინ გაივლის. დამრეც კედელზე ცალი თითოთ დაკიდება ხომ შენი მოგონილია მიხეილ!

ბოლოს დათანხმდა. დასძლია ის უწევულო გრძნობა, ჩურჩულით ომ ესმოდა სიყმაწვილიდან: მხოლოდ აქ არა, ამ გზით არა! - ეჩურჩულებოდა უხილავი ხმა. ის კი იდგა და მუდამ ამაყი მწვერვალის ჩრდილოვან ფერდობს შესცქეროდა, — იმაში ლრმად დარწმუნებული, ომ ეს ხმა სწორედ იქიდან, — გულიდან მოდიოდა...

...კარგი ამინდი მოულოდნელად შეიცვალა. მაინც და მაინც მაშინ, ოოდესაც ორი დღის შემდეგ, როგორც იქნა, დამრეც კედელს მიადგნენ. ოვანი იყვნენ: ის, — „ვეფხვი“ და შვიდი სხვა: ნარჩევები, ტოლები, თხელ-თხელები და თანაც ჩაფსევნილები! მოდიოდნენ ჯიქურ, წარბშეუხელად და ლადად! - ეს საქმე თუ არ გახარებს, გლლის ან გორგუნავს, ხელიც არ უნდა მოკიდოო — ამხნევებდა მეგობრებს წინამდგარი.

დაეკიდნენ, გაიტრუნნენ... თოკები მოსინჯეს, — თოკები, ყმაწვილობიდან

ერთმანეთს სიცოცხლეს ომ უკავშირებდა, დიდ და საამაყო საძმოს.

სამოცდაათი მეტრი ორ საათში! ამდენზე არავინ ამოსულა. აი კუთხეც, ნათალი და ბასრი, სადაც შხარას ბეჭი მთავრდება და სულ რაღაც ორ ნაბიჯში, — მწვერვალია!

ცხოვრებაში პირველად გაუჭირდა... ძალიან გაუჭირდა! ერთ ხელზეც დაეკიდა, მეორეზეც. შემოტრიალდა კიდეც. ასე, დაკიდებულმა, ბიჭების თვალებში ჩახედა! — იმდინ სავსე თვალებში... არცერთი იყო მისი ძმა, მაგრამ ყველა ძმაზე უფრო უყვარდა. იგრძნო ომ ცოტაც და ყველას, — ძმობით და თოკით გადაბმულს, თან ჩაიყოლებდა!

- ძმებო, ძალა მტოვებს, თოკი უნდა გადაფჭრა! — ქამარზე დაკიდებულ ბებუთზე დაიხედა „ვეფხვმა“.

- მიდი, მიდი!.. მიდი, მიდი! - თითქმის ერთხმად გაამხნევა ყველამ და ოაოდენ გასაკვირია: არცერთ მათგანს ხმაში სასოწარკვეთილების იოტისოდენა ნიშანიც არ ჰქონდა.

კიდევ შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ!

- ძმებო ორი ხელითაც ძლივს ვკიდივარ, არაფერია ხელჩასაჭიდი, სარკესავითაა ეგ ოხერი!

- მიდი, მიდი! შენ ეს შეგიძლია! - მიდი, მიდი! გაამხნევეს ძმებმა.

მათი ანთებული, რწმენით სავსე თვალები ელგასავით ბურდავდნენ კლდეს, თითქოს თითოს მოსაჭიდი უნდოდათ გაეხვრიტათ ფოლადივით მტკიცე ქანში.

- ძმებოო!.. უნდა გადაფჭრა!

- მიდი, მიდი! მიდი, მიდი!... ლილეუე! ლილეე! - ერთხმად ამოხეთქეს გულიდან ძმადნაფიცმა სვანებმა. საოცრად და-აგუბუნეს: ლი-ლეე! - ათას ექოდ გაისმა მწვერვალიდან გამარჯვების სიმდერა!

შესაძლოა, ეს არნახული ერთსულოვნება, ძმათა უდრეკი რწმენა, წინაპართა საბრძოლო სიმდერა იქცა იმ ძალად, კლდის „ვეფხვს“ სიმხნევედ და ენერგიად, ზურგში რწმენად ომ მიეწია, გული გაუთბო და

# მ ე დ ე ა

გაუძლიერა და მას, ხელებ გადაჭლილს, გადაქანცულს – ბოლომდე უდრევ მებრძოლს, - აბსოლიტურად გამოუვალ მდგომარეობაში მყოფს, გაახსენდა ბოლო იარაღი!... კბილები!

ორიოდ წამში, აბსოლიტურად დამშვიდდა, მოეშვა... საბოლოო ძალიონე მოიკრიბა, ხელებზე მიიზიდა და კბილებში გამოცრა – ლილეეე!.. და... ოცდათორმეტი კაჟივით „ვეფხვის“ ბასრი კბილი ბეჭებში ჩასო შხარას!..

ისხდნენ მწვერვალზე, შზით გამოპარ დრუბლებს ამაყად გადაყურებდნენ ზემოდან. ისხდნენ და ერთმანეთს უდიმოდნენ... სიამაყესთან ერთად, გულის

სიღრმეში ემადლიერებოდნენ შხარას, რომ მან განსაკუთრებული პატივი დადო და მწვერვალზე ამ გზით ამოუშვა!.. და იქ არასდროს დაბრუნებულან...

მე ვარ შხარა, - ამაყი და აღმატებული! მიწისა და ზეცის შუამავალი, მრავლის მომსწრე და ბევრის მნახველი, სახუნაიარევი და სხეულ დასერილი, მრავალ ნაძალაყინარი, მხოლოდ ერთხელ დალაშქრული და... ბეჭზე ნიშან დასმული!

რეისი გვიპროსი -კიევი

13.11.2015



მიხეილ ხერგიანი

## ლმერთი და სული

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და მერე ეს კაცი, როგორც მიღებულია, მოქვდა. ამის მერე მან შეათვალიერა საკუთარი თავი და ძალზედ გაოცდა. სხეული საწოლში იდო და მას მხოლოდდა სული შერჩენოდა, შიშველი, გამჭვირვალე იმდენად, რომ ყველაფერი გასაგები იყო თუ რა, და რატომ. ადამიანმა მოიწყინა, — სხეულის გარეშე რაღაც უსიამოვნოდ გრძნობდა საკუთარ თავს და მყუდროებაც დაეკარგა. ყოველი მის მიერ ნაფიქრი აზრი, რაც კი გაუფიქრებია, მის სულში დაცურავდნენ, ისე როგორც ფერადი თევზები. ყოველი მისი მოგონება მისივე სულის ძირზე იდო — აიღე რომელიც გინდა, დაათვალიერე და ყველაფერსაც გაიგებ. ამ მოგონებათა შორის კარგიცა და ლამაზებიც იყვნენ, — რომელიც გინდა აიღე და დატკი. მაგრამ ზოგი ისეთებიც იყო, რომ მას თავადვე ეშინოდა მათი და ეზიზდებოდა კიდეც. იგი შეეცადა გადმოეფერთსა ისინი თავისი სულიდან მაგრამ ვერა და ვერ ახერხებდა ამას. მაშინ რაც ლამაზი იყო ულამაზოს მოპფინა ზემოდან, ანუ დამალა სისაზიზლე და გასწია დანიშნული გზით. ლმერთმა ერთი შეავლო თვალი მას და არც არაფერი არ უთხრა. ადამიანმა იფიქრა, რომ ლმერთს არ ეცალა და ზერელეთ გადახედა ყველაფერს ისე, რომ მხოლოდ მისაღები და ლამაზი დაინახა. ამის გაფიქრებაზე გაიხარა და სამოთხისაკენ გასწია რადგან ლმერთს მისთვის კარი არ დაუკეტია. გავიდა ხანი, ძნელად სათქმელია თუ რამდენი, იმიტომ რომ იქ, სადაც ეს კაცი აღმოჩნდა, დრო სულ სხვანაირად მიედინებოდა, ვიდრე დედამიწაზე, და ადამიანიც დაბრუნდა ლმერთთან.

- რისთვის დაბრუნდი? — ჰეითხა მან კაცს. მე ხომ სამოთხის კარი არ დამიკეტია შენთვის?!

- ლმერთო, — უპასუხა კაცმა, — მე ცუდად ვარ შენს სამოთხეში. მეშინიან თუნდაც ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი, — ძალიან ცოტა რამ თუ მაქვს სულში მოსაწონი და ისინი ვერც კი ფარავენ ჩემს სიგლახეს. ამიტომ მე განძრევაც კი მეშინიან, რომ სიკეთე არ ამოყირავდეს და მის ქვეშ დამალული სისაზიზლე არ გამოჩნდეს. ალბათ ყველა მაინც ხედავს იმას, რომ მე რაღაცას მაინც ვმალავ და ხვდებიან იმას, თუ რამდენად ცუდი ვარ მე.

- მაშ რას ითხოვ შენ? — იკითხა ლმერთმა, რომელიც დროის შემოქმედი იყო და რამდენიც გნებავთ იმდენი დრო ჰქონდა, რათა პასუხი გაეცა ყველასათვის.

— შენ ყოვლის შემძლება გულკეთილი ხარ, — სთქვა კაცმა. შენ გამჭოლად დაინახე ჩემი სული, მაგრამ არ გამაჩერე, ოდეს შევეცადე ჩემი ცოდვების დამალვა. შემიბრალე, მოაცილე ჩემს სულს ყოველი სიგლახე, რაც კი მასშია.

- მე სულ სხვა თხოვნას მოველოდი — უპასუხა ლმერთმა. მაგრამ მე ისე გავაკეთებ, როგორც შენ გინდა, — და ლმერთმა მის სულს მოაშორა ყოველივე ის, რისიც ადმიანს რცხვენოდა. მან ამოიღო მისი მეხსიერებიდან გამცემობისა და დალატის, სიმხდალისა და ვერაგობის, სიცრუისა და ჭორის, სიხარბისა და სიზარმაცის ყოველი კვალი, მაგრამ დაივიწყა რა სიძულვილი მას სიყვარულიც დაავიწყდა. ყოველი დაცემის დავიწყებამ მას აღმაფრენაც დაავიწყა. სული იდგა ლმერთის წინაშე და იყო სრულიად ცარიელი—იმაზე უფრო ცარიელი, ვიდრე მაშინ, როდესაც საერთოდ

# მ ე დ ე ა

გაჩნდა ამ სამყაროში.

მაგრამ დმერთი გულკეთილია და სულში დაუბრუნა ისევ ის, რაც ამოიღო და ავსებდა მას.

ამის შემდეგ ადამიანის სულმა იქითხა:

- მაშ რაღა უნდა ვქნა უფალო? თუკი ბოროტება და სიკეთე ასე შესისხლხორცებულნი არიან ერთმანეთან, სადღა უნდა წავიდე. ნუთუ ჯოჯოხეთში?

- სამოთხეში დაბრუნდი, უპასუხა გამჩენმა, რამეთუ სხვა არაფერი შემიქმნია გარდა სამოთხისა. ჯოჯოხეთს კი შენ თავადვე ატარებ შენში.

და დაბრუნდა ადამიანი სამოთხეში, მაგრამ მოკლე ხანში ისევ დაბრუნდა უკან და წარსდგა წინაშე უფლისა. შენ ყოვლის შემძლევ, გულკეთილი ხარ. შემიბრალე, მომიტევე შეცოდებანი ჩემი.

- მე სულ სხვა თხოვნას ველოდებოდი, — უპასუხა დმერთმა. მაგრამ გავაკეთებ.

იმას, რასაც ითხოვ. და დმერთმა მიუტევა ადამიანს ყველაფერი რაც თუ რამ ჩაუდენია. და ადამიანიც წავიდა სამოთხეში.

მაგრამ გავიდა ხანი და ის ისევ დაბრუნდა დმერთთან.


- ახლა რადას ითხოვ ჩემგან? — შეეკითხა მას გამჩენი.

- უფალო! — სოქვა კაცმა. — მე ცუდად ვარ შენს სამოთხეში.

ყოვლის შემძლევ და მოწყალეო ჩემო დმერთო, შენ კი მაპატიე მე, მაგრამ მე, მე ვერ ვპატიობ ჩემს თავს. დამეხმარე.

- აი ამ თხოვნას მე ველოდებოდი, — სოქვა გამჩენმა.

- მაგრამ იმის მოცილებას რასაც მთხოვ, ეს ის ქვაა, რომლის აწევასაც მე ვერ შევძლებ, რამეთუ ეს ქვა მე ვარ, — სინდისი შენი, — და მისი აწევა და ამით ჩემი ამაღლება შენ, შენ თავად უნდა მოახერხო!!!



## ინტერვიუ ლმერთთან

„ რა მაგარი რამაა უმეცრება, – ყველაფერი იცი!!!  
/ფრთოსანი ფრაზა/

ერთხელ დამესიზმრა თითქოს ინტერვიუს  
ვიღებდი ლმერთისგან.

– “მაშ შენ გინდა ინტერვიუ ჩამო-  
მართვა?” – მკითხა ლმერთმა.

– თუკი შენ გაქვს დრო საამისოდ! –  
ვთქვი მე...

ლმერთმა გაიდიმა.

– ჩემი დრო მარადიულობაა.

– რა შეკითხვები გაქვს ჩემთან?

– ყველაზე მეტად რა გთრგუნავს ადა-  
მიანში?

და ლმერთმა მიპასუხა...

– მათ სწყინდებათ ბავშვობა, ჩქარობენ  
გახდნენ ზრდასრულნი, მერე ისევ ბავშვო-  
ბაზე ოცნებობენ.

– ისინი კარგავენ ჯანმრთელობას  
ფულის გაკეთებისას, და მერე კარგავენ  
ფულს მისდა აღსაღენად.

– იმდენს ფიქრობენ მომავალზე, რომ  
ავიწყდებათ მყოობადი... ავიწყდებათ, რომ  
არ ცხოვრობენ არცა მყოობადსა და არცა  
მომავალში...

მან აიღო ჩემი ხელი საკუთარში და ჩვენ  
გარკვეული დროით დავდუმდით...

და მაშინ ვიკითხე...

– როგორც მშობელს, ცხოვრების რო-  
მელი გაკვეთილები გსურს, რომ ვისწავლოთ  
ჩვენ, შენმა შვილებმა.

– დაე იცოდნენ, რომ ვერავის აიძუ-  
ლებთ რომ შეგიყვარონ... ყველაფერი  
რაც მათ შეუძლიათ რომ გააკეთონ,  
ესაა – გახდნენ საყვარელნი.

– დაე შეიგნონ, რომ ძალზედ ცუდი  
საქციელია სხვების მიმართ თავის თავის  
შედარება.

– ისწავლონ პატიება, პატიებით.

– ახსოვდეთ, რომ საყვარელი ადამიანის  
გულის ტკენას სულ რამოდენიმე წამი  
ესაჭიროება, მაგრამ იარის მორჩენას  
მრავალი წელი დასჭირდება.

– გახსოვდეთ, რომ არსებობენ ადა-  
მიანები, რომლებსაც თქვენ უყვარხართ...  
მაგრამ უბრალოდ, მათ ჯერ ვერ ისწავლეს  
საკუთარი გრძნობების გამოხატვა...“

– შეიგნონ, რომ ორი ადამიანი ერთსა  
და იგივეს, სხვადასხვანაირად ხედავენ.

– კარგად დაიმახსოვრონ, რომ ერთმა-  
ნეთის პატიება ცოტაა... უპირველეს  
ყოვლისა საჭიროა საკუთარ თავს აპატიო.

– გმადლობ ჩემზე დახარჯული შენი  
დროისათვის, – ვუთხარი მე გამჩენს  
გაუბედავად...

– არის კიდევ რაიმე ისეთი, რისი  
გადაცემაც გსურს, შენი შვილებისათვის...  
ლმერთმა გაიდიმა და სთქვა...

– დაე გაიგონ, რომ მე აქა ვარ მათოვის...  
სთქვა მან და თვალი მიმოავლო რა  
მთელს სამყაროს, ხელი გულზე დაიდო და  
დაამატა

ყოველთვის !!!

## სიყვარულის სიღიადე

ე.ი.რერიხი

სიყვარული საპირისპირო საწყისთა შორის განხილულ უნდა იქნას ორგორც კოსმოსის სიღიადის ულამაზესი გამოვლინება. რამეთუ ჭეშმარიტად, სულიერად მკვდარია ის, ვინც მოკლებულია ამ შთაგონებისა და შემოქმედების ლვთაებრივ ცეცხლს, ოომელიც ჩვენში კოსმიური არსებობის ნებამ ჩადო. საუბედუროდ, დღემდე არ არსებობს ამ უძლიერების კოსმიური შენების ჭეშმარიტი საფუძვლის გაგება. ადამიანებმა დაივიწყეს, ან უფრო სწორად ოომ ვთქვათ, ადამიანებს არ სურთ აღიარონ სიყვარულის უდიადესი კოსმიური მნიშვნელობა. ჩვენი საუკუნის მატერიალიზმა სიყვარული ფიზიოლოგიური ფუნქციის დონემდე დაიყვანა. ჩვენს დროში, სიყვარული, საუკათესო შემთხვევაში, გაგებულია ოოგორც ფსიქოლოგიური მოვლენა, მაგრამ თუ ხელახლა ისევ შეიგნებენ სიყვარულის კოსმიურობას, მაშინ დაიწყებენ მისი უმაღლებების გამოვლინებების ძიებას ისევე. ოოგორც მისი ყოველი უმაღლებები ემოციებისა და შემოქმედების ნიჟის ძებნას. ზუსტად ამ გამოღვიძებაშია დამალული სიყვარულის მთავარი მიზანი და მისი მთავარი შინაარსი.

სიყვარული არის შემოქმედების ერთიანი ძალა. სიცოცხლის უზენაეს გეგმილებზე ყველაფერი აზრით შენდება, მაგრამ ამ აზრის წარმოსახვითი მოვლენების განსხეულებებს ორი ისეთი საწყისი ესაჭიროება, რომლებიც კოსმიური სიყვარულით არიან შეერთებულნი. ბევრი გაუგებრობითაა ჩახერგილი ორი საწყისის ჭეშმარიტი ურთიერთობის წარმოდგენები. ბევრი დააშავეს რელიგიებმა, განსაკუთრებით ქრისტიანობამ კოსმოსის ამ უდიადესი საიდუმლოებების მიმართ, როდესაც

დაამცირეს და დაკნინეს ქორწინებაც და ქალიც, თავისი სიყვარულის მიმართ ზიზღით და ქორწინებაზე უარის თქმითა და ბერობითაც, რაც სულიერ სიღატაცეს წარმოადგენს სინამდვილეში და მათ კი, თავის მხრივ, უზენაეს მიღწევად შერაცხეს(???)



(1879 - 1955)

ეს საშინელი ურჯუკობა მძიმე შედეგებით აისახა კაცობრიობაზე, რომელთა შორის ხორცის გვემა უმცირესი ბოროტება. გავიხსენოთ ყველა პირფერული დანაშაული, ყველა საშინელი სექსუალური უკუღმართობა და დანაშაული, რომლებიც ამ აკრძალვებისა და მათი გმობის საგნების წარმოდგენებიდან არიან წარმოშობილნი, რაც ასე აშკარად ეწინააღმდეგება კოსმიურ კანონებს.

ასევე საფეხბით გაუგებარია ქრისტეს სიტყვები: ყოველი ვინც ქალს უცქერს,

შეკვე სიყვარულშია მასთან საკუთარ გულში."

ეს სიტყვები სულების მსგავსობისა და კანონიერი ქორწინების კოსმიური კანონის ნათლის ჭრილშია გასაგები, რომელზედაც მე უკვე მაქვს ნათქვამი ჩემს ჩანაწერებში. სწორი კავშირები სასურველ წონასწორობას მოუტანენ კაცობრიობას.

დიახ, ზუსტად რომ საშინელი სიძვა ანგრევს კაცობრიობას და დედამიწას კი დაღუპვით ემუქრება.

უდიდესი საიდუმლოების სწორი გაგება, ქალური საწყისის მიმართ პატივისცემა გარდასახავებ მსოფლიოს. ადამიანებმა სიყვარულის ღვთაებრივი საწყისი უნდა ამოხსნან მისი უზენაესი გამოვლინებით და ასევე აქ, ამ დედამიწაზე ეძიონ მისი ანარეკლი. და მაშინ, თავად შთამომავლობაც, როგორც სიყვარულის ნაყოფი, გაცილებით უფრო ხარისხიანი იქნება, ვიდრე შემთხვევითი ნასიძვარებით შექმნილი შთამომავლობა.

ამიტომ ქორწინება მხოლოდ შთამომავლობისათვის, აი რა არის ჭეშმარიტი სისაზიზლრე და მკრეხელობა.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი არის სამყაროს ნაწინასწარმეტყველები შემოქმედი, ამიტომ შემოქმედების მისი ყველა ნაირსახეობა სულიერი შინაარსიდან უნდა გამოვლინდეს, რაც მხოლოდ უმაღლესი სიყვარულის წვის შედეგი გახდება. მხოლოდ სიყვარული ამჟღავნებს ყოველ დამალულ ცეცხლოვანებას, აი ასეთნაირადაა ყოველი შემოქმედების ფუძეში ჩადებული დიადი მიზიდულობა და დიადი სიყვარული.

სამყაროში ყველაფერი სიყვარულზეა დამოკიდებული და სიყვარულზე დგას. სიყვარულმა უზენაესი წვდომისაკენ უნდა წაგვიყვანოს.

ახლა კი გისურვებო ყოველ ნათელს ამ მიმდინარე ციკლში, და განაგრძეთ შემოქმედება, ისე რომ მოქებოთ ყველაზე ამაღლებული, ყველაზე საოცარი

და დამაჯერებელი სიტყვები თქვენს შთაგონებით აღვისილ შემოქმედებაში ამ სამყაროს ჭეშმარიტი დედის სიყვარულის საგადოლობლებ ში.

როდესმე დაწერო სამყაროს დედის საბურველისადმი მიძღვნილ შესანიშნავ ჰიმნებსაც.

რა მშვენიერია სამყაროს დედის ხატება! რამდენი სილამაზე, თავგანწირვა და ტრაგიზმია ამ უდიადეს სახებაში! მიმართეთ თქვენი გული უზენაესისაკენ და სიხარული და წვა დაისადგურებს თქვენს გულში. მთელი შემოქმედება, მთელი მისტიური აღტაცებანი ადამიანისა წარმოადგენენ იგივე დაფარული, თუ აშკარა სიყვარულის შედეგს. და გვახსოვდეთ, – წმინდათათვის, ყველაფერი წმინდაა.

ოდესმე მიუძღვნით შესანიშნავ ჰიმნებს სამყაროს დედის საბურველს, რომელიც ცისარტყელას ყველა ფერებით ელავს და სიცოცხლისა და შემოქმედების ყველა სიხარულს იტევს, რამეთუ არ არსებობს, არცა სიცოცხლე და არცა სულის გამოვლინება სამყაროს დედის – ყოველი არსებულის, დიადი მატერიის გარეშე სულის, მატერიისადმი დაპირისპირებამ წარმოშვა უმეცართა გონებაში ურჯულისანი მატერიის მცნების მიმართ, როგორც რაღაც სიმდაბლის მიმართ, და ეს იმ დროს, როდესაც სინამდვილეში სული და მატერია ერთია! სული მატერიის გარეშე არარაობაა და მატერია კი, თავის მხრივ, არის კრისტალიზებული სული. ჩვენს თვალთახედვაში გამოვლენილი სამყარო ისევე, როგორც მისი უხილავი ასპექტი, გვაძლევს გასხივოსნებული მატერიის აურაცხელ სიმრავლეს უზენაესიდან უმდაბლესამდე. სადაც მატერია არაა, იქ სიცოცხლეც არ არსებობს. ასე რომ აინთეთ სულითაც და გულითაც!

ყოველი სიხარულის სურვილებით  
გ.რერიხი

## ორი ახალგაზრდა და ორი მზეთუნახავი

ორი ახალგაზრდა კაცი სთავაზობენ ორ ქალიშვილს ცოლ-ქმრობას.

ერთმა შესთავაზა: მე შემიძლიან შემოგთავაზოთ მხოლოდ ჩემი გული, რომელშიდაც ის ერთ-ერთი თქვენთაგანი შევა, რომელიც თანახმა იქნება გაიზიაროს ჩემი ურთულესი გზა.



მეორემ კი ასე ბრძანა: მე შემიძლია შემოგთავაზოთ უზარმაზარი სასახლე, რომელშიდაც ჩემს მეწყვილეს ვთავაზობ ჩემთან ერთად გაიზიაროს სიცოცხლის სიხარული.

ერთ-ერთმა ქალიშვილმა დაფიქრების შემდეგ ასეთი პასუხი მიუგო ვაჟს: გულში, რომელსაც შენ მთავაზობ, სიცოცხლის მოგზაურობა ძალზედ შეზღუდულია ჩემთვის. იგი ხელის გულზეც კი დამეტევა, და მე კი მსურს სასახლის დარბაზების ვრცელი სავანე, სადაც მე არ მოვიწყენ. იქ ბევრი იქნება სივრცეც და სინათლეც, მაშასადამე დიდი ბედნიერებაც.

ვაჟმა, რომელიც სასახლე ახსენა, ხელი ჩაკიდა ამ ქალიშვილს და უთხრა:

— შენი სილამაზის საკადრისია ჩემი სასახლის მშვენიერება, — და თან წაიყვანა სატრფო.

მეორე ვაჟს, რომელმაც მხოლოდ გული შესთავაზა არჩევანში, ქალიშვილმა გაუწოდა ხელი და ჩუმად უთხრა: ამ სამყაროში არ არსებობს უფრო თბილი და მყუდრო სავანე, ვიდრე ადამიანის გული. ვერცერთი, თუნდაც ყველაზე დიდი სასახლე, ვერ შეედრება თავისი ზომებით გულის წმინდა სავანეს.

და ქალიშვილი თავის რჩეულთან ერთად შეუდგა მთის მძიმე აღმართს, რადგან მან მასთან ერთად ეს ბედნიერება ისურვა.

იოლი როდი იყო გზა. ბევრი სიძნელე და განსაცდელი განიცადეს მათ თავიანთ გზაზედ, მაგრამ საყვარელი მეუღლის გულში ქალი თავს მშვიდად და მყუდროდ გრძნობდა და ბედნიერების განცდა არა-სოდეს არ ტოვებდა მას. იგი მის გულში არასოდეს არ გრძნობდა იწროებას, რადგან სიყვარული რომელსაც მეუღლის გული ყველასათვის განაფრქვევდა. გულს სულ უფრო მეტად და მეტად ზრდიდა და ყოველი სულიერი მასში პოულობდა თავის ადგილსაც და ბედნიერების წილსაც. გზის დასასრულისას მთის მწვერვალზე, რომელიც ღრუბლებში იმალებოდა მათ ისეთი კაშკაშა სინათლე დაინახეს, ისეთი სითბო იგრძნეს, რომ ყოვლისმომცველი სიყვარული დაეუფლათ მათ და მიხვდნენ იმას, თუ რა ბედნიერება ელოდება ადამიანს, თუკი მისი ცხოვრების გზა გულზე გადის.

ლამაზმანმა კი, რომელმაც სრა-სასახლე ირჩია დიდხანს როდი იგემა მდიდრული ცხოვრება, ვრცელი ციხე-დარბაზებით ტკბობა და სასახლის ელვარება. სულ


მალე იგი მიხვდა, რომ რამდენადაც დიდი არ უნდა იყვეს სასახლე, მას მაინც უდევს ზღვარი და... მიხვდა, რომ ოქროს გალიაში გამოიმწყვდია თავი, რომელ შიდაც მას სული ეხუთებოდა და ვეღარ მდეროდა. იგი ისედებოდა ფანჯრიდან, მარმარილოს სკეტებს შორის ბორგავდა და გამოსავალს კი ვერა და ვერ პოულობდა. ყველაფერი გულზე აწვებოდა, ახრჩობდა და თრგუნავდა მას. და იქ, ფანჯრებს მიღმა კი, იყო რაღაც, რაც არ იგრძნობოდა, მაგრამ იყო ძალზედ მშვენიერი. სასახლის ვერანაირი მშვენება ვერ შევდობოდა იმას, რაც ფანჯრების მიღმა იყო იმ უკიდეგანო, შეუზღუდველ სივრცეში. მზეთუნახავი მიხვდა რომ ვერასოდეს მიწვდებოდა იმ შორეულ ბედნიერებას. მაგრამ მაინც ვერ მიხვდა იმას, თუ რომელი გზა მიდის ბედნიერებისაკენ. იგი ტიროდა და დარდობდა მხოლოდ, და დარდი კი შავი

საბურველივით ეხვეოდა და ეხვეოდა მის გულს, რომელმაც თითქმის უკვე შეწყვიტა ფეთქვა. და ბოლოს... „ლამაზი ჩიტი” მოკვდა დარდისაგან ოქროს გალიაში, რომელიც თავადვე აირჩია.

ადამიანებს დაავიწყდათ, რომ ჩიტები არიან. ადამიანებს დაავიწყდათ რომ ფრენა შეუძლიათ. ადამიანებს დაავიწყდათ რომ არსებობენ უკიდეგანო სივრცენი, რომელ შიდაც შეიძლება შეფრინდე და არასოდეს არ დაიხრჩო.

ვიდრე არჩევანს გააკეთებდე, გულს მოუხმინეთ და არა გონების გამყინვარე არჩევანს, რომელიც უფრო ანგარებიანია— ვიდრე მგრძნობიარე.

ადამიანებს დაავიწყდათ, რომ სწრაფი ბედნიერება არ არსებობს, რომ ბედნიერებისათვის რთული და გრძელი გზაა გასაჭლელი და აი ამაშია ადამიანის სიცოცხლის შინაარსი.



## ს ი ყ ვ ა რ უ ლ ზ ე!

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი.  
/შოთა რუსთაველი/



რა თქმა უნდა, რომ სიყვარული ყველაზე  
დიდი ბედნიერებაა და ამიტომ, ასევე  
ყველაზე დიდი, სრულყოფილი სიხარულიც.  
სიხარული ხომ განსაკუთრებული სიბრძნეა!  
ამას პლატონი ამბობს, რომლის  
მიმართაც ოდითგანვეა ნათქვამი, რომ ერთი  
პლატონიც კი ეყოფოდა მთელ სამყაროსო!  
დიახ, ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს, რადგან  
სიყვარულზე პლატონის გამონათქვამი  
შეიცავს სამყაროს მთელს ფილოსოფიას,  
ყველა, ყველა რელიგიისა და მოძღვრების  
ფუნდამენტალურ იდეას, – საკუთარი თავის  
იმ დონემდე სრულყოფილებას, როდესაც  
შეუძლებელია არ გახდე საყვარელი  
იმისათვის, ვინც გიყვარს. და აჲა, პლატონის  
გამონათქვამიც: აგიყვარდეს, ნიშნავს

### გახდე საყვარელი!"

ჩვენ ვცდილობთ ყოველი მხრიდან  
გაგაშუქოთ ეს აფორიზმი, კაცობრიობის  
გამთლიანების ეს ერთადერთი ფუნ-  
დამენტალური იდეა, რომელიც ქრისტუ-  
შობამდე ხუთი საუკუნით ადრე გაცხადდა  
როგორც ქრისტიანობის ქვაკუთხედი და  
სომის, – ანუ მჭიდის ქვა!

ამ იდეას აშუქებს მსოფლიოს ყოველი  
დიდი თუ პატარა რელიგია და ამ  
უამრავ, ზღვა განმარტებათა შორის,  
განსაკუთრებული თვალმარგალიტის  
ელვარებით ბრწყინვას დგთაებრივი  
ფრანცისკ ასიზელის განმარტება  
სრულყოფილი ბედნიერების შესახებ...

\* \* \* \* \*

ერთ სუსხიან საღამოს, მმა ლეონე და წმინდა ფრანციზე ასიზელი პერუჯიდან პორციუნკულისაკენ მიემგზავრებოდნენ. მმა ლეონე წინ მიუძღვოდა, წმინდანი მას კვალში მიჰყებოდა. ზამთრის პირველი ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი მათრახივით სცემდა მათ შეცივნულ სხეულებს, ანაფორები შემოხეოდათ ტანზე და შიმშილისა და დაღლილობისაგან მოთმინება მთლად გასცლოდათ მათ. ასეთი იწროების გამო სანტა მარია დელლა ანჯელის ქოხმახები სამეფო დარბაზებად ელანდებოდათ და მგზავრებს ამხნევებდა იმ ძმებზე ფიქრიც, რომლებიც ელოდებოდნენ მათ და მათთვის შემონახული ჰქონდათ საუკეთესო ლუკმებიცა და შეშაც, რათა მათი მოსვლისას ბუხარი გაეჩაღებინათ.

“მმაო ლეონე, — სთქვა ფრანცისკმა, — ჩაწერე ის, თუ რა არის სრულყოფილი სიყვარული. ”

ჩვეულებრივად იგი ამბობდა „ჩაწერე”, რადგან მმა ლეონე მისი მდივანი იყო, მაგრამ იმ წუთში იმიტომ სთქვა ასე, რომ მეტად მნიშვნელოვან აზრს გამოხატავდა, აზრს, რომელიც მისი მოძღვრების ძირითად იდეას წარმოადგენდა: „თუმცა კი, ყოველ მხარეში, ჩვენი ძმები ჭეშმარიტი სიწმინდისა და კეთილ შობილების მაგალითებს განასახიერებენ, ჩაწერე და განსაკუთრებით გაუსვი ხაზი, — ამაში როდია სრულყოფილი სიხარული.”

ისინი დუმილით განაგრძობენ გზას და ფრანცისკმა კვლავ წარმოსთქვა: “მმაო ლეონე, გამჩენმა დმერთმა ჩვენს უმცროს ძმებს გინდაც რომ ისეთი მადლი მიანიჭოს, როგორიცაა სნეულთა განკურნება, ისევე როგორც მრავალი სხვა სასწაულის ნიჭი, თუნდაც გარდაცვალებულების მეოთხე დღის შემდეგ გაცოცხლებისა, ჩაწერე, რომ ამაში მაინც არაა სრულყოფილი სიხარული”.

გარკვეული ხნით ისევ დუმილი

ჩამოვარდა, შემდეგ ფრანცისკმა უფრო ხმამაღლა სთქვა: “მმაო ლეონე, თუკი უმცროსმა მმამ ყოველი ენა, ყოველი მეცნიერება და წმინდა წერა შეისწავლა, ასევე ხვდება და გვიმხელს ჩვენ ჩვენს მომავალს და იცის ადამიანის ცნობიერების საიდუმლოებანი, ჩაწერე რომ არც ამაშია სრულყოფილი ბედნიერება”.

კვლავ დადუმდნენენ. მმა ლეონეს ნელნელა ავიწყდებოდა სიცივე და იგი ღრმად ჩაიძირა მოძღვრის სიტყვებში, გონებაში საკუთარ თავს ეკითხებოდა, — მაშ სადღა უნდა ვეძიოთ სრულყოფილი სიხარულიონ და წმინდა ფრანცისკმა კიდევ უფრო ხმამაღლა ბრძანა: “ო, მმაო ლეონე, უმცროსი მმა, თუნდაც ისე კარგად ფლობდეს ქადაგებას, რომ ყოველი ურჯულოს ქრისტეს რწმენისაკენ შემოქცევა შეეძლოს, ჩაწერე, რომ არც ამაშია სრულყოფილი სიხარული. თუკი მახარობელი გამცნობს, რომ პარიზის ყველა ქადაგი ჩვენს ორდენში შემოვიდაო, ჩაწერე: “ეს სიხარული, — სრულყოფილი არაა. ალპების პირიქითა მხრიდანაც რომ გვეახლოს ყველა პრელატი და არქიეპისკოპოსი, და თუნდაც თვით საფრანგეთისა და ინგლისის მეფენი ჩვენს ორდენში შემოსახვლელად, ჩაწერე: ეს ის სიხარული როდია”.

წმინდანის აზრების მოსმენის შემდეგ მმა ლეონემ აღარ იცოდა რა ეფიქრა და იკითხა: “მამაო, დვოთის გულისათვის გემუდარები, რაშია სრულყოფილი სიხარული?”

მაშინ ფრანცისკმა განუმარტა მას: “სანტა მარია დელლა ანჯელიში სველი რომ მივალ, მშიერი, გაყინული და გასვრილი; ყინულები ჩემს ანაფორას რომ მოსდებიან და შიშველი ფეხები რომ დამისისხლიანეს; და მე დიდხანს დაგაკაგუნებ კარებზე და კარისკაცს შევძახებ, მაშინ მოვა ძმა კარისკაცი და მკითხავს: “რომელი ხარ?” — და მე ვუპასუხებ: “მმა ფრანცისკი”. იგი მიპასუხებს, — „წადი, ეხლა რა დროს მოგზაურობაა, შენ აქ ვერ შემოხვალ”. მაგრამ მე ისევ დავაკაკუნებ, და იგი

განრისხებული გამოვარდება, ლანძღითა და მუჯლუგუნებით შემომიტევს და მეტყვის: “წადი, შენ პრიმიტიული და გონებაჩლუნგი ხარ და ნუდარ მოხვალ ჩვენთან! ჩვენ უკვე გავმრავლდით, მრავალი ნიჭი შევიძინეთ და შენში აღარანაირად არ ვსაჭიროებთ”. და მე, თუ ყველაფერ ამას ავიტან და მის მიმართ მაინც სიყვარულს ვიგრძნობ, გულში და სულში კი მაინც სიხარული ჩამეღვრება, მმაო ლეონე ჩაწერე, – რომ ამაშია სრულყოფილი სიხარული”.

უსიტყვოდ იდგა მმა ლეონე და უკვე აღარ გრძნობდა არცა შიმშილს არცა სიცივეს და არცა დაღლილობას და მხოლოდ გაოცებისაგან იყო გაოგნებული.

ფრანცისკი კვლავ ამეტყველდა: “და თუ ამის შევდეგ შიმშილით გატანჯული, ბნელი ლამისაგან დათრგუნული მე მაინც ჯიუტად მოვითხოვ: “დვთის გულისათვის, ეს დამე მაინც გამათვინე!”-ო, და იგი მიპასუხებს მე: “არა, კროჩიფერის საფარში მიბრძანდი; და გამოვა ჭოკით ხელში, კისერში წამავლებს ხელს და ძირს დამანარცხებს, თოვლში ამომავლებს, სახსრებს დამილეწავს, და ყოველივე ამას მოთმინებითა და სიხარულით ავიტან, ქრისტეს ჯვარცმის მაგალითით შთაგონებული, – ჩაწერე მმაო ლეონე, რომ სრულყოფილი სიხარული ესაა.”

ახლა მთავარი მოისმინე. ყოველ ღვთაებრივ ნობათთა შორის, უმთავრესი და უკეთილშობილესი – საკუთარი თავის დამარცხების უნარია, როდესაც ნებით ქრისტეს სიყვარულით დებულობ ტანჯვებს, იტან წყევლა-კრულვას, დამცირებასა და ხელმოკლეობას. დვთის სხვა ნობათების გამო ჩვენ ვერ ვიამაყებთ, რამეთუ ისინი ჩვენ არ გვეკუთვნიან, არამედ ისინი ღვთისანი არიან, ამიტომ საკუთარი თავის ამაღლება მაშინ მოდის, როცა იწროების ჯვარს ეზიდები, რამეთუ მხოლოდ იგია ჩვენი ჯვარი”.

ეს საუბარი ქრისტიანული ფილოსოფიის საუკეთესო ფურცელი გახლავთ,

რამეთუ იგი ადამიანის სულს უზენაესი მწვერვალებისაკენ ამაღლებს.

იგი გულისხმობს იმას, რომ მოწაფემ უკვე განვლო საჭირო მანძილი ამაღლების გზაზედ. როცა წმინდა ფრანცისკი იმ მიჯნებს ჩამოთვლის, რომელთა მიღწევებს სიხარული მოჰყვება, არ ახსენებს იმ, სხვა ადამიანურ სიკეთეებს, რომელთა მიმართ მიიღოტვის მთელი კაციბრიობა – ჯანმრთელობას, სიმდიდრეს, სახელგანთქმულებას. წმინდა ფრანცისკი ასახელებს რჩეულ, სიკეთის მომტან ყველა თვისებას, – სიწმინდეს, სიბრძნეს, სასწაულმოქმედებას, ურჯულოთა მოქცევის ქადაგების უნარს... ასე, თვისებათა ხარისხის აღმატებულობის გზით, იგი საკუთარი ორდენის წარმატების იდეებს ავითარებს, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არასრულყოფილია და უძლური სრულყოფილი სიხარულისათვის, რომლის მისაღწევად იგი წამებისა და უმძიმესი ფიზიკური ტანჯვების, – შიმშილის, სიცივის, ზამთრიანი დამით მოგზაურობისაგან დაღლის საფეხურებით მაღლდებოდა; და ამ წამებულობის გზაზედ მწვავე დეტალების აღწერა: ყინულისაგან დასისხლიანებული ფეხები და სხვა სატანჯველი... პასუხად კი, მისი ღვაწლის უარყოფა, მის მიმართ ზურგის შექცევა იმ ძმებისაგან რომლებიც მისგან იყვნენ კურთხეული და მაინც, მიუხედავად გამაოგნებელი უმაღლობისა, ესოდენ საყვარელი არიან მისთვის. მან აღმოაჩინა, რომ ადამიანი რომელსაც უნარი შესწევს გადალახოს ეს სიძნელეები მოთმინებითა და სიყვარულით, აუცილებლად შეიგრძნობს ნეტარებას, რამეთუ ყველაზე დიდი ჯილდო აქვს მინიჭებული დვთისაგან – საკუთარი თავის დაძლევის უნარი.

/ამონარიდი წიგნიდან:

წმინდა ფრანცისკ ასიზელი/

\* \* \* \* \*

აი კიდევ ერთი, ჩემის აზრით ფრანცისკი, თუმცა... ამ შემთხვევაში,—”ინგლისელი”.

ჩარლი ჩაპლინის ამ საოცარი შედევრის წედომა შეუძლებელია, თუ საამისოდ ჩვენ არ მოვიშველიებთ დიდი ჰითაგორას მასწავლებლის, ეგვიპტელი ქურუმის განმარტებას სიყვარულზე:

თუ საკუთარი თავი გვიყვარს, ჩვენ სხვანიც გვიყვარს, რამეთუ ის სხვანი — თავად ჩვენა ვართ და თუ ჩვენ საკუთარი თავის მიმართ დავუშვებთ სიზარმაცეს, უგუნურებას, სნეულებებსა და მოშლილობებს, მაშინ ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენ არ გვიყვარს ღმერთი!!!

## შეიყვარე თავი შენი!!!


აი ამის შემდეგ უკვე შეიძლება წარმოგიდგინოთ ჩარლი ჩაპლინის გასაოცარი ესეს:

## რაც საკუთარი თავი შევიყვარე

- რაც საკუთარი თავი შევიყვარე ადმოვაჩინე, რომ ტანჯვა და ტკივილი, მხოლოდ გამაფრთხილებელი ნიშნებია იმისა, რომ ცხოვრება ჩემი მორალის ფარგლებს სცილდება. დღეს, ვიცი რომ ეს რეალობაა.
- რაც საკუთარი თავი შევიყვარე მივხვდი, თუ რარიგად ძლიერ შეიძლება ვაწყენინო ვინმეს, თუ ვეცდები, რომ მას საკუთარი სურვილები მოვახვიო თავს, მითუმეტეს თუ არც დროა შესაფერისი საამისოდ და არც ადამიანია მზად ამისათვის. დღეს, ამას, პატივისცემას გუწიდებ.
- რაც საკუთარი თავი შევიყვარე შევწყვიტე სხვა ცხოვრებისაკენ სწრაფვა, შევძლები დამენახა, რომ ყველაფერი რაც ჩემს გარშემოა ზრდასა და განვითარებაში მიწყობს ხელს. დღეს, ამას სიმწიფეს გუწიდებ.

— რაც საკუთარი თავი შევიყვარე, გავიაზრე, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველთვის საჭირო ადგილზე და საჭირო დროს ვარ... ყველაფერი კანონზომიერია. ასე, რომ შემიძლია მშვიდად ვიყო. დღეს, ამას თავდაჯერებულობას გუწიდებ.

— რაც საკუთარი თავი შევიყვარე, შევწყვიტე დროის ფლანგება და მომავლის გეგმების დაწყობა. დღეს მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც სიამოვნებასა და ბედნიერებას მანიჭებს, ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს და რასაც ჩემი გული აღტაცებაში მოჰყავს, ვაკეთებ



ჩვენ ვფიქრობთ ძალიან ბევრს და ვგრძნობთ ძალიან ცოტას.

ჩემი რითმითა და მეოთოდებით. დღეს, ამას უბრალოებას გუწიდებ.

— რაც საკუთარი თავი შევიყვარე, თავი დავანებე ყველაფერს, რაც ჩემთვის უსარგებლოა — ზედმეტ საჭმელს, ადამიანებს, ნივთებს, სიტუაციებს — ყველაფერს, რაც მამცირებდა და საკუთარი თავისაგან მაშორებდა. თავდაპირველად ამგვარ დამოკიდებულებას ჯანმრთელ ეგოზმს ვეძახდი, დღეს კი ვიცი, რომ ამას საკუთარი თავის სიყვარული ჰქვია.

— რაც საკუთარი თავი შევიყვარე, აღარც ვცდილობ ყოველთვის მართალი ვიყო და ნაკლებ შეცდომებსაც ვუშვებ. დღეს აღმოგაჩინე, რომ ამას მოკრძალება ჰქვია.

— რაც საკუთარი თავი შევიყვარე წარსულით აღარ ვცხოვრობ და აღარც მომავალზე ვდელაფ. ვცხოვრობ წამით, რომელშიც ყველაფერი ხდება. დღეგანდელი დღით ვცხოვრობ და ამას თვითრეალიზაციას გუწიდებ.

— რაც საკუთარი თავი შევიყვარე მი-  
გხვდი, რომ გონებამ შეიძლება განწყობა  
გამიფუჭოს და ცუდად გამსაღოს, მაგრამ  
როგორც კი გონება გულს დაფუკაშირე, —  
ის ჩემი საუკეთესო მოკავშირე გახდა. დღეს,  
ამ კავშირს გულის სიბრძნეს ვუწოდებ.

ჩვენ აღარ გვჭირდება გვეშინოდეს  
არგუმენტების, კონფრონტაციების ან კიდევ  
სხვა პრობლემებისა საკუთარ თავთან  
ან სხვებთან. თვით ვარსკვლავებიც კი  
ეჯახებიან ერთმანეთს და მათი შეჯახებით  
ახალი სამყაროები იქმნება, დღეს ვიცი,  
რომ ესაა ცხოვრება!

\* \* \* \* \*

## გვიპტელი ქურუმი ასწავლის პითაგორას...

დაიმახსოვრე, ძვირფასო პითაგორა:  
არასოდეს არ დარჩე სხვის იმედზე ამ  
სამყაროში, რამეთუ არავის ძალუბს  
შენი გადარჩენა, თუარა ერთიანსა და  
განუყოფელს, რომელიც თავად შენა ხარ.

იმუშავე საკუთარ თავზე, თავი მოუყარე  
შენს ყურადღებას და მიმართე იგი  
საკუთარი სამშვინველისაკენ, რომელიც  
შენს გირჩისებრ ჯირკვალში ცოცხლობს  
და შენ საკუთარი სიცოცხლის გამოცანასაც  
ამოხსნი.

იმ დღეს, როდესაც შენ ჰეშმარიტება  
მოგევლინება, შენ დაინახავ: უზენაესი —  
შენა ხარ! და მაშინ ჩაწვდები სიყვარულს  
მისი ჰეშმარიტი არსით; მიხვდები, რომ  
თუ საკუთარი თავი გიყვარს, ჩვენ სხვებიც  
გვიყვარს იმიტომ, რომ ეს სხვანი — თავად  
ჩვენა ვართ. და თუ ჩვენში შემოუშვებო  
სიზარმაცეს, გონების სიჩლუნებს,  
სნეულებანსა და მოშლილობებს — ეს  
ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ გვიყვარს  
სხვები, არ გვიყვარს დმერთი.

ამიტომ სიზარმაცე უმძიმესი დანაშაულია  
მთელი კაცობრიობის წინაშე.

დიახ, ჩემო ძვირფასო ჰაბუკო, ჩვენ

თავადა ვართ საკუთარი თავის მამები  
და დედები, დანი და მმანი და ყოველი  
ადამიანი ერთდოროულად. რამეთუ სამყარო,  
რომელიც ადამიანს გარს აკრავს — მისი  
გონების პროდუქტია. ყოველ ადამიანს  
საკუთარი სამყარო აქვს. როგორიცა ხარ  
შენს შიგნით — ისეთივეა გარე სამყაროც,  
რომელშიდაც ხარ შენ. საკუთარი თავის  
უკეთესობისაკენ შეცვლით, შენ მოელს  
სამყაროსაც აუმჯობესებ. და პირიქით:  
თუ შენი ხასიათი ფუჭდება, მაშინ შენს  
ირგვლივ მყოფი სამყაროც სულ უფრო და  
უფრო უარესდება.

\* \* \* \* \*

## წინაპართა დარიგება დღევანდელი საქართველოს უმეცართათვის

...მიღიოდა მოხუცი გზაზე, ტკბებოდა  
სამყაროს სილამაზით და ხარობდა  
ცხოვრებით. უეცრად მან უბედური ადამიანი  
შენიშნა, რომელსაც ძალზედ დატანჯული  
სახე ჰქონდა. ის მოთქვამდა და გარშემო  
ყველაფერს გმობდა.

— რატომ იმეტებ თავს ასეთი  
ტანჯვისთვის? — ჰყითხა ბრძენმა მოხუცმა.

— მე ჩემი შვილებისა და შვილიშვილების  
ბედნიერებისათვის ვიტანჯები, — უპასუხა  
მამაკაცმა. — ჩემი ბაბუის ბაბუა მოელი  
ცხოვრება იტანჯებოდა ბაბუაჩემის  
ბედნიერებისათვის, ბაბუაჩემი იტანჯებოდა  
მამაჩემის ბედნიერებისათვის, მამაჩემი  
იტანჯებოდა ჩემი ბედნიერებისათვის, ჰოდა,  
მეც უნდა დავიტანჯო მოელი ცხოვრება,  
ჩემი შვილებისა და შვილიშვილების  
ბედნიერებისათვის.

— ვინმე თუ იყო შენს ოჯახში ბედნიერი?

— იყითხა ამ ადამიანის უმეცრებით  
გაოცებულმა ბრძენმა.

— არა, მაგრამ ჩემი შვილები და  
შვილიშვილები აუცილებლად იქნებიან  
ბედნიერები. — უპასუხა უბედურმა ადამიანმა.

— უწიგნურს არ შეუძლია კითხვა

ასწავლოს ადამიანს, ხოლო თხუნელა ვერ აღზრდის არწივს! - მიუგო ბრძენმა. — ჯერ თავად ისწავლე როგორ იყო ბედნიერი და მხოლოდ შემდეგ მიხვდები, თუ როგორ აქციო შენი შვილები და შვილიშვილები ბედნიერად! ეს იქნება შენი საუკეთესო საჩუქარი, რაც კი საერთოდ შეგიძლია რომ გაუკეთო მათ.

P.S. თუ გსურს შეცვალო რეალობა შენს გარშემო, საკუთარი თავიდან დაიწყე!

\* \* \* \* \*

## ზღაპარი მძარცველზე

/მასწავლებელი გიორგი ბორევევი/

ერთ ახალგაზრდას სახელად ვატხა მეტად ძლიერად აინტერესებდა სასწავლები. ერთხელაც მან მოხუცი დაინახა, რომელიც ლურსმნებით ამოჭედილ ფიცარზე ისე იწვა თითქოს ბასრი ლურსმნები კი არა, არამედ ბუმბულის ლეიიბი იყოსო და თვალსაც კი არ ახამხამებდა. გაოცებულმა ვატხამ სთხოვა მოხუცს ესწავლებინა მისოვთვის ეს სასწაული. კი გენაცვალე, — უპასუხა მოხუცმა, — მხოლოდ სანაცვლოდ შენ უნდა იმათხოვო, და რასაც იშოვნი, — მე მომიტანო... ერთი წლის შემდეგ გასწავლი ყველაფერს თუ სიტყვას შეასრულებო. დიდხანს იჯახირა ვატხამ, გაუძლო მათხოვრობას და საწადელ მიზანსაც მიაღწია, — ისწავლა ლურსმნებზე წოლა, მაგრამ ჰქუა არ მომატებია.

ერთხელ ბაზრის მოედანზე სხვა მოხუცს გადაეყარა, ის თავის თავს იოგს ეძახდა. როცა გამოესაუბრა, აღმოჩნდა, რომ ლურსმნებზე წოლის მასწავლებელი, ამ მოხუცის მოწაფე ყოფილა, რომელსაც მოხუცმა უბრალო თვალთმაქცი ჯამბაზი უწოდა.

მე შენ უკეთეს რაღაცებს გასწავლიო, — უთხრა მას მოხუცმა. აი შეხედე, სთქვა

მან და ხელი გაიჩხვლიტა სადგისით ისე, რომ ხელის გულის მეორე მხარეს გავიდა და სისხლის წვეთიც კი არ გამოსულა... ამ სანახაობით შენ ბევრ ფულს იშოვი, მხოლოდ ნახევარი მე უნდა მომცეო, — სთქვა მოხუცმა...

ვატხამ ისწავლა სადგისით ხელის გაჩხვლეტა და მთელი დღეები ემსახურებოდა უკვე ამ, მეორე მოხუცს.

გავიდა ხანი და ვატხამ ამბავი შეიტყო ვიღაც მართლაც სასწაულმოქმედ იოგზე, რომელსაც მრავალი თაყვანისმცემელი მოსწავლე მუდამ თან დაჲყვებოდა. მოძებნა მან ეს მოხუციც და უკვე თამამად დაეკითხა მას: „რა განსაკუთრებულ ცოდნას ფლობ შენ? რა არის შენი სიბრძნე? მართლაც თუ ხარ შენ ჩემზე ძლიერიო და რით?”

რაზედაც სასწაულმოქმედმა უპასუხა ვატხას: „გადამიხადე 100 რუპია და ერთ წამში მოგართმევ ნებისმიერ კერძს მსოფლიოს საუკეთესო ოტელებიდან.”

ვატხამ გადაუხადა 100 რუპია და კერძი ლონდონის „სავოიას“ ოტელიდან მოისურგა. მართლაც, არსაიდან გაჩნდა შეკვეთილი კერძი.

ამის შემდეგ მოხუცმა შესთავაზა ვატხას მაჯის საათი. ვატხამ ისევ გადაუხადა ფული და იმწამსვე მის მკლავზე აბრჭყვიალდა შვეიცარიის საუკეთესო მაჯის საათი...

მასწავლე შენი ხელობა, — სთხოვა ვატხამ.

სასწაულმოქმედი დაფიქრდა და შემდეგ დათანხმდა დიდი საფასურის სანაცვლოდ.

გავიდა წლები. ვატხა სასწაულმოქმედი გახდა და მესამე მოხუცის სახლიც მიატოვა.

საკუთარ თავს მხოლოდ უდიდეს იოგს ეძახდა და ხალხს სხვადასხვა სამსახურს უწევდა საზღაურის სანაცვლოდ. მასთან უამრავი ადამიანი მოდიოდა და სთხოვდნენ ხან წამალს გერმანიიდან, ხან ბრაზილიის ყავას, ხან აფრიკის ქოქოსს, ხანაც ჩრდილო ამერიკის საკვებ პროდუქტებს. ვატხა დიდი სიხარულით ასრულებდა მსურველთა



თხოვნებს. მაგრამ ერთხელ მასთან მეოთხე მოხუცი მოვიდა. ის სასწაულმოქმედი არ ყოფილა, არამედ უბრალო ბერი იოგას ახლო მონასტრიდან. მან დაინახა ვატხას საგანთა მატერიალიზაციის ფენომენი და შეშფოთებულმა შეპყვირა: „რას ჩადიხარ შე არამზადავ!..” და დაუწყო ჯოხით ცემა. ვატხა ჯერ გაოგნდა და შემდეგ ტკივილებისაგან საცოდავად აყვირდა: რისთვის მირტყავ, მე ხომ სიკეთეს ვაკეთებ ამათოვისო? რაზედაც მოხუცმა უპასუხა: „შენ ჩაიდინე უამრავი ქურდობა. ითხოვ კამფეტებს, და ისინიც მოდიან შენთან ინგლისური მაღაზიდან. ისინი ინგლისში ქრებიან და მაღაზიის მფლობელმა არ იცის სად ქრებიან ისინი. ნივთები, რომლებსაც შენ აქ აჩენ, სხვადასხვა მაღაზიებში ქრებიან, რისთვისაც სულაც უდანაშაულო ადამიანებს იჭერენ და ციხეებში სვამენ. შენ ყველაზე დიდი მძარცველი ხარ!“

— მაპატიე მოხუცო, მე ეს არ ვიცოდი! — ტკივილებისაგან თვალცრემლიანი ტიროდა და მოსთქვამდა ვატხა.

ადარასოდეს ადარ გამოვიყენებ ამ ხელობას და არც არავის არ ვასწავლი მას!”

განვლო წლებმა. ვატხა აღარ ცდილობდა მოწაფეობას მავან და მავან სასწაულმოქმედებთან და არც თვითონ აღარ ასრულებდა ამ „სასწაულებს“.

ლოცულობდა და ლვთისნიერი ბერის სახელიც დაიმსახურა.

და აი ერთხელ ის მეხუთე მოხუცს გადაეყარა, რომელიც მართლაც ჰეშმარიტი იოგის ჰეშმარიტი მასწავლებელი გახლდათ და ეს იმ დროს მოხდა, როდესაც მან შემთხვევით, ამ წლების განმავლობაში პირველად ჩაიხედა სარკეში(!!!)...

...შეიცან თავი შენი, აი ასეთია ცხოვრების საბოლოო შინაარსი!

\* \* \* \* \*

## არსებობს თქმულება „ლუციფერის ნობათი“:

ბნელეთის სული ასე ფიქრობდა: „კიდევ უფრო ძლიერ როგორ მიგაჯაჭვო კაცობრიობა დედამიწას?.. დაე, შეინარჩუნონ ადათ-წესები და ჩვევანი. არაფერი ისე არ აკავშირებს კაცობრიობას ჩვეულებრივ სახეობებთან, როგორც ჩვევები და ადათი, მაგრამ ეს საშუალება ვარგა მხოლოდ მრავალთათვის. გაცილებით უფრო საშიშია მარტოობა. მარტოობისას ნათლდება გონება და იქმნება ახალი მიმართულებები. სულის მარტოობა იძლევა მომდევნო ფორმების წარმოსახვებს. საჭიროა განმარტოების დროის შეზღუდვა. არ შეიძლება ადამიანის მარტოობის დაშვება. შეგქმნი მათ ანარეკლს, დაე შეეჩვიონ საკუთარ სახებას.“ ბნელეთის მსახურებმა მოუტანეს ადამიანს სარკე (სატანას სარკე წარმოადგენს საკუთარი პიროვნების მიმართ მიჯაჭულობის სიმბოლოს ან ეგოიზმს. და ეს იმ დროს, როდესაც ლვთაებრივმა მიკროკოსმოსმა

უნდა ასახოს მაკროკოსმოსი, ეშმაგის სარკე კი – მხოლოდ საკუთარ ეგოიზმს ასახავს).

ამის შესახებ შეიძლება კიდევ ერთი ზღაპრის გახსენება: “ერთმა მოაზროვნებ ადამიანებს სასწაულებრივი სამკურნალო საშუალება წაუდო, რომლის წაღებაც დახურული ზარდახშით იყო საჭირო. ვერცერთმა ადამიანმა ვერ გაპედა ზარდახშის გახსნა, რადგან ადამიანთა ჩვეულ თვისებათა გამო, მათ ზარდახშის შიგნით შხამი ან ექიდნე ეგონათ. ასეთნაირადვე, შეიძლება შესანიშნავი საშუალების შეთავაზება, მაგრამ ადამიანები მას მაინც შხამად მიიღებენ. რჩება ერთადერთი გზა, როდესაც ადამიანები განძს მხოლოდ უბედურებათა და შიშის იძულებით თუ მიიღებენ. რას იზავ, თუკი სატანამ ასე მტკიცედ მიაჩვია ისინი ურწმუნოებას.

\* \* \* \* \*

## პოროტსა სძლია კეთილმან...

არავის ახსოვს, როდის მოიგონეს სატანამ და ბნელეთის მისმა მსახურებმა სარკე, დასალუპავად მოდგმისა ადამიანებისა, რაზედაც ასე უბრალო სიბრძნით საუბრობენ იგავნი. მათი ნაამბობიდან ჩანს, რომ სარკე დამღუპებია, რომ სარკეში ვერცხლია და ვერცხლის სიყვარულით აბრმავებს სატანა ადამიანებს, თუმცა...

დიდება უფალს უმწეოდ რომ არ დაგვტოვა და მოგვცა მოდგმას ადამიანთა ნებისმიერი უბედურების, სიბრძნის ძალით, სიკეთეში გარდასახვის უნარი...

მაშ ასე, – იგავნი ამეტყველდნენ:

იგავი პირველი:

ერთ ბრძენს ჰკითხეს, – რატომაა რომ დარიბი ადამიანი უფრო კეთილია, ვიდრე მდიდარიო?!

ბრძენმა უპასუხა: – აბა გაიხედე ფანჯარაში და მითხარი რას ხედავო?

კაცმა გაიხედა და სთქვა, – ეზოში ბავშვები თამაშობენო.

– ეხლა სარკეში ჩაიხედე და რას დაინახავო?

– სარკეში საკუთარ თავს ვხედავო. და სარკე აქ რა შუაშიაო?

– განა ვერ ხვდები, რომ შუშა ორივე შემთხვევაში შუშა, მაგრამ ფანჯარა გამჭვირვალეა და ყველაფერს ხედავ მის მიღმა, რაც თუ რამ ხდება და შუშას, რომ ვერცხლი აეფარება საკუთარი თავის მეტი აღარაფერი ჩანსო. – მიუგო ბრძენმა.

აი ასე განმარტა იგავმა კაცობრიობის ვერცხლის მოყვარულობით უბედურებათა არსებობა და ისიც განმარტა მან, თუ როგორ დააბრმავა სატანამ კაცობრიობა „ვერცხლით“. თუმცა ყველა ვერა, – ბრძენკაცების მცირერიცხოვანთა გუნდი მუდამ მიუძღვდა კაცობრიობას წინ და მათი სახელები კარგად არიან ცნობილი მთელს დედამიწაზე, – მოსე, ქრისტე, ბუდა და სხვანი და მათთან ერთად ეროვნული სიბრძნეც ერისა ყოველისა...

\* \* \* \* \*

მოსემ ოქროს ვერძი დაამსხვრია, მაგრამ ოდეს კერპი აღადგინეს, მოსე მიხვდა რომ საჭირო იყო მცოდნეთა და არამცოდნეთა ხარისხებად ადამიანთა დაყოფა და ამიტომაც აღარ დაანგრია ახალი ოქროს კერპი. სამაგიეროდ შექმნა განდობილთა კერა 72 კაცისაგან, რომლებიც იმ დღიდან დღემდე მოდიან და მათ უკვე სახელიც აქვთ, – ეს სეველები.

ის რომ სარკე დამღუპველია, ეს დღესაც კარგადაა ცნობილი ტიბეტში, მაგრამ

სარკის მიმართ მათ საბედისწერო შეცდომა დაუშვეს იმით, რომ სარკეები ტიბეტში არ არსებობდა უკვე მათი ცნობილი შინაარსის გამო და მაინც, სარკეების უქონლობამ ტიბეტს ვერ უშველა და აი რატომ.

სარკეს ორი დანიშნულება ჰქონდა ერთი უკვე ვიცით,— სატანას სურდა კაცობრიობის დაღუპვა და მეორე ის რომ, ბრძენკაცებმა თავიანთი სიბრძნე დაუპირისპირეს სატანას ჩანაფიქრს და ბოროტება სიკეთედ აქციეს.

სატანას ჩანაფიქრი იყო ის, რომ სარკის მფლობელი საკუთარ თავს დაინახავდა და სხვის მიმართ საკუთარ განსხვავებასაც შეამჩნევდა და ამით გაამაყდებოდა იგი და დაიბადებოდა ყველაზე დამღუპველი სენი, — ამპარტავნება!!! ვისაც სარკე არ ჰქონდა საკუთარ თავს ვერ ხედავდა და თავს ვეღარ ილამაზებდა ისე, როგორც სარკის მფლობელი, რომელიც პირსაც მოიბანდა, ტუჩებსაც შეიღებავდა და წარბებსაც გაიკეთებდა... და დაიბადა განსხვავებათა ნიადაგზე ამპარტავნება. ასე რომ სარკის უქონლობა მოიშველიეს ტიბეტში და კატეგორიულად აკრძალეს იგი და, როგორც დავინახავთ,—ამაოდ. ამპარტავნება არა, მაგრამ სხვა სენი შეეყარა ტიბეტს, — ჩვევები...

დაეჩვივნენ სმას, მექალთანეობასა და შავ მაგიას და ამ უბედურებიდან ტიბეტი ბუდიზმის რეფორმატორმა, ცონკაპამ გადაარჩინა: ასი ათასამდე ლამა (მღვდელი) გააძევა, დილეგებში ჩაყარა და დახოცა კიდეც და ამით აღადგინა ტიბეტში წმინდა ლამაიზმი (წმინდა სამღვდელოება).

იდეოლოგიურად ქრისტე უფრო მკაცრად იქცევა ვიდრე მოსე და ეპლესიდან უშეღავათოდ გააძევებს მეგაზეებს, ფარისევლებსა და მწიგნობრებს.

უბირთა სივრცეში სარკის უბედურებას, ბრძენმა ადამიანებმა მრავალი სიკეთის ქმნა მოუგონეს და სიკეთეთა ამ სიმრავლიდან გვინდა მხოლოდ ორი იგავი გამოვყოთ: პირველი აღმოსავლური და მეორე ქართული.

**იგავი მეორე:**

## სუფი და მოსწავლე

ერთმა სუფიმ მოწაფე აიყვანა და ყოველი საქმის წინ მძაცრად ითხოვდა ლოცვას.

მოწაფე საქმის გაკეთებას ცდილობდა, რათა ოსტატისათვის ეამებინა და ის კი რაღაცნაირად ხედებოდა, რომ მოწაფეს ლოცვა ეზარებოდა და საქმის გაკეთებას ჩქარობდა. ოსტატი ყოველთვის ნაკლს პოულობდა გაკეთებულ საქმეში და ეუბნებოდა: აი ხომ ხედავ, ცუდად ილოცე და ცუდად გამოგივიდა ნაშრომიო. განა არ გიჩიჩინებ, რომ ლოცვა გონებას წმინდავსო?!

მოწაფემ იფიქრა: ეს ალბათ მუშად გადამაქცევსო და ვერანაირ ცოდნას ვერ შევიძენო და... გაეპარა.

ეს ახალგაზრდა ქარავანს შეეკედლა და სხვა სასულთანოში გასწია.

გზაში მან შეამჩნია, რომ ერთ ვაჭარს იქაური სულთანისათვის ზღაპრულად მდიდრული სარკე მიჰქონდა საჩუქრად და ყოველ დილა-საღამოს წმინდავდა და აპრიალებდა სარკეს. ახალგაზრდამ შეამჩნია ეს და იფიქრა: რა ახირებული ვინმეაო... მაგრამ ბოლოს და ბოლოს დააინტერესა და ადრიანი დილით თავს წაადგა ვაჭარს... და რას ხედავს, — მოელი ლამის უდაბნოს მტვერი სარკეზე დალექილა და მართლაც გასაწმენდი იყო. ასე საღამოსაც: ვირებისა და აქლემების ფეხებით ამტვერებული უდაბნო სქლად დაღებოდა სარკეს და...

მიხვდა იგი ყოველივეს: გონება იოლად ბინძურდება და ლოცვა კი სარკესავით აპრიალებს მას.

ყმაწვილი უკან დაბრუნდა მასწავლებელთან, მდაბლა დაუკრა თავი, ემთხვია მოძღვრის ფეხებს და მოინანია შეცდომა...

ამბობენ, მისგან დიდი **სუფი დამდგარაო.**

\* \* \* \* \*

იგავი მესამე:

## ჯადოსნური სარკე (ზღაპარი)

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ეროვნული სულის სიბრძნე ყოველთვის მაოცებდა და ამ ქართული ზღაპრის სიდიადე არამარტო მიუწვდომელია ყველა აქ მოყვანილი იგავისათვის, არამედ იგი იმდენად დიდი შინაარსისა არის, რომ მასში ისტორიულად ჩამოყალიბებული და გაშიფრული ლრმა ქრისტიანობის გარდა ერის სულიერი ლერძია შემონახული. ამ ზღაპარში უკვდავებაცაა და სიყვარულიც, ეროვნული სულის ზუსტი განმარტებაც და... ნუ გამიწყრება მკითხველი პირდაპირი და უშედავათო მინიშნებისათვის იმაზედ, რომ ხსნა იძერიდან მოდის და ეს იმიტომ, რომ ჩვენი სჯულის არსი და დანიშნულება,— სიყვარული ყოფილა. და ეს, თუ ასე არაა მაშ წაიკითხეთ, და თავად დარწმუნდებით სარკის მზაკვრული სატანური შინაარსი რა გასაოცარი სიბრძნით გამოიყენა ერმა უწინ და... თუ დღესაც გადავრჩებით,— გადავრჩებით მხოლოდ იმიტომ, რომ ეს თვისება — სიყვარული სისხლსა და ხორცში გვერდია და სჯულიც ამიტომ ასეთივე გვაქვს.

მაშ ასე, — აი ეს ზღაპარიც და აბა თქვენ იცით... მე კი ის ბედნიერება მხვდა წილად, რომ ასეთ საქართველოს,— ჩვენი ცოცხალი წინაპრების სახით,— მე ნამდვილად მოვესწარი და ჩემი ხნის ადამიანები დაგიმოწმებენ თქვენ ამას (ამ სტრიქონების დაწერისას 78 წლისა ვარ; თ.თავაძე)...

ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით იყო ერთი სამეფო, სადაც ძალიან კეთილი და ლამაზი ადამიანები ცხოვრობდნენ.

ყველას ერთმანეთი უყვარდა, ყველას ერთმანეთისა სჯეროდა. ერთად მუშაობდნენ და ერთად ისვენებდნენ.

ვინმე რომ მოიწყენდა, დანარჩენებიც მოიწყენდნენ.

ვინმე რომ გაიხარებდა, ყველა ხარობდა. ამ ლამაზ ქვეყანას საოცრებაც ჰქონდა: ადამიანები იბადებოდნენ და იზრდებოდნენ, მერე სულ დიდები იყვნენ და არასოდეს ბერდებოდნენ. სიკვდილი რა იყო, არავინ იცოდა. კიდევ კარგი, ყველანი უკვდავები იყვნენ, თორემ ერთიც რომ მომკვდარიყო, დანარჩენები მის დარდს ვერ აიტანდნენ და დაიხოცებოდნენ.

ლამაზ ქვეყანას ლამაზი მეფე ჰყავდა. ლამაზ მეფეს — პატარა და, რა თქმა უნდა, ლამაზი უფლისწული.

უფლისწული რომ წამოიზარდა მეფეს პკითხა:

- ჩვენი ქვეყნის გარდა კიდევ სხვა ქვეყნები თუ არსებობსო?
- არსებობსო. — უთხრა მეფემ.
- მაშინ, უნდა წავიდე და ის სხვა ქვეყნებიც უნდა ვნახოო, — თქვა უფლისწულმა.

დიდხანს ემუდარა მეფე:

ნუ წახვალ, სხვა ქვეყნების სანახავადო... მაგრამ ვერაფერს გახდა.

რაღას იზამდა, გამგზავრების წინ ჯადოსნური სარკე მისცა მას:

— წადი შვილო, რაკი შენსას არ იშლი, მაგრამ ეს სარკე მაინც წაიღე თან, ვინ იცის, რა შეგემთხვევა. ყველა ქვეყანაში შეეცდებიან თავიანთ თავს დაგამგვანონ, მაგრამ შენ არ დაგავიწყდეს, რომ სილამაზის ქვეყნიდანა ხარ. თუ გაგიჭირდა,

ამ სარკეში ჩაიხედე, – ჩვენი ქვეყნის სარკეა, ყველა უკეთურსა და ბოროტს სილამაზესა და სიკეთეს ანიჭებსო.

უფლისწულმა შეჰვიცა მამას: ეგრე მოვიქცევიო.

აიღო ხელში ჯოხი, მხარზე გუდა მოიგდო, სარკე უბეში ჩაიღო და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ქვეყანას მიადგა.



წარმოიდგინეთ და ეს ქვეყანა მუქთახორებისა ყოფილა. ერთი კაცი შრომობდა, დანარჩენები მის ნაოფლარს ჭამდნენ.

უფლისწულმა უცქირა მშრომელ მარტოკაცს და შეეპრალა. გაახსენდა: მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო, და გვერდში ამოუდგა.

დიდხანს შრომობდა მასთან ერთად. დიდხანს იმუშავა მარტოკაცთან. მარტოკაცმა სული მოითქვა, მაგრამ ბოლოს უფლისწულსაც მობეზრდა მარტოკაცთან შრომა, ადგა და მუქთახორებს შეუერთდა.

მუქთახორებს თავისი მეფისაგან ნაბრძანები პქონდათ: პირი არ გაეჩერებინათ. დღე და დამ ეჭამათ, ვისაც მეფე ჭამაში ზარმაცობას შეამჩნევდა სასტიკად სჯიდა.

სასჯელი მართლაც მკაცრი იყო: ერთი

კვირის განმავლობაში სხვების ულუფაც მას უნდა შეეჭამა.

მუქთახორები ყველაფერს ჭამდნენ რასაც მოიხელთებდნენ. სულერთი იყო შემწვარი და შეუმწვარი, მოხარშული და მოუხარშავი. პურივით შეექცეოდნენ ერთმანეთის ქუდებს, ფეხსაცმელებსა და ხალათებს, ხეებს და ყვავილებს, ბალახებს, ფოთლებს და სახლის მოაჯირებს, პეპლებს და ჩიტებს, სად იყო სიცილი და სიხარული, – ისიც მუქთახორებს შეესანსლათ.

ერთ დღეს, როცა მუქთახორების მეფემ უფლისწული სხვისი ცრემლის შექმით დასაჯა, უფლისწულმა გუდა გახსნა და სარკე ამოიღო, ჩაიხედა სარკეში და... თავი ვეღარ იცნო.

ატირდა და თვალებიდან ჩამოდენილი ცრემლები სარკეზე იღვრებოდა. როცა ტირილით გული იჯერა და ისევ სარკეში ჩაიხედა, მაშინ კი იცნო საკუთარი თავი. მეორე დღესვე მარტოკაცთან გაჩნდა და მასთან ერთად ისევ შრომა დაიწყო.

აყვირდნენ მუქთახორები და შიმშილობა გამოაცხადეს. მოგეხსენებათ, მუქთამჭამელთა ქვეყნისათვის შიმშილობა უკიდურესზე უკიდურესი პროტესტი გახლდათ.

ვერაფერს მიადწიეს.

ბოლოს იძულებული გახდნენ, შიმშილობა შეეწყვიტათ. ადგნენ და უფლისწულთან მივიდნენ.

გამოუცხადეს:

– დღეიდან ამ მარტოკაცთან არ დაგინახოთ, ჩვენი საჭმლის ჭამას ვერ აგუდივართ, შენი საჭმელი ვინ ჭამოსო. ახლავე წამოდი, გვერდში ამოგვიდექი, თორემ ყველაფერს მოვახსენებთ მეფეს და მაშინდელივით ცრემლებს კი არ დაგაჯერებს, – მთელი ქვეყნის დარდსაც შეგაჭმევსო.

შეწუხდა უფლისწული, – თუ მიხსნის, ისევდაისევ ეს ჯადოსნური სარკეო, და მუქთახორებს უთხრა: წამოვალ, ოღონდ ერთი სათხოვარი შემისრულეთო.

— თქვი და შეგისრულებთ, — დათან-ხმდნენ მუქთახორები.

უფლისწულმა უბიდან სარკე ამოიღო და მუქთახორებს დაანახა:

— ხომ ხედავთ ამ სარკეს, შიგ ნატვრისთვალი გამებნა, ვერაფრით ვერ მიპოვნია, კარგად დააკვირდით, ვინც იმ ნატვრისთვალს აღმოაჩენს, დღეიდან იმის ულუფასაც მე შევჭამო.

ასეთმა საცდუნებელმა წინადადებამ მუქთახორები არიფ-დარია. ყველა იმას ფიქრობდა: ვინ იცის იქნებ ბედმა გამიდიმოს, მე ვიპოვო ნატვრისთვალიო, და რიგრიგობით დაიწყეს სარკეში ჩახედვა.

მართალია, ნატვრისთვალი ვერავინ ვერ აღმოაჩინა, მაგრამ სასწაული კი მოხდა:

ვინც კი სარკეში ჩაიხედავდა, მაშინვე მუქთახორებს გამოეყოფოდა, მარტოკაცთან მიირბენდა და მასთან ერთად შრომას იწყებდა.

იმ დღიდან, იმ ქვეყანაში არც მუქთახორები არიან და არც მარტოკაცი...

უფლისწული კი ახლა სხვა ქვეყანაში მიდის. ვინ იცის რომელ ქვეყანაში მივა და რომელ ქვეყანას გადაარჩენს იგი თავისი ჯადოსნური სარკით...

\* \* \* \* \*

მკითხველი მიმიხვდება, რომ ქვემოთ მოყვანილი ნაშრომი ქართველ მეფეთა, ბაგრატოვანთა ის კოდექსია, — რომელსაც მე ქართველთა იმ ისტორიულ სარკეს ვუწოდებ, რომელ შიდაც ყოველმა ქართველმა უნდა ჩაიხედოს, რომ გადარჩეს და ზუსტად ასე ჩავახედოთ კაცობრიობაც ჩვენს, ქართველთა სულიერ სარკეში და გადავარჩინოთ სხვანიც...



## მ ე ფ ე თ ა თ ვ ი ს

### იოანე ბატონიშვილი

მეუე უნდა იყოს თვისსა სარწმუნოებასა ზედა მტკიცე, მღვიძარე სულითა, მცნობი თავისა თვისისა, მომგონი ხშირად, რომელ მოქვდავ არს, მოსურნე კეთილისა, მმადლობელ დვთისა და ყოვლის გულით მყვარებელ, სამღუდელოთა პატივისმცემელ და ეკლესიათა შემწე და განმანათლებელ,



სიმდიდრისადმი და ვერცხლის მოყვარებისადმი არა შემშსჭვალულ, არამედ კეთილის მოქმედებისადმი; მდაბალი უბიწო სულით, ფრთხილ სიტყუათა და საქმეთა შინა, მოწყალე, არა მოშურნე, არა ძვირის მომხსენე, მტკიცე კეთილმსახურებისა და დამცველ, მოძულე მლიქვნელთა კაცთა, ერთსულაც მტკიცე, არა მომხვეჭელ

ერთაგან, არამედ მიმნიჭებელ, განმრჩევ კეთილთა და ბოროტთა კაცთა, და დამჯილდობებელ ლირსთა და უღირსთა დამჟილებელ; არა ამპარტავან, არცა ზუავ, არცა მცონარ; გვირგვინი კეთილმსახურებისა, მზრუნველ ქვეშევრდომთა, მდიდართა და დავრდომილთათვის თანასწორ, მეცნიერ და ფილოსოფოს, განმმართველ ვნებათა; მოწყალება უფრორე აქუნდეს, ვიდრე შიშვნეულობა; დიდებულება და ხელმწიფება აქუნდეს მიხედვისამებრ მტერზედ და მონათა ზედა; თანასწორ მეურნე ყოველთა ზედა თვისსა ქვეშევრდომთა;

სიყვარული უფრორე სასარგებელთა თანაგანმზრახთა, მოჩივართა დროზედ და ადრიან პასუხის მიმცემ და არა დაგვიანებით შემაწუხებელ.

საქმისა დროზედ ადმასრულებელ, რომელ დღევანდელი საქმე არა უტეოს ხვალისათვის. მოწყალე თვისსა სახლისა მსახურთადმი, მჟავალ მსგავსად დვთისა და პირუთვნელ ყოვლისა საქმისა პქმნასა შინა აქვნდეს

განმარტება და ვედრება დვთისა, არავისიმე უგულებელყოფა და დაცვა ჰსჯულისა, მლტოლველ ბოროტისა მოზრახთაგან, ხარისხსა შინა აღყუანება, სიფრთხილით ვისამე, ქცევა ზომიერად წყალობასა შინა და ტანჯვასა, ყოლა ქეშმარიტთა მეგობართა, უცვალებლობა კეთილთა საქმეთა, გაერდგულება, რაოდენ ძალედვას, ყმათა თვისთა განმართვა თავისა თვისისა შეცოომილებასა შინა, მჟავასება დვთისა მოწყალებასა შინა, კეთილმოქმედებისა მოსურნე, მიმდობელ ქეშმარიტთა და სარწმუნოთა კაცთა

საქმეთა შინა, მექონ ჭეშმარიტებისა და მოწყალებისა მართლმასაჯულებასა შინა და თანასწორ ვითარცა მეგობართა თვისა, აგრეთვე მწირთათვის; აღრმჩეველ და დამადგინებელ სარწმუნოთა და მეცნიერთა მსაჯულთა და ესსახედ სხუათა ყოველთა მოხელეთა. სამხედროთა და სამოქალაქოთა საქმეთა შინა გამოცდილ და მცოდნე; საღთოთა და სამოქალაქოთა ჰსჯულთა მეცნაგ; სიტყვასა და საქმესა შინა გამშველ და შეურყეველ; მიმღებ უფრორე მთხოველთა ვიდრე ძღვნის მირთმეთა. ძლიერ კეთილ მოქმედებითა დიდებულ საქმითა, გონიერებით ქმნა ბრძანებისა; მახვილგონიერ მჟავავრთა შინა; მცნობელ ჩვეულებათა თანამცხოვრებთასა; აქვნდეს გულადლება სარგებლოვანთა სიტყუათა. ლვთის მვედრებელ, ლოცვისა მოყუარე და მავედრებელ ლვთისადმი სამფლობელოთა თვისთა. მეფობა აქუნდეს რიგიან, თანანადებთა ლვთისათა აღმასრულებელ, ლვთისადმი თხოვნა გულსმოდგინედ შეწევნისათვის თვისისა, კეთილ მოქმედებისა ქმნა უხევბით. მიმტევებელ შემცოდეთა და შემწყალებელ; ცხადთა და დაფარულ ცოდვათა, განკრძალულ, კრძალულ ბრალთაგან და მქმნელ კეთილისა, სიმდიდრის მეძიებელ ცათა შინა; მფლობელ თავის თვისისა და მცხოვრებ სიწმინდით; მყუდრო და მშვიდ და ალერსიან შეყრათა შინა ქვეშევრდომთა ანუ უცხოთადმი, მხნე, მამაც და პურად უხვ ყოველთა ზედა, თავდადებით მოსურნე მსახურებისათვის მამულისა, შემწყნარებელ ობოლთა და ქვრივთა გამომზრდელ, სწორულთა მომვლელ, გლახაკთა ხელის ამპყრობელ და მხედრობისა მოწყალე და განმამხნოველ, თვისთა საკუთართა ნაქონებთა საჭიროებასა შინა ერთსა არა დამზოგველ, შემცოდეთა ვისთამე, მხოლოდ მის გვამისა გამკითხველ და არა შემაწუხებელ სახლეულებათა მისთა, უკე თუ იგინიცა არა იყუნენ თანაზიარ. სიმდიდრესა ანუ ქონებასა სხუათასა არა

მეშურნე და არცა სახისა მიცემა რომელ სურის მას იგი, ყოველთვის გულს მოდგინე თუ, რაი შესძინოს მამულსა თვისსა სამართლიანი სარგებლობაი, ყოველთვის მშვიდობის მოყუარე მეზობელთადმი თვისთა, რათა არა მტერ თვისა და მამულისა ჰყოს იგინი. ჯეროვანთა დროთა საზოგადოთ მიმწოდებელ ტაბლათა ზედა მოხელეთა და ვაჭართა, აგრეთვე საკუთრად სამღვდელოთაცა. არა მემთვრალე, სანიადაგოდ სადილ-ვახშმად დიდებულნი გვამნი რიგ-რიგად იახლებოდნენ რაოდენიცა ენებოს. თვისთა ერთგულთა ყმათა უამსა ქორწინებისასა შეეწეოდეს და მკვდარსაც იგლოვდეს და წასახურავს უბოძებდეს. მხიარულებასა შინა მათთანა იხარებდეს და ჭირსა შინა მათთანა მკმუნვარებდეს. არცა ხშირად განმრთველ ნადირობასა შინა საიდუმლოდ მოარულ და მჩხერებელ ერთა და ხელოსანთა, თუ ვითარ ზომიერად იქცევიან იგინი. და ესრეთ ხადდეს თვისთა ქვეშევრდომთა, ვითარცა საკუთართა შვილთა. ტყვის პატრონთა ყოვლის დონით შეეწეოდეს და უსამართლოდ ნურვის, ნურცა თვისთა საკუთართა ყმათა, ნუ შეაწუხებს და ნურც მათ მებატონეთა უდიერათ შეაწუხინებს თვისთა ყმათა. აგრეთვე ნუ მისცემს ნებათა დედოფალთა, მეფის ძეთა დიდთა საქმეთა შინა გარევის ნებასა და მბრძანებლობას, რაისადმიცა იგინიცა არ არინ დანიშნულ მსგავსად მოხელეთა. ხოლო, უკანასკნელ, აღვირასხასყოველთამგმობელთაღვთისათა და ურჩთა სარწმუნოებისა და კანონთა ჰსჯულთასა და ცუდთა მოლაპარაკეთა დამაბეზღებელთა გუამებთა.

და ესრეთ ვინცა იქნების,  
ესრეთ იგი არს ჭეშმარიტი

## მ ე ც ე .

## იოანე ბატონიშვილის „მეფეთათვის” კოდექსის ისტორიული ილუსტრაცია

რა თქმა უნდა რომ ეს შედევრია, ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურო, რომელშიდაც ასახულია ეროვნული სახელისუფლებო კულტურა და ასეთი ერი რა თქმა უნდა დემოკრატიას ააშენებს.

ნებისმიერი დროის ნებისმიერი ხელისუფლების ოპოზიციას, აქვე შეიძლება დავანახოთ საკუთარი თავი მეტად მოხდენილი და საოცრად ღრმა აზრის მატარებელი გამონათქვამით:

„პოლიტიკოსი მომავალ არჩევნებზე ფიქრობს; სახელმწიფო მოღვაწე – მომავალ თაობებზე.”

/დ. კლარკი/

### ნოიონ მაჩხანაის წერილი მთავარ ნოიონს ქართველ მეომართა შესახებ

მიაღწიო ისეთ მიზანს, რომ საუკუნეებს გადაწვდეს კვალი შენი, ერისა და კაცობრიობის აღმშენებლობისა, აი ესაა მშვიდობისა და კაცომოყვარეობის უზენაესი მიზანი.

/ძველი მანუსკრიპტი/

ქართველები იმდენად ძლიერნი არიან, რომ მათ არ ეკარებათ სუსტი თვისებები. ისინი იმდენად ძლიერნი არიან და ისე საოცრად ფლობენ საკუთარ თავს, რომ უარყოფით აზრებს და უარყოფით განწყობას არ იკარებენ მტკიცე, ურყევი და დადებითი ხასიათის გამო. ასე იცავენ საკუთარ სხეულს, რადგან არ აკარებენ მას უარყოფით განწყობას, რამეთუ კარგად იციან, რომ ყოველივე უარყოფითი

მომაკვდინებლად მოქმედებს სხეულის სიძლიერეზე.

მათ სიძლიერეს ვერ ეკარება სუსტი თვისებები: სისასტიკე, მრისხანება, შეუბრალებლობა, რადგან მუდმივად კარგად მყოფი არიან, მუდმივ კმაყოფილებას განიცდიან, – აი ესაა მათი გასაოცარი თვისებები. ადამიანური სისუსტეებისაგან შორს უჭირავთ თავი და აი ამიტომ მტრებსაც კი უყვართ ქართველები და არ უჩნდებათ მათი განადგურების სურვილი.

სისასტიკითა და მრისხანებით ცნობილი მტრები გრძნობენ მათ ძლიერებას. მათი ძალა აგებულია იმაზედ, რომ მათ თავიანთ თავში დაიმორჩილეს შური, მრისხანება და სისუსტისაგან შობილი სისასტიკე.

უშიშარნი და მოსიყვარულენი, სისასტიკისა და მრისხანების დამმარცხებელნი იმდენად ძლიერნი არიან, რომ განწყობა და ხასიათი არ უფუშვდებათ, ამიტომაც კაცთა კვლის სურვილი არასოდეს არ უჩნდებათ მათ. ქართველები ყველაფერს სიყვარულითა და ცოდნით აკეთებენ. მრისხანებით ცნობილი მეომრები მათთან საქმის დაბაბვას თავს არიდებენ, რადგან კარგად იციან მათი ძლიერების შესახებ. ქართველები თვლიან, რომ კაცთა კვლა, მრისხანება და სისასტიკე, – სისუსტეა კაცისა და ეს იმ დროს, როცა ყოველი აქ მოყვანილი ავი თვისება სხვათა სივრცეში, პირიქით, სიძლიერის ნიშნებადაა მიჩნეული, რადგან ითვლება, რომ ადამიანთა დამორჩილება ზუსტად ამ თვისებების ძალით ხდება. მხოლოდ ქართველები თვლიან, რომ ყოველი ამ თვისების გამოვლინება სისუსტეა რაინდისა და ამიტომაც ამარცხებენ მას საკუთარ თავში.

ქართველთა ნდობა შეიძლება და აუცილებელიცაა კიდეც და, რაც მთავარია, მათ კაცის გატეხვის სურვილი არასოდეს არ უჩნდებათ.

\* \* \* \* \*

იოანე ბატონიშვილის სახელისუფლებო, თუ საერო, ზემოთ მოყვანილი კოდექსიდან ჩანს ქართველთა საერო განზომილების სივრცეში არსებული ზნეობრივი კოდექსი, რომელსაც მონდოლთა ნოინის წერილი ერთი ერთში ემთხვევა...

დღევანდელობა, საუბედუროდ ასეთი როდია და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერი ორ საუკუნეზე მეტ სანს მოკლებული იყო ეროვნული სულისკვეთებით გაჯერებულ სახელისუფლებო ეთიკურ მართვა – აღმზრდელობას... ეს ყველაფერი ავმა დრომ ამოშანთა ქართველთა ბუნებიდან და დღეს დაუჯერებლად, თუ არა ტრაპაზად, ისმის ეს სიტყვები, მაგრამ არის კიდევ ერთი მივიწყებული და ულამაზესი ამბავი ქართველთა სულის დიდებისა... და ისევ მონდოლური სინამდვილიდან.

„ავდანეთში, აუღებელი ციხის, ეგრედწოდებული „არწივის ბუდის”

დასალაშქრავად მონდოლებმა ქართველთა რაზმი წაიყვანეს, მაგრამ მოხდა საბედისწერო უბედურება: მოიერიშეთა ჯარის ნოინი დილით უთაო, თავმოჭრილი იპოვეს...

მონდოლთა წესის თანახმად, ქართველთა ათასკაციანი რაზმი ერთიანად უნდა ამოეწყვიტათ. თუმცა ქართველთა ერთგულების სახელმა, ნოინთა შორის, ეჭვი გამოიწვია იმაზედ, რომ ქართველები დალატს არ ჩაიდენდნენ... საქმე ძალზედ დაიძაბა, მაგრამ განგებამ გადაწყვიტა ეს ტრაგედია: ჯაგნარიდან შეშლილი თვალებითა და წაშლილი სახით გამოვიდა შურისმამიებელი ასასინი (შურისმამიებელი) და სოქვა: ნოინი მე მოვკალიო!..

გასაგებია რომ ვიდრე მოკლეს დაკითხეს იგი და მან გასაოცარი რამ მოყვა... ამას გამოიყენეთ ეს მან გასაოცარი რამ მოყვა... ამას გამოიყენეთ ეს მან გასაოცარი რამ მოყვა...

ჯაგნარში ვიმალებოდი და დამეც იქ გავათენეო... და ვნახე გამოცხადება: ცამდის აღმართული ქალღმერთი მეუბნებოდა, რომ შენ საქციელს, ათასი უდანაშაულო ქართველი უნდა შეეწიოს და თუ მართლაც რაინდი სარ, შენვე აგე პასუხიო... ამას გამოიყენეთ ეს მან გასაოცარი რამ მოყვა... ამას გამოიყენეთ ეს მან გასაოცარი რამ მოყვა...

იქვე, ამ საჭიროობრივო საკითხთან დაკავშირებით ქართველი თავადებიც ყოფილან და ასასინის მიერ ქალღმერთის აღწერილობით მათ განაცხადეს, რომ ის ქალღმერთი, – წმინდა მარიამი იყოო!!!

\* \* \* \*

## დალაი ლამას მიმართვა კაცობრიობისადმი

„ჩვენ არა გვაქვს ბედნიერების გამოყენების უფლება მისი შექმნის გარეშე”  
/ჯორჯ ბერნარდ შოუ/


„მსოფლიოს ყველა რელიგიას, ანიჭებენ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სიყვარულს, თანაგრძნობას, შემწყნარებლობასა და მიტევებას, შეუძლიათ ხელი შეუწყონ სულიერ ფასეულობათა განვითარებას და აკეთებენ კიდეც ამას. მაგრამ დღეს მსოფლიო რეალობა ისეთია, რომ ეთიკის რელიგიაზე მიბმას უკვე აღარა აქვს აზრი. ამიტომ მე სულ უფრო მეტად ვრწმუნდები იმაში, რომ დადგა უამი მოიძებნოს ხერხი სულიერებისა და ეთიკის საკითხები გადავწყვიტოთ საერთოდ რელიგიების გარეშე”, — ეს სიტყვები დალაი ლამამ მისი facebook-ის გვერდზე მოათავსა.

ტიბეტის რელიგიური ლიდერი ციტირებს ამ სიტყვებს თავისივე წიგნიდან „რელიგიის მიღმა. ეთიკა მთელი მსოფლიოსათვის”, რომელიც მან 2011 წელს გამოაქვეყნა და რომელშიდაც ამტკიცებს, რომ რელიგია თავისთავად ვერ უზრუნველყოფს მსოფლიო პრობლემების მშვიდობიან გადაწყვეტას.

„ყოველი, რელიგიაზე დაფუძნებულ, იმ პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც წარმოშობილია ჩვენგან შინაგანი ფასეულობების უგულებელყოფით ვერასოდეს ვერ იქნება უნივერსალური და შესაბამისად, ვერ იქნება მისაღები. ის, რაც ჩვენ დღეს გმირდება — ესაა ეთიკისადმი ისეთი მიღგომა, რომელიც არ მიმართავს დახმარებისათვის რელიგიას და იქნება ერთნაირად მისაღები მორწმუნეთათვისაც და ურწმუნეთათვის; ესაა განათლებულთა ეთიკა”, — წერდა ის.

როგორც განეთი „Los Angeles Times”

აღნიშნავს, 77 წლის ბუდისტური მონაზონი, დალაი ლამა, თავისი ნაშრომის



მიმოხილვაში, სრულებითაც „არ ამხელს რელიგიას”, არამედ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პირველ გეგმილზე წამოწევს საყოველთაოდ უნივერსალურ მორალურ ფასეულობებს, რომელებიც თანაგრძნობაში მდგომარეობენ და ფრიად აქტუალურნი არიან ჩვენს დროში.

მეტაფორა, რომელსაც ასე ხშირად იყენებს დალაი ლამა, ასეთნაირად ჟღერს: „ეთიკასა და რელიგიას შორის განსხვავება ჰგავს ჩაისა და წყალს შორის განსხვავებას. ეთიკა რელიგიის გარეშე წარმოადგენს წყალს, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. ეთიკა რელიგიაზე დაფუძნებული ესაა ჩაი,—

არომატული საკვები: ჩაის, სპეციებისა და შაქრის შემცველი, ტიბეტის ტრადიციის თანახმად, – ცოტა მარილიც”.

„მაგრამ, როგორც კი არ უნდა იყვეს მომზადებული ჩაი, მისი ძირითადი ინგრედიენტი ყოველთვის წყალია” – ამბობს იგი. „იმ დროს როდესაც ჩვენ ჩაის გარეშე ცხოვრება შეგვიძლიან, უწყლოდ სიცოცხლე შეუძლებელია. ზუსტად ასევე ყოველი ჩვენთაგანი რელიგიისაგან

თავისუფალი იბადება, მაგრამ ჩვენ ვერ ვიბადებით სათნოებასა და თანაგრძნობაში მოთხოვნილების გარეშე.”

1989 წელს დალაი ლამა ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. თანამედროვე მსოფლიოში დღეს არსებული ტანჯვის წინაშე იგი დიდი ხანია თანაგრძნობის, რელიგიური შემწყნარებლობის, მეცნიერებისა და სულიერების დაკავშირების აქტიური პროპაგანდისტია.

\* \* \* \* \*

## სიმღნ ათონელის ბრძნული პასუხები

1. ვინ არის საუკეთესო მასწავლებელი?
- ტანჯვა.
2. ვინ არის ცუდი მასწავლებელი? – განცხომა.
3. რისი უნარია ყველაზე იშვიათი? – გაცემის.
4. რისი უნარია ყველაზე უკეთესი? – პატივების.
5. რა არის ყველაზე ძნელი?
- დუმილი.
6. რისი უნარია ყველაზე მნიშვნელოვანი?
- შეკითხვის.
7. რისი უნარია ყველაზე საჭირო?
- მოსმენის.
8. რომელია ყველაზე საშიში ბრძოლა?
- ფანატიკური.
9. რომელი თვისებაა ყველაზე საზიანო?
- ლაყბობა.
10. რომელი ადამიანია ყველაზე ძლიერი?
- ვინც ჰეშმარიტება შეიცნო.
11. რომელი ადამიანია ყველაზე უდონო?
- ვისაც თავი ყველაზე ძლიერი პგონია.
12. რომელი ადამიანია ყველაზე გონიერი?
- ვინც გულისთქმას მიჰყვება.
13. რომელი ჩვევაა ყველაზე საშიში? – საკუთარი სხეულით ტკბობა.

14. რომელი ადამიანია ყველაზე დარიბი?
- ვისაც ყველაზე მეტად უყვარს ფული.
15. რომელი ადამიანია ლმერთოან ყველაზე ახლოს?
- გულკეთილი.
16. რომელი ადამიანია ყველაზე სუსტი?
- სხვებზე გამარჯვებული.
17. რომელი ადამიანია ყველაზე ძლიერი?
- საკუთარი თავის დამმარცხებელი.
18. რა დავუპირისპიროთ უბედურებას?
- სიხარული.
19. რითი ვძლიოთ ტანჯვას?
- მოთმინებით.
20. ჯანმრთელ სულს რა გამოარჩევს?
- ოწმენა.
21. რა არის ავადმყოფი სულის მანიშნებელი?
- უიმედოობა.
22. რა მახასიათებელი აქვს არასწორ ქმედებას?
- გაღიზიანება.
23. რა მახასიათებელი აქვს სწორ ქმედებას?
- სიმშვიდე.

## საკუთარი თავის შეცნობის პრინციპები

1. ადამიანი კი არ იბადება ამ სამყაროში, არამედ სამყაროები იბადებიან ადამიანში.
2. უფრო მნიშვნელოვანია შეისმინო სიახლე, ვიდრე შეინარჩუნო ძველი.
3. ყოველ არსებას აქვს თავისი დრო და თავისი სივრცე
4. წარმავალი ჭირი სჯობიან წარმავალ ბედნიერებას.
5. ჩვენ ყველანი ერთდროულად ვართ ერთმანეთის დები, ძმები, დედები და მამები...
6. სამყაროში ერთი წვეთი ბოროტებაც არ არსებობს. ჩვენ, ჩვენივე არასრულყოფილების გამო ვარქმევთ არასასურველს ბოროტებას.
7. უსაზღვრო სიკეთე, – სისასტიკეზე უარესია
8. ადამიანის სხეული ღმერთისათვის ყველაზე საუკეთესო იარაღია საკუთარი თავის შესაცნობად.
9. ღმერთი, – ომელიც ყოველი ადამიანის სხეულშია, – წარმოსახვის უნარითა და შემოქმედებით ქმნის ახალ სამყაროებსა და გალაქტიკებს, რითაც მოელს სამყაროს აფართოებს უსასრულოდ.
10. ხელიდან გაშვებული შემთხვევა, მეორდება, მაგრამ სამწუხაროდ ადამიანს ეს ორდი ახსენდება.
11. ადამიანის ტანჯვის მიზეზი ყოველთვის მისი გაორებული ცნობიერების შედეგია, როდესაც იგი ყოფს სამყაროს შესაცნობადზე და შემცნობზე.
12. სადაც დროსტარებაა, – იქ ჰეშმარიტებაც კვდება.
13. ადამიანი აზრია. მისი სხეული კი, – მისივე კუბო.
14. ნუ აკეთებ იმას რაცა გსურს. მაშინ შეძლებ გააკეთო ის რაც გწადია.
15. თუ ვინმეს ეხმარები ან ვნებ მას, ეხმარები საკუთარ თავს ან საკუთარი თავის მიმართ მავნებლობ.
16. რაც მეტად განვითარებულია სული, მით ნაკლები სხეული აქვს სულს.
17. კარგი ადამიანები დედამიწაზე არ იბადებიან. მათ მასწავლებლები ქმნიან.
18. მცოდნენი არ ლაპარაკობენ, მოლაპარაკენი უფიცი არიან.
19. ნამდვილი მასწავლებელი – ყოველთვის პიროვნების მტერია. ნამდვილი მტერი, – ყოველთვის მასწავლებელია. ყველაზე დიდი მტერი და მასწავლებელი ერთდროულად – სიკვდილია.
20. მიწიერ საქმიანობას ბოლო არ უჩანს. ამასოფლის ბინადართათვის საზრუნავი წვერებსა ჰგავს, ომელიც მით უფრო სწრაფად იზრდება, რაც უფრო ხშირად იპარსავ.
21. ერთ ჩიტს ორი ფრთა აქვს და დაფრინავს. ორ ჩიტს ოთხი ფრთა აქვს და ვერ დაფრინავენ. ასევა ცუდი მეგობრები, ცუდი ცოლ-ქმარი, გინდა ცუდი და ძმა...
22. ლოგიკური სიმართლე, – დოგმებით გადატვირთული ადამიანის ღმერთია. იგი გულისხმობს ორმ სამყარო სასრულია და მას მიზანი და შინაარსი გააჩნია.
23. სიცოცხლის შინაარსი—საპირისპირო განსაცდელების ნაყოფია.
24. რაზედაც ფიქრობ, – ისდა გახდები.
25. ჩადენილ ცოდვას ვერ მოინანიებ, – იგი უნდა დაფარო მადლით. თუ არ შეიცვლები – ვერც ამაღლდები.
26. ვინც იცვლება, მისთვის ჰეშმარიტებაც იცვლება.
27. ჰუჰიან ჰურგელში რაც გინდა კარგი ჩაასხა, მაინც ამჟავდება.

28. ახალგაზრდობა როდი ამართლებს უმეცრებას.

29. ყოველი ადამიანი სხვისთვის სხვა არაფერი არაა, თუ არა მასწავლებელი.

30. თუ იცვლები შენ, შენვე ცვლი მთელს სამყაროს.

31. ჩვენს შემდეგ დარჩება მხოლოდ მეტაფორა.

\* \* \*

## GNOTIS AUTON

ჩემო ძვირფასნო, ყველა ადამიანს ერთი და იგივე დიდი „მე” გააჩნია. აი ესაა ღმერთი. გამჩენმა გამოყო საკუთარი „მე” საკუთარი თავისაგან, რათა საკუთარი თავი შეიყვაროს და შეიცნოს კიდეც. ადამიანმა ღმერთი საკუთარ თავში უნდა დაინახოს და ურთიერთობა დაამყაროს მასთან სხვათა დახმარების გარეშე. ნებისმიერი შუამავალი, — იქნება ეს მასწავლებელი თუ ეკლესია, — ამრუდებს ინფორმაციას იმ შემთხვევაშიც კი, ოდეს იგი ანგარებას არ ეძებს. ღმერთის საკუთარ თავში გაცნობიერება ხდება არა პრმა რწმენით, არამედ — მხოლოდ ცოდნით. რწმენა სიზარმაცეა და უპირველეს ყოვლისა „რეალური” ცოდნის უკმარისობა, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავის შეცნობით მოიპოვება”. იოლია არაფერი არ აკეთო, უბრალოდ იწვე დივანზე, იკითხო უმძიმესი ეზოთერული წიგნები და ირწმუნო... არადა, წახვიდე, გადაამოწმო ინფორმაცია, ჩაწვდე თუ „როგორაა და რატომ ასე მოწყობილი”, და ამის შემდეგ გადასძლიო საკუთარ თავს და თავად გააკეთო ყოველივე — ძალზედ ძნელია. საამისოდ უზარმაზარი ნებისყოფაა საჭირო და რა არის ეს ნებისყოფა? ნებაა ის, როდესაც ყოველი სურვილი ემორჩილება მხოლოდ ერთს, - უძლიერეს სურვილს. მხოლოდ საკუთარი გამოცდილება გარდაქმნის ინფორმაციას უტყუარ ცოდნაში, ადამიანს

კი — შემოქმედად შეიქმნა. მაგრამ გამოცდილება ამ დედამიწაზე მხოლოდ ტანჯვით შეიძინება, ეგოისტურ სურვილთა დაძლევითა და ტკიფილით. ამიტომ წიგნიერი ცოდნა ამაოებაა, თუკი იგი პრაქტიკით არაა დადასტურებული. მხოლოდ ძლიერი გამოცდილებანი, ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა და თავზარდაცემა უნარიანი არიან განწმინდონ ადამიანში განსხეულებული სული. დამეთანხმეთ, ჩემო ძვირფასნო მკითხველებო, რომ გარემომცველი სამყარო უფრო იოლად გარდაიქმნება, ვიდრე ჩვენ შეგვიძლიან შეგვარულოთ საკუთარი თავი.

ვთამაშობთ რა ამ წარმტაც კინო-თამაშებში მხოლოდ მთავარ როლებს, სიცოცხლიდან სიცოცხლემდე, ჩვენ ვანგითარებთ ჩვენივ ხასიათის უმთავრეს თვისებას, — სიყვარულის უნარს.

ნამდვილი სიყვარულია, — ჩუქნიდე საკუთარ თავს ყველას სულიერი პრაქტიკის შედეგად ისე, რომ არაფერს ითხოვდე სანაცვლოდ. მზე ხომ ერთნაირად უნა-თებს ცოდვილებსაც და უცოდველებსაც, მკურნალებსაც და მკვლელებსაც, ანუ „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე ხწორად მოეფინების,” აი ამის გამო მზე არცა ქვრება და არცა ბინძურდება. რასაც ადამიანებს აძლევს, იმასვე დებულობს ღმერთისაგან, ისევე როგორც მოყვარული თავისი სულიერი სითბოთი ათბობს ყოველ ცოცხალ არსებას. მოყვარული, რაც მეტად დაიხარჯება სიყვარულში, მით მეტად მდიდარი და ბედნიერია იგი: იგი ხომ საკუთარ თავს საკუთარივე თავს ჩუქნის. თუკი სიყვარულის საგანს ადამიანი საკუთარ გულში არ ეძებს, ანუ გარე სამყაროში ეძებს, — იგი უბრალოდ დეგრადაციას განიცდის და კვდება კიდეც...

...სიყვარულს წვდომილი ყოველთვის ცალკეულ ადამიანებს ესაუბრება მარტივ, უბრალოდ გასაგებ ენაზედ: პირველკლასელს — პირველკლასელის ენით, სტუდენტს — სტუდენტის ენით, ანუ მეცნიერულად. მაგრამ ბრძენი არასოდეს

არ ესაუბრება ბრძოს, რამეთუ ბრძოსათვის ნათქვამი ჭეშმარიტება უკულმად უბრუნდება ბრძენს.

იმისათვის, რომ სხვა ადამიანთა სიყვარული ისწავლო, უპირველესყოვლისა უნდა შეიყვარო საკუთარი თავი. ანუ ყოველ წუთსა და წამში გააკეთო ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია საკუთარი სულის განვითარებისათვის, დაამყარო ურთიერთობა დმერთან სხვათა შუამავლობის გარეშე, ჩუქნიდე საკუთარ თავს უცხო ადამიანებს ისე, რომ ქებას და საზღაურს არ ელოდებოდე სანაცვლოდ და სხეულის ეგოისტური სურვილები მკაცრად გყავდეს ალაგმული. როდესაც

საკუთარი თავის სიყვარულს ისწავლით, მაშინ მიხვდებით, რომ სხვათა სიყვარული ბუნებრივი ყოფილა, – სხვა და შენ ხომ ერთარსი არსება ყოფილხართ.

ჩემო ძვირფასებო, ძალიან ნუ ჩაიფლობით ცხოვრებაში, ამ წარმტაც კომპიუტერულ თამაშში, სახელად „ცხოვრება ჩვენს დედამიწაზე“. გახსოვდეთ, რომ საშიშია ამ თამაშით გატაცება და როცა თავს დააღწევთ, სხვებიც გააფრთხილეთ რათა ისინიც გამოფხილდნენ და თავი დააღწიონ არარსებული კომპიუტერული კაცუნების პრობლემებს.



## ამპარტავნების 54 გამოვლინება

ადამიანის სულიერი მწვერვალებისაკენ მიმავალ გზაზედ სულ ორად ორი უმძიმესი წინააღმდეგობაა დასაძლევი.

ეს ორი ეკლიანი, უფსკრულის პირზე გამავალი გზა ორად ორია, მაგრამ დავბენთ კიდევ ერთხელ, – ყოველი მათგანი უმძიმესთა-უმძიმესი გზაა. აი ისინიც:

1. ჩვევები და
2. ამპარტავნება.

ჩვევებს ვინ ჩამოთვლის?! ყოველი მათგანი ყოველმა კონკრეტულმა ადამიანმა ხომ უშედავათოდ უნდა ამოიცნოს საკუთარ თავში და სამუდამოდ ამოშანოოს იგი თავისი ბუნებიდან.

რაც შეესაბა ამპარტავნებას, მასაც უამრავი ნაირსახეობა ახასიათებს, მაგრამ საბედნიეროდ მისი ძირითადი ნიშნები ცნობილია და ამიტომ მათი მინიშნება უფრო იოლია.

აი ისინიც, მხოლოდ როგორც ვთქვით ძირითადები...

### ამპარტავნების 54 გამოვლინება

1. შეუძლებელია ის ფაქტი, რომ შენ ყოველთვის მართალი ხარ. საკუთარ სიმართლეში მუდმივად თავდაჯერებულობა (უცვლელობა).

2. სხვების მიმართ მფარველობითი, ქედმაღლური დამოკიდებულება.

3. საკუთარი თავის გადაჭარბებული მნიშვნელოვნობის შეგრძნება.

4. საკუთარი თავისა და სხვების დამცირება.

5. აზრი იმაზე, რომ სხვებზე უკეთესი ხარ, მკვეხარობა.

6. სხვისი შრომისა და დამსახურების მითვისება.

7. მოწინააღმდეგის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენების უნარი, ადამიანების გამოყენება საკუთარი სურვილების მისაღწევად.

8. სიტუაციის კონტროლი მასზე პასუხისმგებლობის გარეშე.

9. ქედმაღლური დამოკიდებულება, ფორიაქი, სარკეში ხშირად ჩახედვის სურვილი.

10. სიმდიდრით უზრუნველყოფის ტრაბანი, ჩაცმულობის გამოჩენა და სხვა.

11. სხვისი დახმარების მიუღებლობა, სხვებთან ერთად მუშაობაზე უარის თქმა.

12. ყურადღების მიზიდვა.

13. ლაქლაქი ან საკუთარ პრობლემებზე საუბარი.

14. ბუტიაობა.

15. ზედმეტი მგრძნობელობა ან უგრძნობელობა.

16. საკუთარი თავისადმი ზედმეტი ყურადღება.

17. აზრი იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ ან ლაპარაკობენ შენზე.

18. მოსაუბრის წინაშე ისეთი სიტყვების გამოყენება რომლებიც მას არ ესმის, ხოლო თვითონ კი, მათი მნიშვნელობა შესანიშნავად იცი.

19. საკუთარი თავის უვარგისობა (თავის არარაობად მიჩნევა).

20. საკუთარი თავის შეცვლაზე უარის თქმა, ან აზრი იმაზე, რომ არ დირს შეცვლა.

21. საკუთარი თავის და სხვების არპატიება.

22. ადამიანთა იერარქიებად დაყოფა, – ვინ უფრო ჯობია (კარგია) ან ვინ უფრო

მნიშვნელოვანია, (ანუ საჭიროა და მათთან შესაბამისი მოქცევა) რის შედეგადაც მათ შესაბამისად ექცევი.

23. აზრი იმის შესახებ, რომ შენ უფრო მნიშვნელოვანი ხარ, როდესაც რაიმე კონკრეტულ საქმეს აკეთებ.

24. საკუთარ თავზე ისეთი საქმის შესრულების აღება, რომელიც შენს ძალებს აღემატება.

25. უნდობლობა ადამიანების, დმერთის, დესპანებისა და მეუფების მიმართ.

26. მუდმივი ფიქრი იმაზე, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენ სხვებზე.

27. აზრი იმაზე, რომ კანონზე მაღლა დგახარ და ღვთის (განსაკუთრებულად) გამორჩეული შვილი ხარ.

28. საკუთარი თავისაგან და სხვებისაგან კერპის შექმნა.

29. ყოველგვარი ზომიერების გარეშე შრომა, ანუ იმდენი შრომა, რომელსაც ფიზიკური სხეული უერ იტანს.

30. საქციელის შეცვლა იმის და მიხედვით, თუ გის ელაპარაკები.

31. უმაღლობა.

32. “პატარა ადამიანების” იგნორირება.

33. უყურადღებობა.

34. საკუთარი ამპარტაგნებისა და სულიერი პრობლემების დაუნახაობა.

35. გაღიზიანებული ტონი.

36. ბოლმასა და ნაღველში ხმის აწევა.

37. აზრი იმის შესახებ, რომ ვიდაცას ჰკუა უნდა ასწავლო ან მესამე პირის მიმართ დამამცირებელი ტონი.

38. ღვთის ნების მიმართ დაუმორჩილებლობა.

39. საკუთარი თავისადმი პატივისცემის უკმარისობა.

40. “ნეტავ რა საქმეში გამომადგები?”

41. უგუნურობა და სიგიურე.

42. ასეთი დამოკიდებულება: “ჩემი მამა,— ჩემი მცველია” ან პირიქით “მე,— ჩემი მამის დამცველი ვარ.”

43. უსამართლობა საკუთარი თავისადმი და სხვების მიმართ.

44. კომპრომისის უუნარობა.

45. ბოლო სიტყვის თქმის სურვილი.

46. ცოდნის გაზიარებაზე უარის თქმა კონტროლის გულისათვის.

47. ფიზიკური სხეულისადმი უყურადღებობა ან ზედმეტი ყურადღება. სამშვინველისადმი უყურადღებობა.

48. აზრი იმაზე, რომ ეს შენ უნდა გააკეთო, რადგან სხვა ამას ვერ შეძლებს.

49. სხვის შეცდომებზე მითითება განკითხვის ტონით.


50. აზრი იმაზე, რომ სხვები უნდა გადაარჩინო მათი პრობლემებისაგან (აზრიცა და მოქმედებაც).

51. ადამიანთა მიმართ წინასწარი განწყობა მათი გარეგნობიდან, კანის ფერიდან თუ სხვა მიზეზებიდან გამომდინარე.

52. საკუთარი მდგომარეობით სიამაყე.

53. საკუთარი თავისადმი ზედმეტი პატივისცემა.

54. სარკაზმი.



Ego= 1

ს რ დ ნ ა

“რაც მათია ცოდნა, მით ცალეანია ეპო;  
რაც ცალეანია ცოდნა, მით მათია ეპო...”

ალგერაზ აინდივიდი

## წვრილი სამყარო

/ელენე რერიხი/

მტკიცება იმისა, რომ „ყოფიერების უზენაეს გეგმილზე, მატერია შეიძლება გახდეს იმდენად ნატიფი და გამჭირვალე, რომ ჩვენ მასში მოთავსებულ სიცოცხლეს დავინახავთ ისე, რომ თავად მატერია „უხილავი იქნება...“ გაუგებარია და მცდარი. როგორ შეიძლება სიცოცხლის მატერიის გარეშე ხილვა? უზენაეს გეგმილზე მატერიის გამჭვირვალების წარმოდგენები – მცდარია.

უზენაესი სულების სხეულის მატერია სავსებით ხილვადია ადამიანისათვის, რომელსაც ცენტრები გახსნილი აქვს და წარმოადგენს უნატიფესს, მაგრამ მაინც არაგამჭვირვალე გასხვოსნებულ მატერიას, რომელიც ჩვენი ფიზიკური თვალთახედვისათვის ცნობილი თუ უცნობი ფერებით ელვარებენ.

თქვენ გინდათ გაგვაგებინოთ, რომ ცნობიერება უწყვეტლივ ვითარდება და თავის მიღწევებში შეუზღუდველია, ხომ ასეა? რა თქმა უნდა, პრინციპში ეს სწორია, მაგრამ ცხოვრებაში ჩვენ ხშირად ვართ მოწმენი იმისა, რომ ამ, მიწიერ გეგმილზე, პიროვნების ცნობიერება, აღწევს რა თავის ზღვარს, რომლის იქით მას არ შეუძლიან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მას არ სურს ან ეშინიან გადააბიჯოს ამ ზღვარს, ჩერდება თავის განვითარებაში. მაგრამ იმის გამო, რომ სინამდვილეში უძრავად ვერავინ ვერ დარჩება, იგი იწყებს უკუსვლას. უკუსვლისას ცნობიერება შეიძლება ისე დაცეს, რომ სულის მარცვალი სულიერი საკების უქონლობის გამო ირინდება; ასეთ ადამიანებს ჩვენ მოსიარულე გვამებს ვეძახით. უკანასკნელ ხანებში ვხედავთ კაცობრიობის ცნობიერების საქმაო რეგრესს. აქედან კი ყოველი ის უბედურება, თუ რაც ეწვევა ჩვენს დედამიწას.

თქვენ ამბობთ, რომ „ცნობიერების უწყვეტობა წარმოადგენს მისი განვითარების აუცილებელ პირობას.“ მე დავამატებ, რა თქმა უნდა, ცნობიერების უწყვეტობა აუცილებელია მისი განვითარებისათვის, მაგრამ ამგვარი უწყვეტობის მცნება ძალზედ ფარდობითია. განა ამ ფარდობითობის მოწმენი არა ვართ ჩვენ აქ, დედამიწაზე, როდესაც ძილი და სიფხიზლე რიგრიგობით ენაცვლებიან ერთმანეთს? იმ ადამიანთა რიცხვი, რომელიც ინარჩუნებენ მკაფიოდ და ფხიზელ ცნობიერებას წვრილ სამყაროში გადასვლისას, თუნდაც მის შუაგულში, – არც ისე დიდია. უმრავლესობა წვრილ სამყაროში გადასვლისას იძინებს, ანდა გასაცოდავებულ ნახევრად გაცნობიერებულ, ან სულაც დამძიმებულ არსებობას ატარებენ იქ. ცნობიერებათა მდგომარეობების ვარიაციები უსასრულოა. ზუსტად რომ იმდენია ცნობიერებათა სტადიები, რამდენი საფეხურიცაა უსასრულობაში და პირიქით. სავსებით ცნობიერნი არიან წვრილ სამყაროში ისინი, ვინც სიცოცხლეშივე შექმნა კავშირი უზენაეს სამყაროებთან თავისი გულის მისწრაფებით ევოლუციისაკენ და ამ ცნობიერების შენარჩუნებისაკენ. ასეთნაირად, მატერიალისტიც, ყველაზე განვითარებული ინტელექტით, მაგრამ სულიერების უარყოფით უზენაეს სამყაროებში არსებობის მიმართ, კარგავს უზენაეს სამყაროთა ფენებში არსებობის უნარს, რადგან თუ არ შექმნი და არ დაიმკვიდრებ უმაღლეს მისწრაფებებს, იგი თითქმის იქვე იქნება ჩათრეული მიწიერ მიზიდულობებში და უგონო ან ნახევრად ცნობიერ მდგომარეობაში დაელოდება ახალ განსხვაულებას. რა თქმა უნდა მან შეიძლება წარმოიდგინოს ის, თუ როგორი

იქნება ახალი განსხვაულება, რამეთუ, – უზენაეს სულთა გამონაკლისით, – მას თითქმის მყისიერი დაბადება ელოდება დედამიწაზედ, – რაც ასე არასასურველია. როგორც თქვენ უწყით, წვრილ სამყაროში ყოფნას აქვს ძალზედ დიდი მნიშვნელობა დაგროვილ ენერგიათა გაძლიერების, კვების და სულიერ ძალებში გარდაქმნისათვის. ამიტომ, შეიძლება წარმოიდგინოთ, როგორ ხდება სულიერი არსების ხრწნა თუკი მას ხანგრძლივად აკლია სულიერი საზრდო.

სიცოცხლის მოძღვრებაში ნათქვამია: „ადამიანებს წვრილი სხეული თითქმის გაფორმებული აქვთ, მაგრამ მენთალური სხეული განვითარებული აქვთ მხოლოდ რჩეულებს.“ მაშასადამე, ნახევრად ცნობიერების ან ცნობიერების დროებით შეწყვეტა წვრილი სამყაროს უზენაეს სფეროებში უმეტესწილად გარდაუვალია.

ცნობიერი მდგომარეობის მიღწევა, ან სრული ცნობიერების შენარჩუნება ყველა სფეროში და ყველა სხეულში არის ზუსტად ის უდიდესი მიღწევა, რასაც უუფლება არქატი. აი ესაა ამრიტა, ანუ ჟეშმარიტი უკვდავება. ამიტომ, უდიდეს მასწავლებელთა მთელი ძალისმევა მიმართულია კაცობრიობის ცნობიერების ამაღლებისაკენ, მენთალური სხეულის განვითარებისაკენ, უზენაესი მისწრაფების განვითარებისაკენ, მაგნიტური ნაკადის შესაქმნელად ან იმ ქარბორბალას შესაქმნელად, რომელიც აიტაცებს ადამიანის სულს უმაღლეს სფეროებში.

რადგან ცნობიერების განვითარება ყველაზე ძნელი საქმეა და ამასთან ერთად იგი ყველაზე ხანგრძლივი პროცესია მთელს კოსმოსში, მაშინ სასურველია ცნობიერების უწყვეტობის მიღწევა უფრო წვრილ გარსში ან წვრილი გეგმილის უმაღლეს გეგმილებზე, რაც საგრძნობლად დააჩქარებდა ევოლუციას.

სულიერი არსება წვრილ სამყაროში გადასვლისას განაგრძობს თავის ცნობიერ ან ნახევრად ცნობიერ არსებობას შესაბამისად თავისი უმაღლესი მანასის ან სულიერების

დონის განვითარების თანახმად. აქ დედამიწაზეც, განა რამდენი ადამიანი ცოცხლობს სავსებით ცნობიერი ცხოვრებით? როგორც დაბლა, ისე მაღლაც. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გამოვლინება იქ უფრო მკაფიოა და კაშკაშა, მაშასადამე, უფრო ინტენსიურია გამოვლინება როგორც ერთ მხარეს (ცნობიერში), ასე მეორე მხარესაც (უგუნურ არაცნობიერში). საჭიროა აშკარად გავიგოთ: ის რაც არ იყო გაცნობიერებული დედამიწაზე, არც წვრილ სამყაროში არ იქნება გაცნობიერებული. ნათქვამია და გახსოვდეთ, რომ წვრილ სამყაროში თითქმის შეუძლებელია ახალი ცნობიერების შეძენა. აქ, ამ მიწიერ ცხოვრებაში, უნდა აღვზარდოთ მისწრაფებათა ჩანასახები, რომლებიც წვრილ სამყაროში უკვე ცოდნაში გარდაისახებიან. სხვაგვარად რა საჭირო იქნებოდა დედამიწაზე დაბრუნება?

სამყაროს დედის გარსკვლავია – პლანეტა ვენერა. 1924 წელში ეს პლანეტა არნახულად დაუასლოვდა დედამიწას და მისი სხივები მოეპკურა ჩვენს პლანეტას, რითაც მრავალი უმდლავრესი სანუკვარი კავშირები შექმნა, რომლებიც ახალ შედეგებს შექმნიან. მრავალი ქალთა კერა ჩამოყალიბდა იმ უმდლავრესი სხივების ძალით.

არაა სწორი ის, რომ კოსმიურ გონის სივრცის ცეცხლს ვუწოდებდეთ. ეს იმიტომ, რომ სივრცის ცეცხლი – სიცოცხლის წყაროა, მაშასადამე პოტენციურად იგია ცნობიერება, ანუ გონიერების საფუძველი. კოსმიურ გონებას ჩვენ ვუწოდებთ გამოვლინებულ ცნობიერებას, რაც იგივეა სინათლის იერარქიის კოლექტიურ გონის. სივრცის ცეცხლი აღმგზნებია და ამანთებელი ისევე, როგორც ამფეთქებელი და ნარჩენების გადამბუგავი.

მხოლოდ ძალზედ მაღალ სულებს შეუძლიათ იქონიონ თავისი ასტრალური ტერაფიმი.

დიახ, მხოლოდ თავად მასწავლებლებსა და მათ უახლოეს მოწაფეებს აქვთ ტერაფიმები.

## ათასწლეულების სენსაცია

გულს აქვს გონება, ოომლის შესახებ გონებამ არაფერი არ იცის.  
/ბლეზ პასკალი/

უურნალ მედეას მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულია განკურნებული ექიმი ქალბატონის წერილი...

მისი სენსაციური წერილის გამო გადავწყვიტეთ ამ ინფორმაციის გამოქვეყნება რათა მეცნიერული შუქი მოვფინოთ ამ მოვლენას.

დიახ! სენებული ქალბატონი – ექიმია, მას საშვილოსნოს მესამედი პჟონდა ამოკვეთილი თავის საკვერცხესთან ერთად. მეორე საკვერცხე დაზიანებული იყო და მას ნაწილობრივი რეზექცია ჩაუტარეს. შვილი მაინც გააჩინა და ოქროს საწმისის მეთოდით მკურნალობის შედეგად მას... ამოუვიდა საშვილოსნო თავისსავე საკვერცხეთი და ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის შედეგად მას არანამშობიარევი, სრულიად ჯანსაღი საშვილოსნო დაუდგინეს.

რა მოხდა?

რეგენერაცია!!!

კაცობრიობის ოცნება და ბიბლიური საიდუმლო ჭეშმარიტება ორივე ერთდროულად გამოვლინდა!!!

იცოდა ეს თუ არა საქართველომ?!

რა თქმა უნდა იცოდა. იცოდა ეს მედეამ, ოომლის საიდუმლო ცოდნამაც გაბრწყინება მოუტანა საბერძნეთს და ჩვენს წელთაღრიცხვამდე XV საუკუნიდან ელადა ანთია კაცობრიობის სულის ბრწყინვალებად...

...იცოდა ეს ქართველმა ხალხმა, ოდესაც ჩვენს მეომრებს ბრძოლის ველზე ატანდნენ ვაზს, – თუ დაიღუპებოდა დაცემის ადგილზე დამარხულს ვაზის

ლერწი მიჰყვებოდა მიწაში და იქ... ვაზი – ქრისტეს უკვდავების სიმბოლო ამოდიოდა! აი ამიტომ უმდერის ჩვენი ერი ქრისტეს ვაზს, – “შენ ხარ ვენახი...”

საგზალად მიჰქონდა ჩურჩხელები...

სააქიმოდ მიჰქონდა წვიმის ჭიის ფხვნილი. ნებისმიერ ჭრილობაზე დააყრიდა მეომარი ამ ფხვნილს და ჭრილობა სწრაფად და უკვალოდ ხორცდებოდა...

წვიმის ჭია!!! რამდენ ნაწილადაც არ უნდა დაჭრათ, იმდენ დამოუკიდებელ სრულფასოვან ჭიაყელად გადაიქცევა ერთი ჭიაყელას ყოველი ცალკეული ნაწილი.

ეს იცოდა საქართველომ და დღესაც იცის ტიბეტმა. ტიბეტში წვიმის ჭიას დედას ეძახიან, რადგან მასში დედამიწის დედობის ძალა, რეგენერაციის ძალა ჩადებული მამალმერთისაგან და ამ ძალას, ქსოვილებში ჩადებულ ინფორმაციას, უნიკალური თვისება აქვს: ჰოლოგრაფიული უკვდავი ინფორმაცია დაზიანებულ ქსოვილებს ანიჭებს აღდგენის თვისებას და არა მხოლოდ შეხორცების უნარს.

დიახ!


დიახ!

არავის უკვირს ხვლიკის კუდის ამოზრდა, ან კიბოსა და კიბორჩხალას მოტეხილი ფეხის ხელახალი ამოსვლა: მოტეხილი ფეხი მხოლოდ ფიზიკურად აღარა მაგრამ მოტეხილი ფეხის აბსოლუტური ჰოლოგრაფიული კვალი არსებობს. ამის შესახებ კარგადაა ცნობილი მედიცინაში ის შემთხვევები, როდესაც ამპუტირებული კიდურების ადგილზე ხეიბარს მოკვეთილი

ხელი ან ფეხი “სტკიფა.”

ამ ტკიფილის მნიშვნელობის დადგენა და პრაქტიკულ განზომილებაში მისი გამოკვლევა და გამოყენება ახალ ეპოქას გახსნის გენეტიკასა და მსოფლიო მედიცინაში. აქ მსოფლოდ ერთადერთ უმნიშვნელოვანეს იდეას გავაცხადებ: ცხოველთა სამყაროში ტკიფილი განკურნების, შეხორცების და რეგენერაციის პროგრამებს მართავს.

აი ამაშია ჩადებული ლგოთაებრივი საიდუმლოების უმთავრესი შინაარსი, როდესაც ტკიფილი, მარტივ ორგანიზმებში, რეგენერაციის პროცესის ჩართვას და დაკარგული ნაწილის ხელახლა აღდგენას აწარმოებს.



კარგადაა ცნობილი ის მართლაც წარმოუდგენელი ფენომენი, რომ ლოკომინას რამდენჯერაც არ უნდა მოაჭროთ რქები (!!), იმდენჯერვე მოჭრილი რქების ადგილას ამოებურცება ქსოვილი, გაიზრდება, შემდეგ გასკდება და ახალი რქებიც მზად არის.

ეს ბუნებაში!

იქ, სადაც სიცოცხლე თავისი მარადისობის სადარაჯოზეა ქვეცნობიერ მექანიზმებში ჩადებული და... ადამიანში?!

მითუმეტეს, ადამიანში ყველა ეს მექანიზმი დავთის შვილის უფლებითაა ჩადებული გაჩენისთანავე და ქვეცნობიერში არ მუშაობს იმიტომ, რომ როგორც სიცოცხლის ევოლუციის უზენაესმა წარმომადგენელმა,

მან ეს თვისება უნდა გამოამჟღავნოს ცნობიერ განზომილებაში არა მხოლოდ რეგენერაციის გამოვლინებისათვის, არამედ რეგენერაციის თვისებათა იმ უკიდეგანო შემოქმედებამდე განვითარებისათვის, რომელსაც ტრანსმუტაცია ჰქვიან, ბიბლიურად კი ეს დავით მეფსალმუნის მიერ ნახსენები უკვდავებაა.

ამ ფენომენის მაგალითი კაცობრიობაში უკვე მიიღო ფილიპინელთა ქრისტიანულების მაგალითზე, როდესაც ისინი იმდენად ააქტიურებდნენ პროცესებს, რომ ქილერების ავადმყოფების ჭრილობები ყველას თვალწინ ხორციდებოდა. მაგრამ... მაგრამ მოხდა ამ ფაქტის მიზუმათება...

რატომ?

იმიტომ, რომ არსებობს როგორც მიზეზი, ასე შესაბამისი პრეცედენტიც ამ მაგალითისა, რომელსაც ეხლა მოგახსენებთ.

თუმცა, როგორც თქვენ თვითონ მიხვდებით თურმე ისტორია არაფერს არ ივიწყებს...

ეს მოხდა დიდი ხნის წინ. გენეტიკური კოდის შეცვლის ერთ-ერთ ექსპერიმენტში ულაყი ზებრა ანაფოიურებდა ფაშატ ცხენებს, მაგრამ ნაყოფი ზებრისა და ცხენის შეჯვარებით არ ჩნდებოდა (???)...

ექსპერიმენტი შეწყდა და იგი მიივიწყეს კიდეც... მაგრამ!

მაგრამ გავიდა ხანი, ფაშატი ცხენები დაუბრუნდნენ თავიანთ ჯოგებს და ცოტა ხანში საკუთარ ულაყებორ შეჯვარებისას გააჩინეს ზოლიანი კვიცები!!!

ატყდა ერთი ამბავი...

ამ მოვლენას გენეტიკოსებმა “ტულეგენეზისი” დაარქვეს... შემდეგ მიაჩუმათეს და ენციკლოპედიაში ურცხვად შეიტანეს ბოროტებით სავსე ინფორმაცია: “ტელეგენეზისი” არ დადასტურდა...

ცოტა თავიდან დავიწყოთ... გენეტიკაში აღმოჩენებით:

...ნირენბერგის ნობელის პრემიები გენეტიკური კოდის აღმოჩენისათვის...  
...ასევე კრიკისა და უოტსონის

პრემიები დ.ნ.კ.-ს ორმაგი სპირალების აღმოჩენისათვის...

ასე რომ გენეტიკური მეცნიერება მეტად განვითარდა და გენისმოხსენებული სასწაული მეტად გაფერმკრთალდა. ეგონათ რომ გენი პირტმინდათ მატერიალური ნაწილაკია, რომელსაც ორგანიზმის განვითარების პროგრამა მოაქვს და უჯრედებს კარნახობს იმას, თუ როგორ ააშენოს ორგანიზმი: უჯრედები ლაგდებიან გარკვეული წესით და სხეულის ამა თუ იმ ორგანოს ჰქმნიან. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა სურათი აღმოჩნდა და გაცილებით უფრო რთული ვიდრე ეს მანამდე ეგონათ.

ვიდრე ემბრიონის გენი „მშენებლობას“ შეუდგება, ისინი გარეშე სივრციდან ღებულობენ პროგრამას მთელი იმ საჭირო ინფორმაციით რაც ორგანიზმის „მშენებლობას“ სჭირდება. გამოდის, რომ გენი მხოლოდ „ვიდაცის“ ბრძანებასა და შეკვეთებს ასრულებს.

დიახ!

ვისი?!

ეს აგნი-იოგამ დანამდვილებით იცის. ისიც იცის, რომ გენი მარტო ფიზიკური, ანუ მატერიალური ქმნილება როდია, არამედ ისინი სულსაც ატარებენ, რასაც გენეტიკოსები დდეს ველს ეძახიან.

გასაოცარია ის, რომ, ზოგი გენეტიკოსი კატეგორიულად უარპყოფს იმას, რომ გენი ტალღაა, ანუ ველი ან ველთა სიმრავლე ერთდღოულად.

ის, რომ გენს არ გააჩნია შთამომავლობის სრული ინფორმაცია, რომელსაც ის სადღაც სხვა მისამართიდან ღებულობს, ამის შესახებ უკვე ხვდებოდნენ გასული საუკუნის ოციან წლებში. იმ დროისათვის ეს დიდი და გაძედული აზროვნების ნაყოფი იყო. მაშინდელ მეცნიერებს არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ პოლოგრამებზე, რომელებიც, ამ შემთხვევაში, იმ ზეციური არქიტექტორის პროექტებია, რომელთა მიხედვითაც შენდებოდა ორგანიზმი. როდესაც პოლოგრამები აღმოაჩინეს

ბუნებრივად გაჩნდა კითხვა, – ვინ ჰქმნის მათ? ვისი გარნახით ჩნდებიან პოლოგრამები, როგორც გენერალური პროგრამები გენებისათვის, რათა ესა თუ ის ორგანიზმი აშენდეს?

დმერთი?

უზენაესი გონი?

რა, განა ეს ერთი და იგივე არაა!!!

აგნი-იოგა ამ ინფორმაციას ფლობს... ჩვენ ფეხმიმე ქალებს უკვე ვთავაზობთ ამ უნიკალურ რჩევებს, რომლებსაც შეიძლება დავარქვათ XXI საუკუნის კალიპედია,\* ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია არ დაინახო, რომ უჯრედები, განსაკუთრებით გენები, – სწავლობენ!!!

სწავლის პროცესი ტოტალური მოვლენაა, ეს ინფორმაცია იმდენად ღირებულია სამყაროში, რომ თვით ბუნება მუდმივად და სათუთად უნახავს მას ცოდნას, და ზრუნავს როგორც არსებული ინფორმაციის შენახვის პროცესებზე, ასევე უვოლუციისათვის საჭირო ახალი ინფორმაციის მოპოვებაზე. ბუნება ამას ძალზედ ნელა აკეთებს, თითქოს ეუბნება ადამიანს: დაინახე, აი მე როგორ ნელა ვაკეთებ ამას, ამიტომ შეამჩნიე ყოველივე, ისწავლე და შენ კი სწრაფად გააკეთე!

...როგორ არ დავუბრუნდეთ ეპიგრაფში მოყვანილი გენიალური გამონათქვამის ავტორს. ამ შემთხვევაში მისი სხვა გენიალური გამონათქვამი გამოგვადგება, რომელიც მან გონებაში გაჩენილი პოლოგრამიდან ამოიღო და კაცობრიობას გაუმსილა: კაცობრიობა ვით ერთიანი პიროვნება მარადიულად სწავლობს”...

აქ აზრთა და იდეათა ოქეანეა: ისიც, რომ კაცობრიობა გამოლიანდება და ომი და იარაღი წაგა; ისიც, რომ ჩვენ და-ძმანი ვართ, შვილნი ერთი უფლისა; ისიც, რომ ჩვენი მომავალი უსაზღვრო ბედნიერებითაა აღვსილი, რადგან არსებობს მარადიული სწავლა და ჩვენ ვსწავლობთ! ვსწავლობთ!!!


... სწავლამ მოიტანა ის, რომ აღმოვაჩინეთ ლაზერული სხივი, რომლის მეშვეობითაც

ჰოლოგრამებს ვაშენებთ.

კი მაგრამ ტექნიკაში გასაგებია რომ ამას ტექნიკური საშუალებებით ვდებულობთ და ორგანიზმში?

ორგანიზმში ამას ქრომოსომები აკეთებენ. ტალღური გენების ავტორები დ.ნ.კ.-ს მოლეკულებზე აგებული ლაზერები არიან. მიაქციეთ ყურადღება შემდეგ ინფორმაციას:

გენი-ტალღა ქმნის ორგანიზმის აშენების “ტექნოლოგიას”



გენი-ნაწილაკი ასრულებს მშენებლობას მოცემული “ტექნოლოგიით”

ქრომოსომები ხელმძღვანელობენ “მშენებლობას”, ურთიერთობენ, “თათბირობენ” ერთმანეთში, რისთვისაც იყენებენ როგორც ელექტრომაგნიტურ, ასე აკუსტიკურ ვიბრაციებსაც.

ჩვენ აღვნიშნეთ უნიკალური, ფენო-მენალური მნიშვნელობა წვიმის ჭიის უჯრედებში ჩადებული ინფორმაციისა და მექანიზმების შესახებ. ეხლა აღვნიშნოთ მეორე არსება, რომელიც მისტიციზმი უკვდავების, ფილოსოფიისა და ყოველგვარი ინფორმაციის წყაროდ მოიაზრება.

ეს არის ფუტკარი!!!

იგი თაფლს, ანუ ნახშირწყალს აწარმოებს, რომლის გარეშე უჯრედები ვერ მუშაობენ...

...ამ აღმოჩენის პირველობა ამერიკელ ბიოლოგებს ეკუთვნის. მათ, ბაქტერიას

მოაცილეს ის გენი, რომელიც ლაქტოზის შაქრის გადამუშავების პასუხისმგებელი მექანიზმია და... ბაქტერია დაიღუპა!!! ამის შემდეგ ბაქტერია მოათავსეს იმავე გარემოში, რომელიც მხოლოდ ნახშირწყლებს შეიცავდა და მოხდა სასწაული, ბაქტერია გაცოცხლდა და აღადგინა დაკარგული გენი(!!!)...

... რა თქმა უნდა, თუ მეცნიერულ სითამამეს ვუდალატებთ, ჩვენ ვერ დავინახავთ ამ აღმოჩენაში ქრისტეს ბიბლიურ ფენომენს, – ლაზარეს აღდგინებას და... აუცილებელია ვალიაროთ მეცნიერება XXI საუკუნის იმ ძირითად მოვლენად, როგორადაც იგი ყოველი დროის უდიდესმა მეცნიერმა აღდერტ აინშტაინმა დაასახელა: “მეცნიერება რელიგიის გარეშე კოჭლია და რელიგია მეცნიერების გარეშე ბრმა”...

მეცნიერება უბავე კოჭლობს, იკლებს რა მითოლოგიასთან და რელიგიასთან კავშირს და რელიგია ცდილობს გახდეს მეცნიერული... რელიგიაში მოდიან ექიმები, ფიზიკოსები, ფილოსოფოსები და სხვა. ეს დიდებულია, დიდებული და იმიტომ, რომ ეკლესიაში მისული მეცნიერები იმ ფაქტსაც გააუდერებენ, რაც ლაზარეს აღდგინების მეცნიერულ ფენომენშია ჩადებული და ეკლესიასტეს უდიდეს მეცნიერულ-რელიგიურ ფენომენსაც დაუბრუნებენ კაცობრიობას.

... ეკლესიასტე მოუწოდებს ადამიანებს: „რატომ უნდა მოკვდე ისრაელის სახლო...“ (10.2). ეკლესიასტეს ამ გამონათქვამში უნიკალური ინფორმაცია დევს: სულიერი და არა ფიზიკური მარჯვენა გულის არსებობა. ეს მეცნიერება და მარჯვენა სულიერი გულის აღმოჩენა ელოდება მეცნიერებას ისევე, როგორც უკვდავება “ისრაელის სახლისა”, ანუ ადამიანისა.

აქ ზღვა აღმოჩენები ელოდებათ მეცნიერებს... აქვე დავძენ, რომ ჩვენ იოგებმა მეცნიერთა მომავალ აღმოჩენათა ლოდინის გარეშე, არა მხოლოდ ვიცით ეკლესიასტეს საიდუმლოება, არამედ პრაქტიკულად

**ვიყენებთ მარჯვენა გულის ცემის მადლს!!!**

აი აქ იწყება გზაგასაყარიც და შეერთების წერტილიც, სადაც მეცნიერება და რელიგია ან კვლავ ვერ გაუგებენ ერთმანეთს; ან ჩვენდა საბედნიეროდ ბოლოს და ბოლოს იპოვიან ერთმანეთს, რათა ერთი არ დაკოჭლდეს და მეორემ კი თვალები გაახილოს...

...ექვსი საუკუნე სწავლობდა ევროპის ოფიციალური მედიცინა აგიცენას “მედიცინის კანონი”-ის ფუნდამენტალურ საფუძვლებს, მაგრამ სულიერს ვერ ჩაწვდა და მხოლოდ მატერიალისტური ხედვა ამოიღო კაციბრიობის ამ გენის სამედიცინო მოძღვრებიდან. შედეგად ამისა, თავდაპირველად მედიცინამ უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ დროთა განმავლობაში სულის უარყოფით, თვითონვე შექმნა პრობლემები კიბოს, შიდსის და მრავალი ახალი დაავადებების სახით, რომელთათვის სახელებიც ჯერ ვერ მოუძებნია და სნეულებებმა პანდემიის სასიათი მიიღეს. აი ასეთი შეუთავსებლობა ბადებს მედიცინაში გადაულახავ პრობლემებს სულისა და ღმერთის მედიცინაში დაუნახავობით. უფრო მეტიც, დღევანდელი ფანტასტიკური უანრის ფილმებში მრავლადაა ხელოვნური ურჩხულებისა და მონსტრების საშინელებები. ამით ჩვენ გვახსენებენ წარღვნამდელ იმ ტრაგედიის მიზეზს, რომელიც მეცნიერების რელიგიასთან დაცილების გამო მოხდა და მას წარღვნა მოჰყავა.

ასეთი რამ დღესაც შეიძლება მოხდეს, როდესაც ადამიანის ხელისა თუ ფეხის რეგენერაცია, იდეაში, გენეტიკოსებისათვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს და ისინი მხოლოდ ტექნიკურ საშუალებათა განვითარებას ელოდებიან და ასევე ქრომოსომების ენის გაშიფვრას და როდესაც ქრომოსომების ენას ისწავლიან... ადამიანსაც აღუდგენენ დაკარგულ კიდურებსა და ორგანოებს და... ურჩხულებსაც შექმნიან სამხედრო უწყებები და ახალი კატასტროფა გარდაუვალია.

ამიტომაა საჭირო რელიგია, მისი მორალური კოდექსი და მისტიურ საიდუმლოებათა ის პროცესები, რომლებსაც არ სჭირდებათ არანაირი აპარატურა, საჭიროა მხოლოდ ის ენა, რომელსაც ქრომოსომებთან ურთიერთობა მოაქვს და ეს ენა რელიგიამ დიდი ხანია იცის, — ამ ენას ლოცვები, გულით ლოცვები ჰქვიან და ჩვენ იოგები დიდი ხანია ვფლობთ განსაკუთრებულ ლოცვათა განსაკუთრებულ ენას, რომლის მეშვეობით ამ წერილის დასაწყისში დასახელებული ქალბატონის ორგანოთა რეგენერაცია მოვახდინეთ და სხვა “სასწაულებსაც” მრავლად ვაწარმოებთ.

საჭიროა რელიგიისა და მეცნიერების სიმბიოზი: მეცნიერება უნდა გახდეს რელიგიური და რელიგია მეცნიერული და ეს პროცესი, საბედნიეროდ მიმდინარეობს, — ეკლესიებში მეცნიერები მიდიან მოძღვრებად და მეცნიერებაში მოდიან მაღალი ზნეობისა და ჰუმანიზმის მქონე ღვთის მორწმუნე ადამიანები.

დავასრულებთ ამ ნარკვევს იმ აზრით, რომ მეცნიერებაში და რელიგიაში ისევე როგორც ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, მეექვსე რასის, ინდიგოს რასის ადამიანთათვის შემოღის მისტიური აზროვნების ფენომენი და ეს ყველაფერი, უკვე სხვა მეცნიერმა და მისტიკოსმა ერთდროულად, ელექტრიკულად ვარდა ტელემედიცინულად გამოიყენება: “მომავალმა ჩვენს წინ ყველაზე გრანდიოზული პერსპექტივები გადაგვიშალა, რამეთუ უკვე ამჟავდა მისტიური აზროვნებისაკენ შემობრუნების დიადი ციკლი. ყოველი მხრიდან, ჩვენ გარს გვარტყია უნივერსალური მეცნიერების ოკეანის წყლები, — მარადიული ცხოვრების ის მეცნიერული წყლები, რომლებსაც თავის სიღრმეში ჩვენთვის შემოუნახავთ გარდასულ თაობათა ჩაძირული და დავიწყებული სულიერი განძეულობანი.”

\*კალიპედია - ლამაზი თაობის შექმნის მეცნიერება.

## ისევ სიყვარულზე!

სამყარო, ვგონებ, ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს: გავხდეთ კეთილნი, თუნდაც მოდას რომ ვუღალატოთ; უფრო მიმნდობნი; გულწრფელი და მოსიყვარულე, მაშასადამე უფრო მეტად, უფრო სრულად და აშკარად თავისუფალნი.

ეს არაა, რაღაც ღრმა მეცნიერული გამოკვლევა. ეს უფრო საინტერესო აზრთა და მეთოდიკათა კრებულია. შესაძლოა, რომ ამ აზრთა ქონამ ვიღაცა დააფიქროს და პრობლემათა გადაწყვეტაში დაეხმაროს. ზოგი, ალბათ, სასარგებლო ვარჯიშებსაც ამოიკითხავს.

ჩვენ ყველანი ვოცნებობთ სიყვარულზე, სიყვარულის საკუთარ იდეალზე, მაგრამ ცხოვრებაში კი არ გამოგვდის ისე, როგორც ჩვენ ამაზე ვოცნებობთ.

კარგ დამოკიდებულებათა აწყობის სანაცვლოდ, ჩვენ წლობით ვსწავლობთ ერთმანეთს, რათა ნაკლოვანებანი აღმოვაჩინოთ ერთმანეთში და ვვარჯიშობთ ამ მტკივნეულ წერტილებზე ისე მოხერხებულად დაჭერას, რომ რაც შეიძლება ეფრო მეტი ტკივილი მივაყენოთ ერთმანეთს.

ოცნება კი რჩება ოცნებად. უფრო მეტიც, – ოცნება ნელ–ნელა გვტოვებს და ვრჩებით მხოლოდ არნახული სიუხეშის ამარა და ვემალებით ყველას, ვემალებით საკუთარ თავს... ჩვენ ვსწავლობთ მუდმივ შენიდბულობას, – ასე ხომ უფრო საიმედოა. უკეთეს შემთხვევაში ვეძლევით უდარდელობას და... უინტერესო ცხოვრებას. ხშირად ოჯახის წევრები მატარებლის ორი პარალელური ლიანდაგივით ისე ცხოვრობენ, რომ არასოდეს ეხებიან ერთმანეთს, და მხოლოდ ისრებზე, როცა მიმართულებებს იცვლიან მაშინდა ხვდებიან ერთმანეთს... აქ კი ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ წამიერია...

ასეთ ურთიერთობათა ნიშნებს ისეთი სიტუაციები წარმოადგენენ, როდესაც

ადამიანები ჩხუბობენ, თუკი ოდნავ მეტი თავისუფალი დრო გამოუჩნდებათ კონტაქტისათვის.

ამ დროს ადამიანები ნებისმიერ აკრძალულ ილეტებს მიმართავენ, ყველაფერს ამოქექავენ წარსულიდან და... და „დაღუპული“ ცხოვრების გაუთავებელ სასამართლო პროცესს ეწევიან ნაცვლად იმისა, რომ სიყვარული ბოლომდე არ გაწირონ.

ბევრი ფიქრობს, რომ სიტუაცია მოგვიანებით მაინც შეიცვლება და ამიტომ დაობენ და ბედნიერებას სახვალისოდ გადადებენ...

ეს ხვალ კი, რატომდაც, აგვიანებს, ან საერთოდ არ მოღის, იმიტომ, რომ ჩვენ ველოდებით ჯერ საკუთარ პრობლემათა გადაწყვეტას, შემდეგ მატერიალურად ფეხზე დადგომას, შემდეგ ბავშვების გაზრდას... და აი მაშინ, მოვა სიყვარული და ბედნიერებაო... მერე, მერე, ეხლა კი არა, მერეო... და ეს მერე შეიძლება აღარასოდეს აღარ მივიდეს.

და ვოცნებობთ როდის შემოვა ჩვენს ცხოვრებაში ის ადამიანი, რომელიც შეგვიყვარებს ჩვენ. ან ბოლოს და ბოლოს როდის შეიცვლება ჩემი ცოლი (თუ ქმარი)? როდის გახდებიან ადამიანები ჩემს მიმართ კეთილნი და ჩემს სიკეთეს დაინახავენ?

მაგრამ ჩვენი სხვათა მიმართ დამოკიდებულებები მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულების ანარეკლია.

სამყარო სარკეა. თუ ჩვენ სხვათა მიმართ ურთიერთობებს გადავხედავთ, ჩვენ ჩვენში არსებული სიყვარულის თუ

უსიყვარულობის ანარეკლს დავინახავთ, ისევ და ისევ საკუთარი თავისი მიმართ.

ლუიზა ხეი წერს: “მე იმ დასკვნამდე მივდიგარ, რომ თუ ჩვენ ჩვენი თავი გვიყვარს, საკუთარი საქციელი მოგვწონს, და ვრჩებით ისეთად, როგორებიც ვართ, ჩვენი ცხოვრება აუწერელად ლამაზდება. პატარა საოცრებანი ყველაფერშია.

ჯანმრთელობა უმჯობესდება, ფული თავისით მოდის ჩვენს ხელში, სხვათა მიმართ დამოკიდებულებები თბება და ჩვენ ჩვენს თავს შემოქმედებითი მხრიდან წარვუდგენთ საზოგადოებას.

და ეს ყველაფერი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჩვენის მხრიდან. როდესაც მოელი სულითა – და გულით გვიყვარს საკუთარი თავი და პატივისცემას

ვერავის ვერ შევიყვარებთ. ჩვენ შეიძლება განვიცდიდეთ სხვათა ერთიერთობების აუცილებლობას, ვცდილობდეთ მათთან დამოკიდებულებების შენარჩუნებას, იდეალურებად წარმოვიდგინოთ ისინი ან რომანტიული ელფერით შევაფერადოთ, ან... გვეცოდებოდეს კიდეც, ჩვენ მაინც ვერ შევიყვარებთ მათ, ვიდრე საკუთარი თავი არ შეგიყვარდება.

იმისათვის, რომ თქვენს ცხოვრებაში სიყვარული შემოვიდეს, თავად უნდა ისწავლოთ სიყვარული საკუთარი თავის მიმართ. უნდა მიიღოთ საკუთარი თავი ისეთად, რაც ხართ.

შეგიყვარდება საკუთარი თავი – შეგიყვარდება სხვებიც. აი მაშინ შეიცვლება თქვენი ადამიანების მიმართ



თეთრი და ზეციური  
1924წ.

ნ.რერიხი.

განვიცდით საკუთარი პიროვნების მიმართ ისევე, როგორც საკუთარი საქციელი მოგვწონს. მაშინ ჩვენ ჩვენი აზროვნების კეთილშობილ, ამაღლებულ განზომილებას ვქმნით.

თუ ჩვენ ჩვენი თავი არ გვიყვარს, ვერც

დამოკიდებულება, ისევე როგორც მათი შენს მიმართ.

თქვენ მოგეცემათ საშუალება მიიღოთ ადამიანები და საკუთარი თავიც ისეთად, როგორებიც არიან ისინი და თვითონ თქვენც.

თქვენ მოგეცემათ უნარი ადამიანთა მთლიანობაში შეფასებისა და ამით, მათი სწორი დანახვა: დაინახავთ მათ მნიშვნელობას, მისწრაფებებს, უჭვებსა და საზრუნავს.

და დაინახავთ, რომ ადამიანები ყველა ერთმანეთს ჰგავს, ყოველი “ადამიანი ადამიანისაგანაა შექმნილი”. და მაშინ უფრო გაგებით მოეკიდებით მათ საქციელს, რასაც აღრე არ დებულობდით.

აი მაშინ გაჩნდებიან თქვენს ცხოვრებაში ადამიანები, მოვლენები და ისეთი დამოკიდებულებანი, რომლებზედაც ყოველთვის ოცნებობდით. საჭიროა მხოლოდ მოინდომოთ. მოინდომოთ დანამდვილებით და არა განზოგადებით.

ახალი ხარისხის ურთიერთობანი, უსასრულო ზრდის საშუალებას მოგიტანთ, გაამჟღავნებენ და უკნებელყლოფენ ყველა დაფარულ პრობლემას თუ დამთრგუნველ ემოციას.

და თუ თქვენ ურთიერთობებს აკლიათ გახსნილობა, ნდობა, სიახლოვე, კონფლიქტის მოგვარების უნარი, მოსმენის უნარი, გაცემა, ერთმანეთში სიახლის ადმოჩენის უნარი, თუ თქვენ არ გიხარიათ ურთიერთობა, სიცოცხლე, ერთად არ ოცნებობთ და უპირობოდ არა ხართ შეყვარებული, მაშინ თქვენი ურთიერთობა აგებულია ეგოიზმზე, შიშა და უსაფრთხოების ძიებაზე.

ეგოისტურ ურთიერთობათა ნიშნებია ეჭვიანობა, პატივისცემისა და ემოციური სიახლოვის უკმარისობა, პარტნიორით მანიპულურება, მშვიდი, მაგრამ უგემური ცხოვრება.

თუ თქვენ მართლა გსურთ ნაზი, ნდობით აღვსილი ახლო ურთიერთობა, მაშინ თქვენ გექნებათ ზუსტად ასეთი მდგომარეობა. ბოლოს და ბოლოს ჩვენ თვითონ ვქმნით ჩვენს რეალობას. ჩვენ ყოველთვის იმას ვდებულობთ, რაცა გვსურს.

თუკი ჩვენ გვსურს და მზადა ვართ სურვილის საგნის შესასრულებლად, მაშინ

მოვისურვოთ. მხოლოდ ჩვენი შიშებისა და ფარული პრობლემების გამო ჩვენ ყოველთვის როდი ვდებულობთ იმას, რაცა გვსურს და რაზედაც ვფიქრობთ.

სცადეთ და გაიაზრეთ ყველაზე ახლო ურთიერთობები თქვენს ცხოვრებაში. მართლაც და ნამდვილ სიყვარულსა და ახლოობაზე არიან ისინი აგებული, თუ მხოლოდ საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის ან თავის გამოჩენისათვის გაქვთ ურთიერთობა?

„ნათესავი სული” – ისაა, ვისაც თქვენი საკეტების გასაღებლები აქვს ისევე როგორც თქვენ გაქვთ გასაღებლები მისი საკეტებისათვის.

როცა ჩვენ იმდენად დაცულად ვგრძნობთ თავს, რომ შეგვიძლიან გავხსნათ ჩვენი საკეტები, მაშინ ჩვენი ნამდვილი “მე” გამოდის ერთმანეთთან ურთიერთობისათვის, და მაშინ მთლიანად, მთელი სიწოლელით, ჩვენ ვართ ის, რაც ვართ.

მაშინ ჩვენ ისეთად ვუყვარვართ, როგორებიც ვართ, და არა ისეთები, როგორებადაც ვცდილობთ წარმოვაჩინოთ ჩვენი თავი.

ყოველი საუკეთესო თვისებებს აღმოაჩენს მეორეში. და მიუხედავად ყველაფერი იმისა, რის გამოც თქვენ იტანჯებით, ჩვენ სამოთხეში ვართ იმ ადამიანთან, ვის საზოგადოებაშიც ჩვენ სიკეთეს განვიცდით.

„ნათესავი სული” – ეს ის ადამიანია, ვინც ჩვენ სიღრმისეულ მისწრაფებებს იზიარებს, იზიარებს ჩვენი განვითარების მიმართულებას.

თუკი ჩვენ ბუშტივით მუდამ ზეცისაკენ მივისწრაფით, სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენ ერთმანეთში საჭირო ადამიანები ვნახეთ.

„ნათესავი სული” – ეს ისაა, ვისი მადლითაც თქვენ ჰეშმარიტ ცხოვრებას იწყებთ.

(რ.ბახი)

## პოლიტიკა და მისი რეალობა

ეს ჩემი ტეტრალოგიის ბოლო, მეოთხე წიგნია. იგი ამთავრებს “ახალი პოლიტოლოგიის” წიგნთა რიგს და მსოფლიოს ყველაზე დიდი და ასევე დიდად დაფარული პოლიტიკოსის შემოქმედების შეცნობის გარეშე, ეს ტეტრალოგია არ იქნება სრულყოფილი. ამისათვის კარგი იქნებოდა თვით ბატონ ედუარდთან უშუალო საუბრები, ინტერვიუები, მაგრამ, მოგეხსენებათ ის, თუ რარიგ მიუწვდომელი არიან ასეთი რანგის ადამიანები. პოდა მეც ვერა და ვერ შევაღწიე ამ ადამიანის იმ სივრცეში, სადაც მასთან უშუალო კონტაქტი მექნებოდა. ყველაფერი 1972 წლიდან დაიწყო, რადგან ამ წლიდან მოყოლებული მე ვერძნობდი, რომ მან, იმ დროს ჩემთვის სრულიად დაფარული, თურმე სრულიად საკაცობრიო მისია იკისრა თავის თავზე. ამიტომ ყურადღებით ვაკვირდებოდი მის, ჩვენთვის მაშინ ამოუცნობ შემოქმედებას...

მათ, ვისაც ასეთ ადამიანებთან კონტაქტი სურს, ძნელად თუ მიაღწევენ საწადელს. თავის მხერივ კი, ეს იოლი გასაგებია, ისინი იოლად ამყარებდნენ კონტაქტს მათვის საჭირო ყველა ადამიანთან...

...იზრდებოდა შევარდნაძე და საქმე მისი. ვიზრდებოდი მეც, როგორც იოგი და უბადლო მკურნალი და... დავჭირდი მას: ქალბატონ ნანული შევარდნაძეს მუხლები აწუხებდა და მეც მიმიწვიეს.

ალბათ საინტერესო იქნება ესოდენ დიდი ადამიანის მეუღლის პორტრეტის, თუნდაც მცირეოდენი შტრიხები: ქალბატონი ნანული ლრმად მოაზროვნე, ინტელექტუალური პიროვნება იყო. მასთან სულ რამოდენიმე სეანსი ჩავატარე. ჩემთვის დასანანი ის გახლავთ, რომ მიზანს ვერ მივაღწიე, რადგან გულიკო ჩაფიძე სეანსის შემდეგ, ლრმა ეჭვებს გამოთქვამდა იოგას

ვარჯიშების მიმართ და ასეთ ვითარებაში წარმატება გამორიცხული იყო...

...სეანსის შემდეგ ჩაფიძე ამაყად გვტოვებდა და ჩვენ საქმარისად საინტერესო საუბრები გამოგვდიოდა ფსიქოლოგიაზე. ასე გავიცანი ქალბატონი ნანული, მაგრამ ბატონ ედუარდს მის ოჯახშიც ვერა და ვერ შევხვდი. ესაა, რომ მხოლოდ ერთხელ დავინახე ოთახიდან ოთახში როგორ გავიდა დერეფნით.

აი ასე, დღემდე ჩვენი შეხვედრა ვერ შესდგა, თუმცა ეხლა ყოველდღიურად ვხვდები მას, - ჩემს მაგიდაზე, ჩემი



ხელნაწერების გვერდით მისი მემუარებია. ვსარგებლობ ამ წიგნით. მართალია ამ წიგნს ამშვენებს გრიფი ©, მაგრამ ეს მაინც არაა კატეგორიული აკრძალვა მასალების გამოყენების თვალსაზრისით, რადგან წიგნშიც და მისი გარეკანის ბოლო გვერდზეც ავტორი სულგრძელად იძლევა ნებართვას მასალების გამოყენებისათვის.

აი ეს ნებართვაც:

“ჩემი ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში ის, რაც თქვენი ყურადღების ლირსად მივიჩნიე, აქ არის: შეგიძლიათ თავისუფლად განმსაჯოთ შეუბრალებლად, უკომპრომისოდ”...

ჩემი წიგნი, სხვა ამოცანათა შორის, მისი განსჯაცაა. მოყვანილი ციტატის მიმართ კი, ჩემეული დამოკიდებულება მაქვს... მე ამ ციტატაში ისევ შევაღდნაძისეულ, მეტად დახვეწილ ქარაგმას ვხედავ. შევარდნაძის „...განმსაჯეთ შეუბრალებლად, უკომპარომისოდ” და დავითის „გულზე ფეხი დამაბიჯეთ” – გამონათქვამებს შორის სრულ მსგავსებასთან და ანალოგიურობასთან ერთად ისმის შევარდნაძის დავითისეული გულის ტკივილიცა და მონანიებაც... ვკითხულობ, ვსწავლობ, ვფიქრობ... განა როგორ შეიძლება ასეთი რანგის, მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსის შეფასება მისივე მემუარებში ასახული შემოქმედების შესწავლის გარეშე, რასაც ის თავად ახმოვანებს, თორემ იცოცხლეთ იმდენია მის ცხოვრებაში ჩრდილი, რომ მასთან შედარებით თვით ტალეირანიც კი გაფერმერთალდება! ტალეირანა ნაპოლეონი და ევროპა დაიხვია ხელზე და შევარდნაძემ კი – მთელი ევროპა და ამერიკა.

ჩემი ტეტრალოგიის პირველ წიგნში „სიბერისა და სიკვდილის უფლების გარეშე” მე ვწერ: „არაა იმაზე მარტივი მოქმედება, რასაც უმეცარი ადამიანი აქეთებს. უმეცარი არა მხოლოდ მოქმენტალურად ნათლაგს მოვლენებსა და ადამიანებს, არამედ იგი ყოველთვის ყველაფერს უარყოფს და საშინლად დოგმატურია.

ბრძენი ადამიანისათვის კი არ არსებობს იმაზე მეტი სირთულე, ვიდრე ჩამოაყალიბოს თავისი წარმოდგენა ვინმეზე ან რაიმე საკითხზე და ისიც მოქმენტალურად, ყოვეგვარი დაფიქრების გარეშე, - სიკეთე და ბოროტება ისეა ჩახლართული ერთმანეთში, რომ ერთბაშად მათი გარჩევა ძალიან ძნელია, და თუ მაინც მოხდა მოვლენათა სწორი შეფასება, ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ მიგნებულ იქნა მათ შორის არსებული ზუსტი ზღვარი: გველი გველია, მაგრამ კაცობრიობის ყველაზე პუმანური მეცნიერების, - მედიცინის

სიმბოლო, - თასი და შხამიანი გველი გახლავთ... აი ასეთნაირად ვინც არჩევს კეთილსა და ბოროტს, ის უკვე ნამდვილი ბრძენია.”


ეს წიგნი ბრძენ ადამიანთა შემოქმედებაზეცაა და მათ სიბრძნეზეც, კონკრეტულად კი ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე.

ბატონ ედუარდს იცნობს მსოფლიო. ზურაბ უვანიას, – ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციით გავაცნობთ მსოფლიოს. მერაბ აბაშიძეს კი ამ წიგნით გავაცნობ საქართველოსაც და მსოფლიოსაც. აქვე მინდა ორი სიტყვით მივმართო მის დედას: ქალბატონო ლილი! თქვენი მერაბი არ დარჩება შეუმჩნეველი და შეუფასებელი არც ერს და არც კაცობრიობას...

მერაბ აბაშიძის ვრცელ და გენიალურ შემოქმედებაში არაერთი ნიჭიერი კინორეჟისორი თუ დრამატურგი ნახავს თავისი შთაგონებისათვის საჭირო ნაწარმოებს. საზოგადოებაში, რატომდაც, ჩამოყალიბდა ის აზრი, რომ ლეგენდები და მითები შორეულ წარსულს მიეკუთვნებიან და მათი დრო უიმედოთაა გარდასული, მაგრამ ეს ასე როდია. თვით სიცოცხლის ფენომენია ჭეშმარიტი და სწორუპოვარი მითოლოგიური მისტერია. მითები და ლეგენდები წარსულ დროთა გამოძახილი კი არაა, არამედ ისინი უშუალოდ თანამედროვეობის კვალზედ იწერება. უფრო მეტიც, - თვით ცხოვრება წერს ასეთი მითიური მისტერიების სცენარებს, რომლებიც ჩვენს თვალწინ, ყოველდღიური მოვლენების სახით თამაშდებიან და ასევე სამომავლო მოქმედებათა და მოვლენათა წინასწარმეტყველებებსაც წარმოადგენენ. განა სხვა რაა თუ არა წინასწარმეტყველებანი ისეთი გენიალური ფილმები, როგორებიცაა ვთქვათ: „ნერგები”, „შერეგაილები”, „ცისფერი მთები”...

აი ზუსტად ასეთი, ჯერ უცნობი წინასწარმეტყველი, XX-ე საუკუნის ულამაზესი, ერთდროულად მითისა და

ლეგენდის შემოქმედი – მერაბ აბაშიძე გახლავთ. მან იწინასწარმეტყველა ზვიად



მერაბ აბაშიძე

გამსახურდია, მიხეილ სააკაშვილი, რუსეთის რლვევა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, საქართველოს ძნელი განთავისუფლება, სანგრძლივი ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისათვის და მრავალი გასაოცარი სხვა რამ. როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს ნიჭიერი კინორეჟისორები გამარგნებელი სილამაზის, ქართული სულის მატარებელ ფილმებს შექმნიან მერაბის ნაწარმოებთა მიხედვით და ქართული ფილმის ახალი ერაც დაიწყება. მერაბმა პირველმა დაანახა მსოფლიოს ის, რომ საქრთველოს, ყოველთვის ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება კიდეც „მონა ღვთისა და მამა ერისა.“ მან დაგვანახა ის თუ რა ქარცეცხლი უნდა გაგვევლო მომავალში, არა და იმ დროს, როდესაც ნაწარმოები დაიწერა, 1975 წელს ჩვენ „უდრტვინველი საბჭოური მზე დაგვნათებდა“ და სუფევდა „საბჭოური იდილია“...

მერაბმა მომავალი საქართველოს ბრძოლების სცენარი დაწერა და ის, რომ

მან ეს ნაწარმოები ზვიად გამსახურდიას მიუძღვნა მოწმობს იმას, რომ მისი ნაწარმოები მომავალ მოვლენათა სცენარი გახლავთ. ამით მერაბი მისტიურ დრამატურგად მოგვევლინება.

ედუარდ შევარდნაძემ იგივე მოვლენების სცენარი ისე დაწერა, რომ არავის გაუგია, არსად გამოუქვეყნებია რადგან საგულდაგულოდ მალავდა მას. სამაგიეროდ ყველას თვალწინ გაუგონარი ფილმის გაუგონარი სცენარი განახორციელა. ამით შევარდნაძე რეალური ცხოვრების რეალური დრამატურგიცაა, შეუდარებელი რეჟისორიც და პირველი როლების უბადლო შემსრულებელიც მისგანვე შექმნილი მსოფლიოს კომუნისტური ქიმერისაგან განთავისუფლების ეპოპეისა. მაგალითისათვის მხოლოდ ის რად ღირს, რაც ჩვენ ვიხილეთ ურთულეს, უაღრესად დაძაბულ და კრიტიკულ სიტუაციაში „გარდების რევოლუციის“ დროს, როდესაც ყველას თვალწინ ჯერ მილიცია „გადავიდა“ ხალხის მხარეს, შემდეგ ერთი გასროლის გარეშე „გადავიდა“ ჯარი, და შემდეგ კი თეატრალური საპარლამენტო „სხდომის“ ძირითადი მსახიობი, სცენარისტი და დამდგმელი რეჟისორი, - საუკუნის უდიდესი პიროვნება, - როგორ „გაპარეს“ სხდომათა დარბაზიდან, და ამის შემდეგ ისიც ვნახეთ როგორ „გადადგა“ იგი, როდესაც, „ყოველი შემთხვევისათვის“, იურიდიულად შეინარჩუნა პრეზიდენტობა...

გადადგა. გადადგა ისე, რომ ყველას თვალწინ ამანათი, ხელუხლებელი „ჩაიც“ გადასცა სიმბოლურად. რეალურად კი „გეოპოლიტიკური“ სტრატეგია და გამზადებული საერთაშორისო სივრცე გადასცა მას. ჩვენ კი მხოლოდ შედეგებს ვხედავთ: როგორ მუშაობს, „გეოპოლიტიკა“, როგორ შექრა მან მსოფლიო და არავითარი შედაგათი არ დაუტოვა ევროპასა და ამერიკას პოლიტიკური სპექტაციებისა რუსეთთან, - საქართველოს ხარჯზე გარიგებებისათვის...

...ეს ყველაფერი ცხოვრების სცენარია. მისი დადგმა ყველაზე დიდი თეატრის – ცხოვრების სცენაზე განხორციელდა.

მისი გათამაშებაც ამ ერთმა კაცმა განახორციელა. მართალია, იგი კი „გადადგა”, მაგრამ კულისების მიღმა იდგა, გულგრილად როდი ადევნებდა იგი თვალს მიმდინარე მოვლენებს... კრიტიკულ სიტუაციაში იგი უშიშრად გამოდიოდა „სცენაზე”, ვთქვათ „კავკასიის” არხზე და სამოქალაქო ომის საშიშროებაც ააცილა საქართველოს, გაჩერილაძესადმი „მამა-შვილური” დარიგების ძალით. ედუარდ შევარდნაძეს, როგორც პოლიტიკურ სცენარისტსა და უბადლო რეჟისორს ერთი „ნაკლი” ქონდა. იგი არასოდეს არ აქვეყნებდა თავის სცენარებს, იგი უბრალოდ განახორციელებდა მათ და ჩვენ კი იმასდა გვიტოებდა მხოლოდ, რომ ცხოვრების დიდ სცენაზე გამართული მისი მისტერიების მოწმენი გავმხდარიყვაით, თუნდაც ტელეეკრანზე, როდესაც ირინა სარიშვილის პირით, პირწმინდა გურული იუმორით, ნოდაიდელს „სანდროს” ძმა-კაცად მონათლავს...

ასე რომ იგი ყოველთვის მომხდარი ფაქტების წინაშე გვაყენებდა ჩვენ და სულაც არ ადარდებდა ის, რომ ვინმეს არ მოეწონებოდა მოსი სცენარი, - მისი სპექტაკლები ხომ თაობებზე და ისტორიაზე იყო გათვლილი და არა მავანთა და მავანთა გულის მოსაგებად...

მერაბ აბაშიძემაც დაუშვა „შეცდომა”, - თანამედროვეობის ყველაზე დიდი მისტერია ზვიად გამსახურდიას მიუძღვნა...

მერაბს შესანიშნავად ესმოდა ზვიადის ფენომენი და ამიტომაც მიუძღვნა მას თავისი საუკეთესო ნაწარმოები, როთაც თვითონ ნაწარმოები პოლიტიკურ მოვლენებს მიაბა.

ედუარდ შევარდნაძესაც ყველაზე კარგად ესმის საქართველოს თავისუფლების მაცნეს – პირველი პრეზიდენტის მნიშვნელობა. თავის მემუარებში იგი წერს: „ზვიად გამსახურდია ჩვენი საზოგადოებისათვის

დღესაც დიდ პრობლემად რჩება და სწორედ ამიტომ საზოგადოების ნაწილს უნდა უგულებელყოს, დაამციროს ან მიჩქმალოს მისი ფენომენი, ამით კი იმათ ემსგავსებიან, ვინც თივის ზვინში ცეცხლის დამალვას ცდილობს.

გამსახურდიას ფენომენის ახსნა არ ძალუბთ არც „ზვიადისტებს” და არც „ანტიზვიადისტებს”. მხოლოდ ამ სნეულებისაგან განკურნებულ საზოგადოებას შეუძლია საღად იმსჯელოს 1990 - 1991 წლების მოვლენებზე და მათ მთავარ მოქმედ პირზედ, რომელიც ყველა არსებული, თუ არ არსებული ნაკლის



მიუხედავად საქართველოს ისტორიაში შევიდა როგორც მისი პირველი პრეზიდენტი, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და წინააღმდეგობრივმა მოვლენებმა დაამარცხეს. მიზეზი თუ მიზეზები ამ ტრაგედიისა საძიებელია და დასადგენი.”

ვფიქრობ, რომ ჩვენ შეგვიძლიან გამოვიტანოთ საბოლოო დასკვნა და ვიდრე მკითხველი დაეთანხმება ჩემს აზრს ან საკუთარ მოსაზრებაზე დარჩება, მე შევთავაზებ მკითხველს ისტორიულ-პოლიტიკურ ფორმაციათა მონაცვლეობის მოკლე პლატონისეულ თეორიას.

## პლატონი!..

საზოგადოების განვითარების კანონები  
და მისი ოთხი ავადმყოფური ფორმაცია:

- » თიმოკრატია;
- » ოლიგარქია;
- » დემოკრატია;
- » ტირანია;

ამ ოთხ მანკიერ ეტაპებს არა აქვთ ნუმერაცია, ისინი მხოლოდ მოყვანილი თანამიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს, - ყველაფერი წრეზე ტრიალებს, მანკიერ წრეზე. ამიტომაც პქვიან მათ სნეული ფორმაციები.

— თიმოკრატია. ეს ისეთი წყობილებაა, როდესაც ხელისუფლებაში მიდის ერისა და საზოგადოების ყველაზე გამოჩენილი და გამორჩეული, ყველაზე პოპულარული ადამიანი. საქვეყნოდ ფრიად ცნობილი ზვიად გამსახურდიას ნიჭი და ინტელექტი იყო გადამწყვეტი, მასებისათვის მიმზიდველი ის განსაკუთრებული პირობა, რამაც მის სახელს ძალა და ავტორიტეტი მიანიჭა. ხალხის თვალში ყველაზე მომხიბლავი თვისება ის იყო, რომ იგი მასების უშიშარ წინამდოლს წარმოადგენდა, — მერაბ კოსტავასთან ერთად ის პირველი დისიდენტი გახლდათ.

აი ამ პოპულარობამ მიიყვანა იგი მოვლენათა სათავეში და როდესაც კრიტიკული სიტუაცია მომწიფდა და მოვლენები ვეღარ ითმენდნენ, — ანუ საჭირო გახდა ეროვნული გმირი, — ის როგორც წინამდოლი, უკვე მზად იყო...

ყველამ ძალიან კარგად იცის ცხოვრების ის კანონი, რომლის შესაბამისად ყოველი ჩვენთაგანი ვდებულობთ იმას, რის საფასურსაც ვიხდით: ვიხდით ველოსიპედისას, — ვდებულობთ ველოსიპედს; ვიხდით რესტორნის ფულს, — რესტორნის პურმარილიც გველოდება... ერთი სიტყვით, ჩვენს შემთხვევაში მოხდა ის, რომ ზვიად გამსახურდიამ საკუთარი უკვდავების საფასურად, საკუთარი სიცოცხლე გადაიხდა და ოქროს ასებით

ჩაწერა საკუთარი სახელი საქართველოს ისტორიაში.

ბატონი ედუარდი სამართლიანია როდესაც იგივეს ამბობს თავის მემუარებში...

...ედუარდ შევარდნაძემ მხოლოდ ერთი რამ ვერ „შეძლო”, — თიმოკრატიული ეტაპის გვერდის აქცევა. ეს ეტაპი ისტორიული კანონია და პლატონმა ჩადო იგი ისტორიაში. ამიტომ ზვიად გამსახურდია თავის უკვდავებასთან ამ კანონმა და ხალხმა მიიყვანა!

თიმოკრატია ყველაზე მოკლე ხანაა სახელმწიფო ფორმაციათა შორის და თიმოკრატი ხელისუფალი, სულ რამდენიმე წელიწადში ასრულებს თავის მისიას, რადგან სახელმწიფოს მართვის ცოდნის უკმარისობა სულ უფრო და უფრო მწვავე კონფლიქტებს ბადებს თანამებრძოლთა რიგებში და თიმოკრატი, ისტორიულად, უმეტესწილად ამგვარად გაჩენილ პრობლემათა მსხვერპლი ხდება.

ამის შემდეგ მოდის სხვა ძალა — ოლიგარქია და მოდიან ოლიგარქები. ეს უკვე ოლიგარქიის ეტაპია.

ოლიგარქებს თავის გამოჩენა არ უყვართ. ყურადღების ცენტრში დიდხანს ყოფნას ლობირება ურჩევნიათ, ამიტომ ძალიან მალე „უთმობენ“ ასაპარეზე დემოკრატებს, — სხვისი ხელებით არ სჯობია საქმის კეთება?!...

ასე მოდის დემოკრატია, მოდის ყველაზე ხანგრძლივი დროით და საზოგადოების განვითარების პროცესებსაც მხოლოდ ეს ფორმაცია განახორციელებს, რადგან სამი დანარჩენი მხოლოდ დროებითია...

...იწყება დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ქვეყნის განვითარება, და თუ დემოკრატია არასწორად განვითარდა იგი ნელ-ნელა აგროვებს კონფლიქტებს კონსტიტუციასთან, ცხოვრების წესთან, ხალხთან, საერთაშორისო სივრცეში და მრავალი სხვა... და რა თქმა უნდა რომ ასეთი სისტემის გადაკეთებას „რკინის ხელი“ ესაჭიროება... და მოდის ტირანი

და ტირანია. ყველაფერი თავიდან იწყება. ასეთ ფორმაციათა არსებობას და მათ თანმიმდევრობას პლატონი მანკიერ, სნეულ სახელმწიფოთა ფორმაციებს უწოდებს და გამოსავალი?!

გამოსავალი ისევ დემოკრატიაა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ის ერთადერთ მიზანს მოემსახურება – საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პრობლემების გადაჭრას. ამას კი ამ წიგნის გარეკანზე გამოსახული მახვილი აკეთებს – ანუ გონიერი ხელისუფლის მახვილი. სოციალური რეფორმების მეშვეობით, ხელისუფალს ქვეყნის სოციალური სნეულებებისაგან განთავისუფლება მოაქვს ერთის მხრივ და მეორეს მხრივ კი, ხელმწიფეს, – ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის ამაღლება, რასაც ასევე ხელისუფალი ჯანდაცვის სისტემის მეშვეობით განახორციელებს. ორივე შემთხვევაში ძირითადი და გადამწყვეტი როლი განათლების სისტემას ეკუთვნის. ასეთი მოდელის დემოკრატია, საბედნიეროდ, დედამიწაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახით აშენდა და ამიტომაა, რომ ეს ქვეყანა ნებნელა მიდის არისტოკრატიული წყობის მიმართულებისაკენ და თავის მხრივ მთელს დედამიწაზე დემოკრატიულ პროცესებს ანგითარებს!

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, – საქართველოს უსოფარი დროიდან მოაქვს ასეთი, არისტოკრატიული წყობის მქონე ქვეყნის ქარტია, რომელიც იოანე ბატონიშვილის (ბაგრატიონის) მიერაა გამოქვეყნებული მის წიგნში „ხუმარსწავლა“. ამ, ქართული სულიერი ფენომენისაგან განსხვავებული ქარტიაც არსებობს, რომელიც ოთხი სნეული სახელმწიფო ფორმაციის ქარტიას წარმოადგენს და იგი მაკიაველის მიერაა ჩამოყალიბებული წიგნში „მთავარი“. იგი დღემდე აკეთებს თავის შავბნელ საქმეს იმ შემზარავი ხერხებითა და ხრიკებით, რომლებიც მის წიგნშია აღწერილი და

პრაქტიკულად ყველა იმპერიის ფუნდამენტს წარმოადგენს. ამის არდანახვა დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში, – შეუძლებელია....

მაკიაველის „მთავარს“ მკითხველი თვითონ წაიკითხავს და იოანე ბაგრატიონის არისტოტელესული ხელისუფალის ქარტიას, აქვე წარმოგიდგენთ რათა დარწმუნდეთ, რომ ქართველ ერს ისტორიულად ახასიათებს არისტოკრატიული წყობილების ეროვნული ტრადიცია. რა ლამაზია ქვეყანა სადაც ხელისუფალი ასე ახლოს დგას ერთან, ერის თითოეულ ადამიანთან!!!!...

თითქმის სიტყვასიტყვით, ყოველ შემთხვევაში იგივე შინაარსით, იკითხება ბატონ ედუარდ შევარდნაძის მემუარებში მისი შემდეგი ფრაზა; „იგი (მემუარები) იწერებოდა მომავალზე ფიქრით, მისი უპირველესი ადრესატი მომავალი თაობაა..., და კიდევ იქვე: „სიყვარულისა და სიმშვიდის განცდა მივსებს სულს და იმავეს ვუსურვებ ჩემს ხალხს და ჩემს შთამომავლობას...“

არცერთი ამონარიდი არაა შემთხვევითი და ვიდრე მერაპ აბაშიძეს გადავცემთ სიტყვას, ზუსტად პოლიტიკის ჰრილში განვმარტოთ იოანე ბატონიშვილის ზნეობრივი კოდექსი, როგორც ქართული ეროვნული სულიერი ფენომენი, რადგან საბჭოური ურჩხულის, მსოფლიოს პრობლემად ქცეული რუსული აგრესიული პოლიტიკა ზუსტად შევარდნაძემ შეცვალა კიდეც და იმ ახალ პოლიტიკას სახელიც მიანიჭა: „ახალი, ზნეობრივი საგარეო პოლიტიკა“ (გვN11). ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის ისტორიაში 1985 წელს ახალი საგარეო პოლიტიკა, ახალმა, საგარეო მინისტრმა დაარსა...

ის, თუ რა ფურცლები ჩაბარდა ისტორიას მსოფლიოში და უპირველესად საქართველოში, ამის შესახებ მერაპ აბაშიძის ლეგენდა მოგვითხოვთ. ასეთ ნაწარმოებს ფონი ესაჭიროებოდა და განმარტება, რასაც მე მოგახსენებთ იმ

შემზარავი ფაქტებით, რომელნიც მე ლადო კოტეტიშვილის წიგნში აღმოვაჩინე...



...ლადო კოტეტიშვილი ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული: საქართველოს თვალების დათხრის, მისი დაშანოვის მოვლენები ისე აღწერა, რომ გაოცებას იწვევს ის, თუ როგორ მოახერხა წიგნის გამოცემა, არადა 1937 წლამდეა დაწერილი ლადო კოტეტიშვილის წიგნი. მარტივი იყო ხერხი, მარტივი... მაგრამ ალბათ გაჭრა: ცარიზმის რუსეთის ბრალდებით საბჭოური რუსეთის ფონზე გამოყენებულმა ფანდმა იმუშავა...

...პოლიტიკამ, რომელსაც ცარიზმი განახორციელებდა მთელ კაგასიაში კერძოდ საქართველოში, ძირფესვიანად გაანადგურა საქართველოს უმთავრესი სულიერი დერძი, — ერში არსებული უნიკალური კულტურა — ოქროს საწმისი. ერმა იცოდა გალობით მკურნალობა („ბატონებო“ და სხვანი); უნიკალური ფიტოთერაპია, შელოცვები, მეანობა,

ეროვნული უნიკალური პედიატრია და მრავალი სხვა რამ. ეს ყველაფერი, როგორც ბატონი ლადო წერს, თეთრ ხალათიანმა რუსებმა მოსპეს, ჩვენი დასტაქრებისა და ექიმების მიმართ ზიზღიანი დამოკიდებულებით, — „თუვემცა.“ აი ასეთი ეპითეტით დაიშანთა ერის ყოველი დიდი და პატარა, მკურნალი თუ დასტაქრი... ამ ჰეშმარიტების დასადასტურებლად ერთი უნიკალური ხევსური დასტაქრის სახელიცაა საკმარისი, — მგელიკა ლიქოელის სახელი...

პირადად ჩემი პრაქტიკიდანაც შემიძლიან უნიკალური შემთხვევის მოტანა: გერონტოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი ონკოლოგიურად დასნეულდა. პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ მიმიყვანა მასთან, თან წინასწარ ამისსნა, თუ რისთვის მიმიწვიეს. ბატონ მალხაზს უკითხავს მისთვის, ხომ არ იცნობს თბილისში ვინმე იოგს, იმათ რაღაც ფოკუსები იციანო და იქნებ რაღაცით დამეხმარონო?..

მართლაც. რომ მივედით მაშინვე მითხრა — თქვენ იოგებმა ფოკუზები იცით და იქნებ ისეთი რაიმე გამიკეთოთო, რომ ერთხელ ავდგე ლოგინიდან, „ზალაში“ გავიდე და ყველას და ყველაფერს დავემშვიდობოთ...

მეც გაუპეთე ასეთი „ფოკუსი.“ ამის შემდეგ ბატონი მალხაზი არაერთი დღე, არამედ 30 დღის განმავლობაში გამოდიოდა დილით „ზალაში“ და მთელი დღე იქ იჯდა და ურთიერთობა ჰქონდა ოჯახის წევრებთან, მეზობლებთან და ნათესავებთან. რა თქმა უნდა, მეც ხშირი ურთიერთობა მქონდა მასთან, როგორც მკურნალს და ერთ-ერთი შეხვედრისას მან საოცარი რამ მიამბო...

„...ხშირად გმოგზაურობდი საზღვარგარეთ სამეცნიერო საქმეებთან დაკავშირებით, — ყველოდა იგი. ერთხელ ისე მძიმედ გაგხდი ავად, რომ ვერავინ მიშველა, ვერც ერთმა ცნობილმა სპეციალისტმა საზღვარგარეთ და გამახსენდა ტიბეტი. გავიკეთე მივლინება და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. გამო-

თხოვებისას ტიბეტელმა ექიმმა მკითხა: სადაური ხარო? მეც გუპასუხე, - „ქართველი ვარ,” მაგრამ ვერა და ვერ გავაგებინე, თუ ვინ არიან ეს ქართველები. უცცრად აზრმა გამიელვა და მივახალე კოლხი ვარ-თქო და ისე შეიცხადა ვერ წარმოიდგენო... ერთი კი თქვა გაოცებისგან: კი მარა კოლხეთიდან აქ ჩამოხვედი სამკურნალოდო, როცა უნიკალური მედიცინა თქვენთან კოლხეთში არის ცნობილიო?..

აი ასეთი მედიცინა, დაგკარგეთ „ტუზემცებმა” რუსეთის ხელში.”

ეს იყო ჩვენი თვალების დათხრაცა და დედა საქართველოს დაბრმავებაც...

რა თქმა უნდა, რომ რუსეთთან ურთიერთობა ბუნებრივად აუცილებელია, მხოლოდ კი დამოუკიდებლობისა და ურთიერთეთილმეზობლურ, პოლიტიკურ ხელშეკრულებათა თაობაზედ...

თ.თავაძე



დასტაქარი მგელიკა ლიქოკელი

## სულის ძახილი

თეთრი გედები!

შენ ხარ ოცნება ჩემი და სული,  
შენთვის ელვარებს ეს, ჩემი გული,  
შენ ხარ სრულყოფა, მშენება სრული,  
ყველა სიკეთით უხვად შემკული.

შენ ჩემი სწრაფვა ხარ და მიზანი  
ჩვენ აკვანშივე დაგვდეს ნიშანი...  
თუმც არ მენახე, მაინც გიცანი  
ჩემი ოცნების გედო ნიშანი!

მხოლოდ შეხვედრას მე მოვერიდე, —  
და ავიფარე სახეზე რიდე  
რათა შენს გვერდში სრულყოფის ღმერთო  
გულში სირცხვილის ცეცხლი ამენთო.

მე მოკრძალებით ჩამოგეცალე,  
გავუჩინარდი და მივიმალე...  
და შენი დირსი — ოდნავ მაცალე  
მე მოვალ მალე... მე მოვალ მალე...

ვქმენ გარდაქმანი, შევქმენ მაქმანი  
ცეცხლით მდელვარე, ცისფრად ელვარე  
შიდ ჩავაქარებე გვირგვინოსანი  
მრისხანე ლომი, სრული ვით მოვარე.

ჩემი გარდაქმნის აღიარება  
შენგან მომელის და აღსარება  
ისმინე ჩემი, რომ მომავალში  
წარსულზე შენთან არ ვიყო ბრალში.

... მქონდა წარსულში  
შეხვედრა ერთი  
... მას ნაადრევად

გუწოდე ღმერთი  
ბედნიერება  
მერგო  
მეგონა  
მაგრამ  
გოგონა  
თურმე გორგონა  
გრძნობების გროვა  
გახელებული,  
გამხილებული  
გრგვინავს,  
გრიალებს  
ყველა მდაბიო ჟინი აქ არი  
ვნების ხანდარი, —  
ჟინი ანტარი  
წითლად ბრიალებს...  
უზარმაზარი  
აურზაური  
ირგვლივ ირევა...  
მეც ავირიე!  
გადავირიე,  
გადავირიე...  
მდგრიე მორევი  
მითრევს, მიმათრევს  
ბრაზმორეული  
ბრძნულ აზრებს  
მირევს.  
... მკაცრია,  
მკაცრი  
ენგურით წრთობა,  
მაგრამ როდესაც  
ერთგული გრძნობა, —  
რწმენა ურყევი

გულში გინათებს  
 მაინც ინათლებს...  
 მაინც ინათლებს...  
 ღრეობა  
 ენგურის  
 მიღმა  
 დარჩება  
 მრუში გოგონა  
 მღვრიე მორევში  
 თვით დაიხსნება  
 ვერ გადარჩება.  
 ჩქერი წალეპავს,  
 გადისვრის ხევში.  
 აქეთ-იქით ვართ ჩვენ განაყოფი  
 ხიდად გვიგია ორი ნაყოფი  
 ორი ქათქათა, ფრთამძლავრი გედი,  
 ჩემო ოცნება და ჩემი ბედი.  
 რათა დამეცვა ნაყოფის ნიჭი  
 მათ კრიჭა – კრიჭით  
 შავბნელი,  
 ფუჭი  
 შემოვაცილე სქელი ნაჭუჭი.  
 შემდეგ ვსრულებული ჩემი ნაყოფი...

იმ მზე და მოვარის ვინმე სადარი  
 არსად არ არი, არსად არ არი.  
 უკიდეგანო მთელს სამყაროში  
 წარსულში, ეხლა... და არც ერთ დროში!  
 ის მზე და მოვარე გულში მინათებს  
 და სულს მინათლებს მით, რომ ამართლებს  
 მას, რაც წარსულში ამირჩევნია  
 და ეს ნაყოფი უზენაესი, – თავს მირჩევნია  
 თავს მირჩევნია...

და მე კი დავდნი,  
 სულ დავილიე  
 თუმცა სიძნელე მაინც დავძლიე  
 ...მოჰქუმება, წარსულში როგორც ენგური  
 აქაფებული, სიცრუით მღვრიე,  
 გადავირიე... გადავირიე,  
 შეცდომა?! – წრთობა მღვრიე ენგურით  
 მას არ ვემდური,... მას არ ვემდური.  
 მას არ ვემდური, შენსკენ ვისწრაფი,  
 ...შენსკენ ვისწრაფი, შენსკენ მაქვს მზერა,  
 ოცნებავ ჩემო, შენ ჩემო მზე რა!  
 რა ელგარება ხარ შენ და რა მზე,  
 ვის შეგადარო ანდა რა მზეს?!

თ.თავაძე




# სიყვარულის საკრალური შრეები

## (გიორგი ბორეევი)

სიყვარული არსებობს სულის განვითარების ყოველ საფეხურზე, ისევე, როგორც ზიკურატის\* ყოველ საფეხურზე. ეს იმიტომ, რომ სიყვარული წარმოადგენს მატერიისაგან საკუთარი თავის შეცნობის უნივერსალურ იარაღს. ეთერულ გეგმილზე ადამიანთა სიყვარული წარმოადგენს შთამომავლობის შექმნის მისწრაფებას. გაიტანო ცხოვრება და გამრავლდე – აი რა არის პირველი ჩაკრამის ცხოველური გონების მიზანი. დედამიწის მცირერიცხოვან, ნახევრად ველური ტომებისათვის ფიზიკური (ეთერული) სიყვარული – ერთადერთი ძირითადი საშუალებაა ქალსა

ერთ დიდ ჯოგს საერთო ცოლებითა და ბავშვებით. თემურ წყობილებაში ადგილი არა აქვს ეჭვიანობასა და ეგოზმს. ველურთა სიყვარული, ესაა სიყვარული დრამების, ტრაგედიებისა და შურის გარეშე. მას ერთი მიზანი აქვს, – მოდგმის გაგრძელება. სიამოვნების მიღება კი ეს უკვე სხვა საქმეა. ჩრდილოეთის ველურ ტომებს შემორჩათ ძველი ადათი: სახლის პატრონი საკუთარ ცოლს სტუმარს უწვენს გვერდში. თუ სტუმარი უარს ამბობს ამგვარ საჩქარზე ეს ნიშნავს იმას, რომ მასპინძელს შეურაცხოფა მიაყენეს. ეთერულ გეგმილზე სიყვარული – მოვალეობაა, მორჩილება, დაცემული სულის თემის სულის წინაშე ვალდებულება. და ეს ვალი, როგორც მორჩილება, მუდავნდება არა მხოლოდ სექსუალურ გეგმილზე, არამედ ცხოვრების ყველა სხვა ასაექტებშიც.

პირწმინდად წმინდა სიამოვნების საფუძველი, ჩადებულია მეორე საფეხურის ფუძეში, ვიტალური სიყვარულის საფუძველში, „მეორე ჩაკრის“ ადამიანთა შინაარსში. ასეთ სიყვარულს სწორი იქნებოდა დაერქვას „სიყვარული – ეჭვიანობა“, „სიყვარული – ტანჯვა“, „სიყვარული – სიძულვილი“, „სიყვარული – ძალაუფლება“, „სიყვარული – ავხორცობა“, რამეთუ ვიტალურ გეგმილზე ეს გრძნობები ჭექა-ქუხილის ერთიანი მორევია. ვიტალური სხეული გრძნობათა ძალზედ ვრცელ პალიტრას ფლობს. აი ზოგიერთი მათგანი: სიმპატია და ანტიპატია, დასაკუთრების ჟინი და სიძულვილი, სიკეთე და რისხვა, პატივმოყვარეობა და ეჭვიანობა და სხვა მრავალი.




და მამაკაცს შორის ურთიერთობების დროს. ველურ ტომებში პრაქტიკულად ყოველი მამაკაცი ვალდებულია ვანაყოფიეროს ქალი, რომელიც მზადაა გააჩინოს შთამომავლობა. აქ ოჯახი წარმოადგენს

\* ზიკურატი – ზოროასტრული საკულტო ნაგებობა.

ვიტალურ სიყვარულს დედამიწაზე აქვს თავისი დაბადების, განვითარების, სიბერისა და გარდაცვალების სტადიები. ყველაფერი იწყება ჭაბუკური სიყვარულიდან. სიყვარულის ობიექტი ამ დროს დვთაების დონემდეა აყვანილი: შეყვარებულის მთელი ძალდონე და სახსრები მიმართულია მხოლოდ ერთი მიზნისდა მისაღწევად – რამენაირად მიაღწიოს შეყვარებულის სიმპათიებსა და კეთილგანწყობას. ქალები ამ დროს იყენებენ ირიბ, ძალიან ეშმაკურ ხრიკებს და მამაკაცები კი საკუთარ განსხვავებულ ილეთებს, მაგრამ ყოველი მათგანი ერთ მიზანს ემსახურება: თავშეუგავებელ სექსს, სიყვარულით ადამიანის დასაკუთრებას, სიამოვნების მიღებას, ცხოველური ჟინის დაკმაყოფილებას. ვიტალური შეყვარებულობის დროს, ინდივიდში ბობოქრობენ ვნებათა ოქეანეს ტალღები და იგივე სიძლიერის ტრაგედიები. იღვრება ნიაგარის ცრემლები, ტანჯვის მოქცევის ტალღები, ეჭვიანობის წარდგნები თავით ფეხებამდე ტბორავენ ადამიანებს. ვნებათა ტრაგედიების აფეთქებანი დუელების, საშინელი მკვლელობების, და განწირული თვითმკვლელობების მიზეზები ხდებიან. ამ დროს ეგრეთწოდებულ პოეტებს (მეორე საფეხურის ადამიანებს) თავში უჩნდებათ გაუზიარებელი სიყვარულის გარითმული სტრიქონები ისევე, როგორც ეგრეთწოდებული კომპოზიტორები წერენ ტრივიალურ მუსიკებს ოთხი მოარული აკორდით. იოლად ტრაგიზმისაკენ მიდრეკილი პოეტები საკუთარ გაუზიარებელ გრძნობათა სიმებზე იხრჩობენ თავს.

ვიტალური შეყვარებულობა – ესაა ერთ-ერთი უძლიერესი შემოქმედებითი პროცესი, უძლიერესი კატალიზატორი მდაბიო ხალხისათვის და ცხოვრებაში ჩვენს პლანეტაზე, რიგით ქალებსა და მამაკაცებს გააჩნიათ ამგვარი იარაღის მთელი არსენალი, რომელთა მეშვეობითაც ისინი ინარჩუნებენ საკუთარ

თავს ეგრეთწოდებულ „შემოქმედებით მდგომარეობაში” – ანუ ვიტალური შეყვარებულობის მდგომარეობაში. მაგალითად ისინი შეგნებულად და ძალზედ იშვიათი



ხელოვნურობით თამაშობენ ეჭვიანობის გრძნობებსა და ემოციებს: პერიოდულად იცვლიან საყვარლებს, მიღიან ნებისმიერ სექსუალურ კონტაქტზე; ერთსქესიანი კავშირები, ყოველნაირი სექსუალური უგულმართობანი და მრავალი და მრავალი სხვა.

როდესაც ახალგაზრდული შეყვარებულობა დაყრის თავის პირველ ყვავილებს როგორც ატმის ხე, მისგან რჩება მხოლოდ ვიტალური კავშირი. ამის შემდეგ სიყვარულის ობიექტის მიმართ ინდივიდს უჩნდება, თითქოს და არამოტივირებული ბოლმის, გაღიზიანებისა და სიძულვილის გრძნობები. ეს გრძნობები ქვეცნობიერად დაკავშირებული არიან იმ შეგრძნებებთან, რომლებიც ვიტალური სიყვარულის ობიექტთან ენერგეტიკული დამოკიდებულების გამო არიან გაჩერილნი, ან მისი მხრიდან გამპირიზმთან, ანდა კიდევ, ასევე მისი მხრიდან, საქმიანობაში თავისუფლების შეზღუდვასთან; ახალ სიამოვნებათა მიღების უკმარისობასთან, როგორც საქმიანობაში ასე აზრებშიდაც.

ყოველი, თუნდაც უმცირესი მინიშნება „თავისუფლებაზე” ან „გვერდზე გახდვაზე”, ყოველი მინიშნება „თავისუფალ საქციელზე”, ან მსგავს თემაზე ვიტალურად შეყვარებულში მომენტალურდ აჩენს ეჭვიანობას. ზოგჯერ ეჭვიანობა, შეყვარებულის მიმართ „საკუთრების გრძნობა”, რომელიც შეიძლება არ დაგემორჩილოს და გიღალატოს, აუტანელი ხდება. აქედან ხშირი „გაბუტვები” შეყვარებულებს შორის, მუდმივი ნევროზები და აგრესიულობა, სიძულვილის ემოციების აფეთქებები და „შეყვარებულების” არა მოტივირებული თავდასხმები ერთმანეთზე აღაგზნებენ ეგოისტურ გრძნობას „მეპატრონები”, საკუთრების მფლობელში. ინდივიდი ფიქრობს, რომ „ეს როგორ?! „ჩემი” საკუთრება მე არ მემორჩილება და ისე არ იქცევა, როგორც მე მინდა (ანუ მას არ მოწონს მისი საქციელი რადგან ისე არ ფიქრობს, როგორც „პატრონი”). ასეთი ცეცხლოვანი აზრების გამო ზღვარს მისული ოჯახური ვნებების მდუღარე ქვაბი ფეთქდება.

ვიტალური სიყვარული არასოდეს არაა მყარი, იმიტომ, რომ ის მხოლოდ სექსუალურია, იგი მუდმივი ძიებაა, იგი მისწრაფებაა ახალ ახალი სიამოვნებების მიღებისაკენ. აი ამიტომ ჩნდება მათ შორის ხშირი დალატი, რადგან ახალ სიამოვნებათა და ახალგაზრდულ განცდათა, და მძაფრ ურთიერთობათა ძიება გრძელდება. შეყვარებულობის მდგომარეობის დაბრუნება, ყველა თავისი ულამაზესი გრძნობებისა თუ განცდებისა მოხდება მხოლოდ ახალი შეყვარებულობის დროს, ანუ პარტნიორის ჩანაცვლებით. და ეს მხოლოდ ისევ მოკლე დროით ხდება, საკუთარი ნებაყოფლობით, ისევ ახალი ტანჯვისთვის თავის გაწირვით. ისევე როგორც უწყლოთ შეუძლებელია არსებობა, ასე ვიტალური სიყვარულის დროს, — სქესობრივი ურთიერთობის გარეშე არსებობა შეუძლებელია.

მიწიერ ბინადართა შორის არსებობს მოარული აზრი იმის შესახებ, რომ ყოველი მამაკაცი თუ ქალი ამ არამდგრად ცხოვრებაში, ასეთ მყარ დედამიწაზე ეძებს თავის ერთადერთ ტყუპისცალს. ითვლება, რომ ვიღაცას ბედი უღიმის და თავის მეორე ნახევარს, გნებავთ ტყუპისცალს,—პოულობს და ასეთი შეყვარებულები ღმერთების ტოლები ხდებიან. ეს რა თქმა უნდა ასე როდია. ვერავინ ვერასოდეს ამ გარესამყაროში ვერ შესძლებს, ამ გაგებით, გამოლიანებას, რადგან განქორწინება ბოლოს და ბოლოს ხდება ერთადერთ სამართლიან უმაღლეს სასამართლოში სადაც მოსამართლე სიკვდილია და ბრალმდებელი კი სიბერე. დაკარგული მეორე ნახევარის ლეგენდები ლემურიელებიდან მოდის. მათ სივრცეში იყო განხორციელებული სქესის განცალკევება.

დედამიწის პირველი ბინადარნი ეთერულ სხეულებში არსებობდნენ. მათ შეეძლოთ სიარულიცა და ფრენაც. მიწის წიაღშიც გადაადგილება, ნაწილებად დაშლა და ისევ გამოლიანება. პირველ რასას არასოდეს არ პქნია ფიზიკური სხეულები, ამიტომაც ისინი არასოდეს არ კვდებოდნენ. „ადამიანები უბრალოდ „დნებოდნენ” და შთამომავალთა სხეულებისაგან შთაინთქმებოდენ დროთა განმავლობაში დედამიწა სულ უფრო შორდებოდა მზეს და მიწიერ ადამიანთა სხეულები სულ უფრო მკვრივდებოდა და უხეშდებოდა. მეორე რასა პირველი რასისაგან წარმოიშვა. ეს უკვე 50 მეტრის სიმაღლის ორთქლის ღრუბლების ქმნილება იყო. თუ პირველი რასა უბრალო გაყოფით მრავლდებოდა და ერთი ფორმიდან მეორეში ეთერის გადადინებით ხდებოდა, მეორე რასაში ეს უფრო ოთულად ხდება. ეს პროცესი პლანეტების თანამედროვე განვითარების პროცესსა ჰგავს: ეთერული სხეული, რომელიც შეიცავს მონადას (უკვდავ სულიერ ერთეულს), გარშემორტყმული

იყო კვერცხის მაგვარი აურით. როდესაც გამრავლების ვადები დგებოდა ეთერული ფორმა, უბრალოდ გარეთ გამოაგდებდა მონადას თავისი კვერცხიდან. ეს ჩანასახი იზრდებოდა მშობლის აურით კვების მადლით. ნელ—ნელა იზრდებოდა ნაყოფი და ბოლოს ჭიპლარსაც წყვიტავდა და თავისი წილი სინათლე მიქეონდა თან, რომელიც ექვსი ტყუპისცალისგან შესდგებოდა.


დაახლოებით მესამე რასის შუამდის—ანუ ლემურიელთა რასის დროს — ადამიანები ეთერულები და სქესის არამქონენი იყვნენ. როდესაც დედამიწა მზეს 120 მილიონი კილომეტრით დაშორდა პლანეტაც ნელ—ნელა გაცივდა, დედამიწის ქერქი გამყარდა და ჩრდილო პოლუსზე გაჩნდა უზარმაზარი კონტინენტი. იმ დროს ზოგიერთი ადამიანი მშობლებიდან იკვირტებოდნენ. მშობლებს უმეტეს წილად „ინ“ ენერგიას ართმევდნენ ანუ მამრ ენერგიებს დებულობდნენ. მაგრამ იმისათვის, რომ სიცოცხლის უნარიანი შთამომავლობა გაჩენილიყო, ადამიანი საკუთარი სხეულის ენერგეტიკას აეწონასწორებდა. ამიტომ ის ლემურიელები, რომლებსაც აკლდათ მამრი ენერგიები, მიემაგნიტებოდნენ „იან“ ენერგიის სიჭარბის მქონე არსებანს. უბრალოდ რომ ვთქვათ ისინი წოვდნენ სხვა ადამიანებისაგან საჭირო ენერგიებს, რომლებიც მათ აკლდათ. ორ, სხვა და სხვა პოლუსის მქონე ადამიანთა შორის, ჩნდებოდა ნაპერწკალი. ეს ისე ხდებოდა, როგორც ღრუბლებს შორის ელვის გარბენა. ეს ხომ ორი სხვა და სხვა მუხტის მქონე ღრუბლებს შორის ცნობილი მოვლენაა. ამგვარი მოკლე ჩართვის დროს ლემურიელის სხეული ტორტმანებდა ელექტროობის მის სხეულში გავლის დროს და ამის შემდეგ ვამპირის სხეული მშვიდებოდა. აწყნარებდა რა საკუთარ სხეულს, ვამპირი ლემურიელი, წყნარდებოდა. ასეთნაირად განიცდიდა ლემურიელი ორგაზმს. თანამედროვე ადამიანთა შორისაც ხდება ამგვარი მოკლე ელექტრული ჩართვა, ხდება ვიბრაციები,

რომლებიც უჯრედების დონეზე იძლევიან ზეციური ბედნიერების შეგრძნებას. მალიან კარგადაა ცნობილი რომ ასეთი ბედნიერებისათვის სულაც არაა საჭირო სექსუალური კავშირი. ვიტალური ორგაზმი სხვა და სხვა „ხერხით“ ხდება და ეს უკვე სასიცოცხლო ენერგიების უბადრუკად ხარჯვაა, შემოქმედებითი ენერგიების კარგვა, გამოფიტვა, სიბერე, სნეულობანი და ... სიკვდილი. ეს იმიტომ ხდება, რომ დედამიწის ბინადარნი საკუთარი სასიცოცხლო პროგრამის შესასრულებლად გარევეულად მოზომილ ენერგიას ფლობენ. ეს ენერგია თავის დაძაბულობით პირველ და მეშვიდე ჩაკრამებს შორის პოტენციალით განისაზღვრება. ვიდრე ხერხემალში პირველ და მეშვიდე ჩაკრამებს შორის პოტენციალი არსებობს,—სიცოცხლეც შესაძლებელია.

საკუთარი მეორე ნახევრის ვიტალური სიყვარულის სივრცეში პოვნა, — შეუძლებელია, რამეთუ ვიტალური ისევე, როგორც ფიზიკური, — ილუზორულია პირწმინდად გარეგნული ადამიანის შინაგანი სამყაროს მიმართ. და ეს იმიტომ, რომ ჰეშმარიტება — სიმპათიისაგან ძალიან, ძალიან შორსა დგას. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ჯოჯონხეთის ზოგიერთი შრეები შექმნილია ვიტალური მატერიისაგან.

ზიკურატის მესამე საფეხური, სიყვარულის მესამე ნაირსახეობა — მენთალური სიყვარულია.

მიწიერი ადამიანის მენთალური სხეული ორი ჩაკრამის შემოქმედების ნაყოფია (მესამე და მეოთხე ჩაკრამები). ყველაფერი, რასაც ჩვენ ლოგიკას, მსჯელობით აზროვნებას, ანალიზს, დროში არსებობასა და სამგანზომილებიან სივრცეში არსებობას ვუწოდებთ, ეს ყველაფერი მესამე ჩაკრამის ნაყოფია. ესაა ეგრეთ წოდებული მდაბალი მენთალი — ადამიანის პიროვნების ერთპიროვნული წარმომადგენელი ამ დედამიწაზე. ეს იმიტომ რომ მეექვსე



ჩაკრამი — ადამიანთა უმეტესობის პროცენტს, ჩაკეტილი აქვთ მისივე კარმის ანგელოზებს. მესამე ჩაკრამს მიწიერ გეგმილზე თავისი წარმომადგენელი ჰყავს — თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო. ესაა ჩვენი ლოგიკური გონი — მმართველი ორგანო და ადამიანის ეგოს მცველი, პიროვნების გააფთრებული მცველი და სულის მარადიული მტერი (Страж Порога). მრავალ ეზოთერულ სკოლაში ეშმაკის უკან იგულისხმება ადამიანის ტვინის მსჯელობის უნარი. მსჯელობით (სასჯელის გამოტანის თვალსაზრისით) აზროვნების უნარი მიიჩნევს, რომ სიცოცხლეს აქვს თავისი აზრი და მიზანი. მაგრამ, ეს ნიშნავს იმას, რომ სივრცე და დრო შეზღუდულებია, ანუ სამყაროს საზღვრები ჰქონია. ამგვარი ლოგიკა, რომელიც ერთდროულად ამტკიცებს, იმას რომ სამყარო უსასრულოა, საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. ადამიანის მენთალური ორეული ერთიან საკაცობრიო ეგრეგორში არსებობს. საერთო ეგრეგორი ყველა ადამიანს მართავს, ისე როგორც მარიონეტებს, მუდამ ატყუებს მათ და აიძულებს მათ აკეთონ ის, რაც მიწის დმერთებს სურთ. მენთალური არსება ანაწევრებს ინფორმაციას, რომელსაც ჭიპიდან დებულობს მიწიერი კაცობრიობის

ეგრეგორიდან და ახდენს მის დამუშავებას არითმეტიკული აზრებიდან და მშრალი ლოგიკური ოპერაციების მეშვეობით. ადამიანის მენთალურ სხეულს შეუძლიან ყველაფრის თავ-თავის ადგილზე დალაგება და, მათ შორის, რა თქმა უნდა, სასიყვარულო ურთიერთობებისაც, ასევე ყოველივე მათგანს დაარქეას თავისი სახელი და შესაბამისი ფასიც დაადონს მათ. ეს ორეული „სიყვარულის ორგანოსთან” როდია პირდაპირი კავშირით დაკავშირებული, იგი უფრო მიკერძოებულ გადაწყვეტილებას დებულობს, როდესაც ირჩევს ერთს მეორის სანაცვლოდ მხოლოდ იმიტომ, რომ მას „ირჩევს”. მენთალურ არსებას მეორე არსებისადმი სიყვარული, პოზიტიურ ჭრილ ში, — ესაა სიყვარული — მეგობრობა, ურთიერთ სასარგებლო ცხოვრებისეული ინტერესების გამო. ნეგატიურ ვარიანტში ესაა სიყვარული ანგარებით. მაგრამ მენთალური სიყვარული არ გამორიცხავს პარტნიორთა შორის სექსუალურ ურთიერთობას მიუხედავად



იმისა, რომ გარეშე თვალისათვის ასეთი სიყვარული „უმარილოა“. მართლაც რომ, ასეთი ურთიერთობა მოკლებულია სიხარულის ცრემლებს, სავსეა მტანჯველი ეჭვიანობებითა თუ

აღტაცებებით, უსიამოვნებებით, ოჯახური არეულობებით და ადამიანთა გართობის სხვა ფორმებით. ასეთი სიყვარული არ ბორკავს პარტნიორთა თავისუფლებას, არ კნინავს მათ ინტერესებს, არ არყევს მათ ცხოვრებას ვნებათა კატაქლიზმებით. თუმცა ცხოვრებაში იშვიათათ ხდება ასეთი, პირწმინდად მენთალური სიყვარული, რამეთუ, როგორც წესი, დაწყებით პერიოდში მასში ყოველთვის არსებობს რაღაც რაოდენობის ვიტალური სიყვარული, და მხოლოდ თანდათან, წლების განმავლობაში, ვნებები განლევამდის ქრებიან.

ასტრალური სიყვარული – ეს ბაბილონის გოდოლის მეოთხე საფეხურია. იგი ავლენს ადამიანური სიყვარულის უფრო მაღალ ფორმას. ქვეცნობიერ სიყვარულს ეჭვიანობა, საყვედური, პრეტენზიები საყვარელი ადამიანის მიმართ, – აღარ ახასიათებს. ესაა სიყვარული – სიხარულით, სიყვარული – თავისგაღებამდის, ესაა ბედნიერებისა და მსხვერპლის გაღების სიყვარული. ინდივიდს უბრალოდ უყვარს, უყვარს მიუხედავად იმისა თუ როგორ ექცევა მას შეყვარებული და არაფერს ითხოვს სანაცვლოდ. შეყვარებული უკვე იმითაა კმაყოფილი რომ, არსებობს საყვარელი ადამიანი, თუნდაც არა მის გვერდით, თუნდაც სადღაც შორს, – ამას მნიშვნელობა უკვე აღარა აქვს. ჰეშმარიტად ასტრალურ სიყვარულში არ არსებობს დამოკიდებულება ეთერულ, ვიტალურ თუ მენთალურ სხეულებზედ, თუმცა ყველაფერი რაც ინტიმურ ურთიერთობებს ეხება, ამ შემთხვევაში სრული სისავსით ვლინდება მასში. ქვეცნობიერ სიყვარულში არა აქვს ადგილი ტანჯვას – ესაა სრულიად გაწონასწორებული და ღრმა გრძნობა. ორმხერივად ასტრალური სიყვარული – ადამიანური სიყვარულის იდეალია ამ დედამიწაზე. მაგრამ თავად ასტრალური სიყვარული, რომელსაც მიწიერი ადამიანი განიცდისამპლანეტაზესხვაგანსხვავებული

არსების მიმართ – მეტად იშვიათი მოვლენაა. ათასჯერ უფრო ნაკლებადა იგი ორმხერივი, რადგან ზედმიწევნით ცოტაა დედამიწაზე იმ ადამიანთა რიცხვი რომელთა გულის ჩაკრამი სრულიადაა გახსნილი. თუ ასტრალური ჩაკრა არაა გახსნილი სრულფასოვნად, არამედ სანახევროდ, მაშინ ხდება შეზავებული ასტრალურ-ვიტალური სიყვარული, რასაც გარდაუგალად მოჰყვება ცრემლები და სულიერი ტანჯვა ინდივიდისა. ქვეცნობიერი სიყვარული კარგად ერწყმის პოზიტიურ მენთალურ სიყვარულს, ანუ სიყვარულ – მეგობრობას. გაუზიარებელი ასტრალური სიყვარული უსიყვარულოს პქმნის ადამიანებს ერთმანეთის მიმართ.

ასტრალური სიყვარული, მისი წმინდა შინაარსით, ადამიანთა უმეტესობის მიერ მეტისმეტად აგრესიულად აღიქმება, რამეთუ პლანეტა დედამიწა დღეს უკვე ვიტალური ჯოჯოხეთის წრეს მიეკუთვნება. მიწიერ ადამიანებს ასტრალური სიყვარული არა-სრულფასოვნან, მიუღებელ მოვლენად მიაჩნიათ, რადგან მიწიერ წარმოდგენებში არ ეტევა „ნამდვილი სიყვარულის“ წარმოდგენები იმ თვალსაზრისით, რომელსაც ახასიათებს მტანჯველი ტრაგედიები, ჩხუბი, ეჭვიანობა, სისხლი და ცრემლი თავისივე მომაკვდინებელი ვნებებით. ამიტომ უბრალო ადამიანები ქვეცნობიერ სიყვარულს უყოყმანოდ უარპყოფენ, მრისხანედ გმობენ და ყოველნაირად დევნიან მას...

ზიკურატის მეექვსე საფეხური, სიყვარულის მეექვსე სახეობა – ესაა აჯნისეული ანუ ზეციური სიყვარული, რაც ტოტალურ სიყვარულს წარმოადგენს. იგი მთლიანად თავისუფალია ყოველგვარი ეგოისტური მოთხოვნებისაგან და ამასთანერთად მოიცავენ ცნობიერების ყველა გეგმილს. ამ სიყვარულში ამოქმედებულია უმაღლესი მენთალის სხეული, სხვაგვარად კი – ზეცნობიერება, რომელსაც მექვსე – აჯნა ჩაკრა პქმნის.

ზეციური სიყვარული,—ესაა სიყვარული ყოველი არსებულის მიმართ. თანამედროვე მიწიერ კაცობრიობაში აჯნა სიყვარულის მდგრმარეობა შეუძლიათ განიცადონ ადამიანებმა, რომლებიც სპეციალურ,



სულიერ თუ ეზოთერულ ვარჯიშთა პრაქტიკას ეწევიან ათეული წლების მანძილზედ მრავალ სიცოცხლეთა განმავლობაში. მაგალითად სუფთა ადამიანები, მრავალ ცხოვრებათა მანძილზე რაჯა იოგის მადლით კარგად ავითარებენ საკუთარ ზეციურ სხეულს, სახელად — ზეცნობიერება. ასეთ იოგებს ესმით და გრძნობენ კიდეც ღმერთს. ამას მიჰყავს ისინი ზეამაღლებულ და კეთილშობილ აზრებთან, ლამაზ სურვილებთან და უმანკო მოქმედებებთან. ყველაფერი, რაც ადამიანთაგან მიჩნეულია სიკეთედ, კეთილშობილად და ამაღლებულად, ღვთიური წესის თანამხმად, უხილავად მოედინება ჩვენსკენ სულიერი გონებიდან. მეექვსე სხეულის განვითარებასთან ერთად, ადამიანს უჩნდება მდგრადი გრძნობა ერთიანი, უზენაესი სიყვარულის არსებობის მიმართ, მასში იზრდება ერთიანობის შეგნება არა მსოლოდ მთლიანად კაცობრიობის მიმართ,

არამედ მთელი სამყაროს მიმართაც. გახსნილი აჯნა ჩაკრა ქვეცნობიერებასაც და ინტელექტსაც გადასცემს ისეთ ჭეშმარიტებებს, რომლებთანაც ისინი ვერასოდეს ვერ მივიღოდნენ სხვაგვარად. ზეცნობიერება შთაგონების წყაროს წარმოადგენს უდიდესი, გენიალური პოეტებისა და კოსმიური მწერლებისათვის, ღვთაებრივი მუსიკის შემქმნელთათვის, არამიწიერი სურათების მხატვართათვის და კაცობრიობის უდიდეს მოციქულთათვის. ზეციური სიყვარულიდან უზენაესი მაგები და ნათელმხილველები ღებულობენ ცოდნას წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის შესახებ. ეს ხდება გირჩისებრ ჯირკვალში. იქ, იქ სულის სავანეშია კონცენტრირებული ყოველი ცოდნა სამყაროთა და ადამიანთა აგებულებებისა. უშედავათო ერთგულება ადამიანისა იოგის საფეხურების მიმართ საშუალებას აძლევს ჭეშმარიტების მაძიებელს ეგოისტური სხეულები გაამხოლოვოს ერთმანეთისაგან (ეთერული, ვიტალური და მენთალური) და გააცნობიეროს სიყვარულის გრძნობა, რაც დამასასიათებელია ადამიანის ყოველი სხეულისათვის, მისი ყოველი ნიუანსით. რიგითი მიწიერი ადამიანი, თავის მიწიერ განსხეულებებში, უბრალოდ ვალდებულია გაიაროს სიყვარულის სხვადასხვა ფორმები, დაწყებული უმარტივესი ეგოისტური ვიტალურიდან. მოიგიჟიანებს რა და გაიცნობიერებს საკუთარ თავს მიწიერი ბინადარი, თანდათანობით გაადამიანდება. იგი მენთალური სიყვარულიდან ფსიქიურზე გადავა და მსოლოდ შემდეგ ამისა, როდესაც მრავალი გაკვეთილის სახით გავლილი სიცოცხლეები ადამიანს აიძულებს იმდენად სრულპყოს საკუთარ თავი, რომ თვალები საბოლოოდ გაახილოს, მაშინ იგი შესძლებს თანდათანობით მიუახლოვდეს აჯნისეულ სიყვარულს. სიყვარულის ყოველი ფორმა ითხოვს სულისაგან დედამიწაზე მიღებული მწარე გამოცდილების გაცნობიერებასა და კარმიული დანაგროვების დამუშავებას.

მაგალითად, თუ მიმდინარე ცხოვრებაში ადამიანისაგან არაერთხელ იქნა განცდილი ვიტალური სიყვარულის ტრაგიკული გამოცდილება, მაშინ მომავალი ცხოვრების ომელიდაც ეტაპზე, ინდივიდი, ბოლოს და ბოლოს შეჩერდება და ეტყვის თავის თავს: „მორჩა, გათავდა! მუდამ ერთი და იგივე! მეტი აღარ შემიძლიან!!!“ ადამიანისაგან ხდება დამანგრეველი, ვიტალური სიყვარულის ჯოჯოსეთური არსის შეგნება და შემდგომი არჩევანი, – ნებისყოფა და ცნობიერი არჩევანი სულ სხვა ურთიერთობების ფორმებისა, საკუთარ სქესობრივ პარტნიორთან. აი ასეთნაირად, ცხოვრებიდან ცხოვრებამდე, ტანჯვიდან ტანჯვამდის მიწიერი ბინადარი აღწევს აჯნისეულ სიყვარულს. ზუსტად აქ მიხვდება იგი იმას, რომ ჭეშმარიტება, – ყოველთვის ზეციური სიყვარულია.

ძვირფასნო, როგორც ალმასს მრავალი წახნაგი აქვს, ასე სიყვარულსაც – მას მრავალი სახე გააჩნია. სათნოების რამოდენიმე სახეობა არსებობს. დაპურო და შეუნარჩუნო ადამიანს ან ოჯახს სიცოცხლე, დაეხმარო დარიბს და სნეულს, გახსნა საქველმოქმედო დაწესებულება უპოვართათვის ან ცხოველებისათვის – ეს დირსეული გამოყენებაა პატიოსნად ნაშრომი ფულისა.

სათნოება, ამაზე მაღლა დგას – მისცე ვინმეს საერო განათლება. დაუშვათ რომ თქვენ ას ოქროს აძლევთ ულუქმაპური ოჯახს. მაგრამ ეს დახმარება – მსოლოდ რამოდენიმე ხანისთვისაა. უფრო მეტიც, თუ ადამიანები, რომელსაც ეხმარებით, უგუნურნი არიან, მაშინ ფული ფუჭად დაიხარჯება, ან სრულიადაც საზიანოდ მათოთვის, ან კიდევ უარესი, სხვათა მიმართ ბოროტებისათვის. მეორეს მხრივ, თუ თქვენ იმ ას ოქროს მათ განათლებას მოახმართ მაშინ თქვენ მათ სამიდღემჩიო სიკეთეს უკეთებთ. ასე რომ, ასეთი სათნოება მეტია პირველზე.


მაგრამ უმაღლესი ფორმა სათნოებისა

არის – დაეხმარო ადამიანს სულიერ განათლებაში. ამას იოლად აკეთებენ განდობილები, წმინდა ადამიანები, ბუდები და იოგები, ოომლებიც ეწევიან წმინდა, უბრალო და სუფთა ცხოვრებას, რაც საკუთარი თავის განწირვასა და უბიწოებაში მდგომარეობს. ამგვარი სიცოცხლე უკვე თავის თავად შთააგონებს ასობით და ათასობით ადამიანს, და დაეხმარება მათ საკუთარ მაგალითზე მიაღწიონ ლვთის ოეალიზებას საკუთარ თავში. ამგვარად ადამიანი თითქოს არავის ასწავლის, მაგრამ ადასრულებს უზენაეს სათნოებას იოგის საფეხურებზე ზესვლით. და ეს ყველაფერი საჭიროა იმიტომ, რომ ეტაპობრივი გასხივოსნების ცოცხალი მაგალითი ადამიანისა უპირატესია განათლებაზე და ფულად დახმარებაზე. ასეთი მაგალითი ათასობით ტანჯულს მოიხმობს, შთააგონებს ათასობით ურწმუნოს საკუთარი მანკიურებანის დაძლევის შესაძლებლობას. უბრალო ადამიანთათვის ხელმისაწვდომია სათნოების ორი პირველი სახეობა, რადგან მესამე სათნოება, – საკუთარი გონებისა და ხასიათის გარდაქმნა, ყოველწამიერი ბრძოლა საკუთარ სიზარმაცესთან, – ხელმისაწვდომია მხოლოდ ნებისყოფის მქონეთა და ბრძენთათვის.

„არაფერისაგან არაფერი არ ჩნდება. არ არსებობს შედეგი მიზეზის გარეშე-მკვდარი მატერია ვერასოდეს შობს გონიერ არსებებს. დიადი პირველმიზეზი – ფენომენალური სამყაროს მიზეზი – არის ღმერთი.

პირველსაწყისი მიზეზი შეიძლება სხვადასხვა სახელებით შევამკოთ, – უზენაესი ბალა, კოსმიური გონი, ბუნება, უზენაესი საწყისი და სხვა. სახელები შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ ერთსა და იგივე მცნებას (არსეს) ასახავს სიტყვა – შემოქმედი!!!

/თარგმნა თ.თავაძემ/



ISSN 1512-2794



9771512279000